

8  
03  
W 9-10

ISSN 0868-4537



ეროვნული  
ბიბლიოთეკა

# სამართალი

პრაქტიკა • მეცნიერება • ვუბლიცისტიკა

Sh აკომა  
157111-9564

**9-10**  
**1993**

IUS  
TBILISI GEORGIA





# საქართველო

საბუნებისმეტყველო-პრაქტიკული ჟურნალი

№ 9-10

1993

საქართველო-მოქორეპერი

გამომდის 1926 წლიდან

## პრაქტიკა ● მეცნიერება ● კუბლიცისტია

მთავარი რედაქტორი  
ზურაბ რატიანი

სარედაქციო კოლეგია:

- ანზო არსენაშვილი  
(პასუხისმგებელი მდივანი)
- გელა გარეანიშვილი  
(მთავარი რედაქტორის მოადგილე)
- ვლადიმერ გარათაშვილი
- ოთარ გავრელიძე
- გივი ინჯიკიანი
- ზვიად ლავანიანი
- თენგიზ ლილუაშვილი
- შალვა ნათელაშვილი
- თავდორე ნინია
- ნოდარ ნავიანი
- გიორგი ტყეშელაშვილი
- ვილხა უგრეხელიძე
- ჯონი ჯალაღანი

ჩვენი ჟურნალის დამფუძნებლები არიან: ჟურნალ „საქართველოს“ რედაქცია, საქართველოს რესპუბლიკის იურისტთა კავშირი, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლო, საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტრო, საქართველოს რესპუბლიკის პროკურატურა, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საარბიტრაჟო სასამართლო.

### აკითხველთა საურადადგომი

სტატიების ავტორთა თვალსაზრისი შესაძლოა არ ემთხვეოდეს რედაქციისას. მასალები, რომელთა მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს 12 გვერდს, მოგვანოდეთ მისამართით: 380046, თბილისი, რუსთაველის გამზირი № 30.  
ტელ: 99-02-45, 93-41-50, 99-51-01.

ჟურნალი რეგისტრირებულია საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროში. რეგისტრაციის ნომერია 0830. ინდექსი 76185

ფასი 120 კუპ.



## ს ა ძ ი მ ბ ე ლ ი

### საძიებელი

საქართველოს იურისტთა კავშირის გამგეობის გაფართოებული სხდომა . . . . . 3

### დამოუკიდებელი საქართველოს ახალი კანონები

საქართველოს რესპუბლიკის კანონი ემიგრაციის შესახებ . . . . . 5

საქართველოს რესპუბლიკის კანონი იმიგრაციის შესახებ . . . . . 9

აკაკი ლაბარტაძე — საადგილმამულო კანონის პროექტის შესახებ . . . . . 15

### დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის დოკუმენტები

დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის წესდება . . . . . 21

### შედარებითი სამართალმცოდნეობა

ლალო ჭანტურია — მიწის გასხვისებასთან დაკავშირებულ გარიგებათა თავისებურებანი 33

### თეორიის საკითხები

დავით დავითაძე — კონტრბანდის საგანი . . . . . 41

გოჩა მაშულაშვილი — ერთიანი დანაშაული და კანონთა კონკურენცია . . . . . 48

### სასამართლო რეფორმა

ზურაბ დგებუაძე — გამოძიების ორგანიზაცია და სასამართლო რეფორმა . . . . . 55

ეოლფგანგ ვინკლერი — სსსოფლო-სამეურნეო მიწის საკუთრება გერმანიაში . . . . . 59

### კონტაქტები უცხოელ იურისტებთან

სოსო მუშლაძე — მიზეზობრივი კავშირის პრობლემა ინგლისურ და ამერიკულ  
სამართალში . . . . . 71

### უცხოეთის პრესის ფურცლებზე

მოსამართლეთა დამოუკიდებლობა . . . . . 77

ნეკროლოგი . . . . . 80

**რედაქციის მისამართი: 880046, თბილისი, რუსთაველის გამზირი 80**  
**ტელ. 99-02-45, 98-41-50, 99-51-01**

გადაეცა წარმოებას 27.09.98 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 17.12.98 წ.,  
ფორმატი 70X108 1, ფიციური ნაბეჭდი ფურცელი 5, პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 7,  
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 6,5. შეკვ. 1488. ტირაჟი 3900



2025

## საქართველოს იურისტთა კავშირის გამგეობის გაფართოებული სხდომა

მიმდინარე წლის 8 ოქტომბერს გაიმართა საქართველოს იურისტთა კავშირის გამგეობის გაფართოებული სხდომა, რომელიც მიემდგვნა რესპუბლიკაში შექმნილ სოციალურ-პოლიტიკურ სიტუაციითა იურიდიული ასპექტების განხილვას.

სხდომას ესწრებოდნენ საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის სპიკერი ვახტანგ გოგუაძე, პარლამენტის იურიდიული კომისიის თავმჯდომარე შალვა ნათელაშვილი, იუსტიციის მინისტრი თედო ნინიძე, ადამიანის უფლებათა დაცვის და ეროვნებათაშორისი ურთიერთობის კომიტეტის თავმჯდომარე ალექსანდრე კავსაძე.

სხდომის მონაწილე მეცნიერ-პრაქტიკოსმა იურისტებმა თავიანთ გამოცდებში იურიდიული შეფასება მისცეს რესპუბლიკაში მიმდინარე პროცესებს და გამოთქვეს საქმიანი წინადადებები საქართველოს სახელმწიფოებრიობის განმტკიცების, კანონმდებლობის სრულყოფისა და კონსტიტუციური მშენებლობის მნიშვნელოვან საკითხებზე.


კრიტიკის სახით აღინიშნა, რომ რესპუბლიკის წინაშე მდგარი ამ საჭირობო პრობლემების გადაწყვეტაში სათანადო ინიციატივას არ იჩენენ რესპუბლიკის სამეცნიერო და სამართალდამცავი დაწესებულებების მუშაკები. დაისახა კონკრეტულ ღონისძიებათა გეგმა, რამაც ხელი უნდა შეუწყოს იურისტთა კავშირის როლის გააქტიურებას, საქართველოს ხელისუფლების ორგანოებისათვის იურიდიული დახმარების და რესპუბლიკაში კანონიერების განმტკიცების საქმეს.

განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო აფხაზეთში მომხდარი ტრაგედიის, საქართველოს დასავლეთ რეგიონებში შექმნილი ვითარების სამართლებრივ შეფასებას და იურისტთა კავშირის პოზიციას ამ მიმართებით.

გამგეობამ მიიღო შესაბამისი განცხადება: საქართველოს იურისტთა კავშირი აცხადებს, რომ რესპუბლიკაში შექმნილი უადრესად დაძაბული პოლიტიკური ვითარების ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზია აფხაზეთში დატრიალებული სისხლიანი ტრაგედია, რომლის მოთავეა აფხაზი ხალხის მოღალატეთა შეიარაღებული ბანდა.

აფხაზ სეპარატისტთა ამ კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართულმა დანაშაულებრივმა მოქმედებამ, ქართველი ხალხის მოღალატეთა მხარდაჭერით, აგრძელება პოვა ქვეყნის სხვა რეგიონშიც, რამაც აშკარა საფრთხე შეუქმნა საქართველოს მთლიანობას.

მათ მიერ ჩადენილი ორგანიზებული უმძიმესი დანაშაულები თავისი სასტიკით და მზაკვრობით ბევრად აღემატება გერმანელ ფაშისტთა ნამოქმედარს. აფხაზეთში განხორციელდა ქართველთა გეგმაზომიერი გენოციდი, რომ-





ლის მიზანია, საქართველოს ამ განუყოფელი ტერიტორიის უცხო ტომებით და-  
სახლება.

იურისტთა კავშირი საგანგებოდ აღნიშნავს, რომ უმკაცრესი პასუხისმგებ-  
ლობა უნდა დაეკისროთ იმ პირებს, რომლებიც მატერიალურად უზრუნველ-  
ყოფდნენ ამ აგრესიას.

ასევე, იურისტთა კავშირს მიაჩნია, რომ აფხაზეთსა და დასავლეთ საქარ-  
თველოს სხვა რეგიონებში სისხლისღვრის, დაქირავებული სამხედრო ძალ-  
ების გამოყენებისა და ადამიანთა ხოცვა-ჟლეტვისათვის საკადრისად უნდა მი-  
ეზღოთ რუსეთის რეაქციული ძალების მეთაურებს — ხაზბულატოვს, რუცკოის,  
მაკაშოვს და მათ დამკაშებს, რომლებიც დანაშაულებრივ აღიანსში იმყოფებო-  
დნენ არძინბასა და მის ზროვასთან.

ამასთან დაკავშირებით საჭიროა საქართველოს რესპუბლიკის პროკურატუ-  
რამ, სისტემატურად მიაწოდოს მოპოვებული ინფორმაცია რუსეთის პროკუ-  
რატურას არძინბას კავშირის შესახებ ამ ძალებთან.

საქართველოს იურისტთა კავშირი საჭიროდ მიიჩნევს, რომ რესპუბლიკის  
პარლამენტმა მიმართოს მსოფლიოს ყველა სახელმწიფოს პარლამენტს, რათა  
საერთაშორისო საზოგადოებრიობამ შეიმუშაოს ერთმნიშვნელოვანი პოზიცი-  
ა აფხაზეთში ქართველი ხალხის მიმართ ჩადენილი გენოციდის გამო.

იურისტთა კავშირი იზიარებს მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ გუდაუ-  
თელმა სეპარატისტებმა და მათმა თანამზრახველებმა პასუხი აგონ საერთაშორის-  
ო სასამართლოს წინაშე.

სხდომის მონაწილეები გმობენ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის  
მოადგილის გია გულუას უკანონო დატყვევების ფაქტს და კატეგორიულად მო-  
ითხოვენ მის დაუყოვნებლივ და უპირობო განთავისუფლებას.

ამასთან ერთად, იურისტთა კავშირი მთლიანად უჭერს მხარს რესპუბ-  
ლიკის ხელმძღვანელობის მეცადინეობას საქართველოში მართლწესრიგისა და  
კანონიერების აღდგენისათვის.



# საქართველოს რესპუბლიკის კანონი ემიგრაციის შესახებ

## თავი I. ზოგადი დებულებანი

### მუხლი 1. ემიგრაციის უფლება

საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეს აქვს საქართველოდან ემიგრაციის, ანუ სხვა სახელმწიფოში მუდმივად საცხოვრებლად გამგზავრების უფლება. არ შეიძლება ამ უფლების შეზღუდვა, გარდა საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

### მუხლი 2. ემიგრაციის შესახებ საქართველოს რესპუბლიკის კანონის მიზანი

ემიგრაციის შესახებ საქართველოს რესპუბლიკის კანონის მიზანია საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპების შესაბამისად უზრუნველყოს საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქის უფლება დატოვოს თავისი ქვეყანა და თავისუფლად დაბრუნდეს უკან; განსაზღვროს საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეთა სხვა სახელმწიფოში მუდმივად საცხოვრებლად წასვლის (ემიგრაციის) წესი და პირობები, აგრეთვე მოაწესრიგოს ამ საკითხთან დაკავშირებით წარმოშობილი სხვა ურთიერთობანი.

### მუხლი 3. ემიგრაციის მარეგულირებელი საკანონმდებლო აქტები

ემიგრაციას საქართველოს რესპუბლიკიდან აწესრიგებს ეს კანონი და საქართველოს რესპუბლიკის სხვა საკანონმდებლო აქტები.

თუ საერთაშორისო ხელშეკრულებით დადგენილია საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობისაგან განსხვავებული წესები, გამოიყენება საერთაშორისო ხელშეკრულების წესები.

### მუხლი 4. საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქის მიერ ქონების გატანა საზღვარგარეთ

საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეს, რომელიც ემიგრაციაში მიდის, უფლება აქვს საზღვარგარეთ გაიტანოს ნებისმიერი საკუთარი მოძრავი ქონება, თუ ეს აკრძალული არ არის საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით.

## თავი II. საქართველოს რესპუბლიკიდან ემიგრაციისათვის საბუთების გავორკმების წესი

### მუხლი 5. საქართველოს მოქალაქის პასპორტი

საქართველოს მოქალაქეები საქართველოს რესპუბლიკიდან ემიგრაციაში მიდიან შინაგან საქმეთა ორგანოების მიერ გაცემული პასპორტით.

საზღვარგარეთ მცხოვრები საქართველოს მოქალაქეები პასპორტის გაცემის



თაობაზე მიმართავენ საქართველოს რესპუბლიკის დიპლომატიურ ან საკონსულ-ლო წარმომადგენლობას.

პასპორტი ერთიანი ნიმუშისაა და ძალა აქვს საქართველოს რესპუბლიკი-დან მსოფლიოს ყველა ქვეყანაში გასვლისა და საქართველოს რესპუბლიკაში შემოსვლისათვის.

პასპორტი საქართველოს რესპუბლიკის კუთვნილებაა.

საქართველოს რესპუბლიკის საერთაშორისო ხელშეკრულებების შესაბამი-სად, პასპორტის ნაცვლად შეიძლება გაიცეს მისი შემცველი დოკუმენტი.

საემიგრაციო პასპორტის გაფორმების და გაცემის წესს ადგენს საქართვე-ლოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი.

### **მუხლი 6. საქართველოს მოქალაქის პასპორტის მოქმედების ვადა**

საქართველოს მოქალაქის პასპორტი ძალაშია მისი გაცემის დღიდან 5 წლის მანძილზე.

საქართველოს მოქალაქის პასპორტი მოქმედების ვადის გასაგრძელებლად დაინტერესებულმა პირმა უნდა მიმართოს საქართველოს რესპუბლიკის დიპლო-მატიურ ან საკონსულო წარმომადგენლობას, საქართველოში ყოფნისას კი -- შინაგან საქმეთა ორგანოებს.

### **მუხლი 7. შუამდგომლობა საემიგრაციო პასპორტის გასაცემად**

საემიგრაციო პასპორტის გასაცემად შუამდგომლობის აღძვრის უფლება აქვს საქართველოს სრულწლოვან და ქმედუნარიან მოქალაქეს.

დაინტერესებულ პირს საემიგრაციო პასპორტის მისაღებად შუამდგომლო-ბა შეაქვს საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა ორგანოებში საქართვე-ლოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის მიერ დადგენილი წესით.

შუამდგომლობაში მითითებული უნდა იყოს ყველა ის მონაცემი, რომლე-ბიც შეტანილია პასპორტში და უნდა ერთვოდეს სანოტარო ან მასთან გათანაბ-რებული წესით დამოწმებული შემდეგი საბუთები:

1. დაბადების მოწმობის ასლი;

2. თუ შუამდგომლობის აღმძვრელ პირს თან მიჰყვებიან 14-დან 18 წლამდე არასრულწლოვანი ბავშვები, — მათი წერილობითი თანხმობა კანონიერ წარმო-მადგენლებთან ერთად გამგზავრების თაობაზე;

3. თუ შუამდგომლობის აღმძვრელ კანონიერ წარმომადგენელს თან მიჰყვე-ბიან არასრულწლოვანი ბავშვები, ხოლო მეორე კანონიერი წარმომადგენელი რჩება საქართველოში, — ამ უკანასკნელის თანხმობა არასრულწლოვან ბავშ-ვთა ემიგრაციაზე.

### **მუხლი 8. არასრულწლოვან ბავშვთა ემიგრაცია**


18 წლამდე ბავშვები საქართველოს რესპუბლიკიდან ემიგრაციაში მიდიან თავიანთ კანონიერ წარმომადგენლებთან ერთად, ხოლო თუ ისინი მიემგზავრე-ბიან უცხოეთში მყოფ თავიანთ კანონიერ წარმომადგენლებთან და აქვთ ამ უკა-ნასკნელთა თანხმობა, — სრულწლოვან და ქმედუნარიან თანმხლებ პირთან ერთად.

თუ საქართველოს რესპუბლიკიდან არასრულწლოვანი ბავშვების ემიგრა-ციის საკითხში მათი კანონიერი წარმომადგენლები ვერ შეთანხმდებიან, დავა სსსამართლო წესით გადაწყდება.

### **მუხლი 9. არაქმედუნარიან პირთა ემიგრაცია**

დაუშვებელია არაქმედუნარიან პირთა ემიგრაცია: მათი კანონიერი წარმო-მადგენლების ნებართვისა და ქმედუნარიან სრულწლოვანი პირის თანხლების გარეშე.





**მუხლი 10. საემიგრაციო პასპორტის გასაცემად შუამდგომლობის განხილვის ვადა**

საემიგრაციო პასპორტის გასაცემად შუამდგომლობა განიხილება ყველა საჭირო საბუთის წარდგენის დღიდან სამ თვეში.

**მუხლი 11. სახელმწიფო ბაჟი**

საემიგრაციო პასპორტის მისაღებად შუამდგომლობის შეტანისას განმცხადებელი იხდის სახელმწიფო ბაჟს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის მიერ დადგენილი ოდენობითა და წესით.

**მუხლი 12. საქართველოს რესპუბლიკიდან ემიგრაციის უფლების შეზღუდვის საფუძვლები**

დაინტერესებულ პირს შეიძლება უარი ეთქვას საემიგრაციო პასპორტის გაცემაზე, პასპორტის მოქმედების ვადის გაგრძელებაზე, აგრეთვე საზღვრის გადაკვეთაზე, თუ:

1. მის მიმართ აღძრულია სისხლის სამართლის საქმე;
2. არ მოუხდია სასამართლოს განაჩენით შეფარდებული სასჯელი;
3. მის მიმართ აღძრულია სამოქალაქო სარჩელი;
4. არ შეუსრულებია სასამართლო გადაწყვეტილებით დაკისრებული ვალდებულება და იმ ქვეყანასთან, სადაც მიემგზავრება, საქართველოს ხელშეკრულება არა აქვს დადებული სამართლებრივი დახმარების შესახებ;
5. წვევამდელი ასაკისაა და არ მოუხდია სამხედრო ბეგარა თუ კანონით დადგენილი წესით არ არის გათავისუფლებული ამ სამსახურიდან;
6. სამუშაოს ხასიათის გამო მისთვის ცნობილია სახელმწიფო ან სამხედრო საიდუმლოებანი და არ გასულა კანონით დადგენილი ვადა იმ დღიდან, რომლიდანაც იგი დაკავშირებული არ არის ამ სამუშაოსთან; ამასთან ეს ვადა არ შეიძლება აღემატებოდეს 5 წელს;

7. ემიგრაციაზე შუამდგომლობის შეტანისას წარმოადგენს ყალბ ან ბათილ საბუთებს.

გადაწყვეტილება უარის შესახებ მოქალაქეს უნდა ეცნობოს წერილობით ათი დღის ვადაში.


**მუხლი 13. სახელმწიფო ორგანოების, ორგანიზაციების, დაწესებულებების და უწყებების მონაცემები საქართველოს მოქალაქის საქართველოს რესპუბლიკიდან ემიგრაციასთან დაკავშირებით**

საემიგრაციო პასპორტის გასაცემად შუამდგომლობის განხილვასთან დაკავშირებით შინაგან საქმეთა ორგანოების შესაბამისი მოთხოვნით სახელმწიფო ორგანოები, ორგანიზაციები, დაწესებულებები და უწყებები ვალდებული არიან წარმოადგინონ მონაცემები ამ კანონის მე-12 მუხლში მითითებულ გარემოებებზე.

**მუხლი 14. საემიგრაციო პასპორტის გაცემაზე, პასპორტის მოქმედების ვადის გაგრძელებაზე ან საზღვრის გადაკვეთაზე უარის თქმის გასაჩივრების უფლება**

დაინტერესებულ პირს, რომელსაც უარი ეთქვა საემიგრაციო პასპორტის გაცემაზე, პასპორტის მოქმედების ვადის გაგრძელებაზე ან საზღვრის გადაკვეთაზე, უფლება აქვს სასამართლოში გაასაჩივროს აღნიშნული გადაწყვეტილება, გარდა ამ კანონის მე-12 მუხლის 1-ლი, მე-2, მე-3, მე-4 და მე-7 პუნქტებით გათვალისწინებული შემთხვევებისა.





**მუხლი 15. საქმიერაციო პასორტის გასაცემად შუამდგომლობის განმეორებით განხილვა**

დაინტერესებულ პირს, რომელსაც უარი ეთქვა საქმიერაციო პასორტის გაცემაზე, ამავე საკითხზე შუამდგომლობის განმეორებით წარდგენა შეუძლია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აღარ არსებობს მიზეზი, რომლის გამოც მას უარი ეთქვა პასორტის გაცემაზე.

**მუხლი 16. საქართველოს რესპუბლიკიდან საზღვრის გადაკვეთისათვის სავალდებულო დოკუმენტები**

საქართველოს მოქალაქეები საქართველოს რესპუბლიკის საზღვრის გადაკვეთისას გადიან საპასორტო კონტროლს და პასორტში ან მის შემცველ დოკუმენტში აღინიშნება საზღვრის გადაკვეთის თარიღი.

საზღვრის გადასაკვეთად მოქალაქეს უნდა ჰქონდეს იმ სახელმწიფოში შესასვლელი ვიზა, სადაც უშუალოდ მიემგზავრება.

**მუხლი 17. საქართველოს რესპუბლიკაში შემოსვლა**

ემიგრაციაში მყოფ საქართველოს მოქალაქეს უფლება აქვს ნებისმიერ დროს შემოვიდეს საქართველოს რესპუბლიკაში და ამისათვის ნებართვა არ ესაჭიროება.

**მუხლი 18. ემიგრაციის სტატისტიკა**

ემიგრაციის სტატისტიკას აწარმოებს შინაგან საქმეთა სამინისტრო, რომელიც ამ მონაცემებს წარუდგენს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტს.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე — სახელმწიფოს მეთაური **იღუბარდ შვიპარდნაძე**.

საქართველოს პარლამენტის სპიკერის მოადგილე **ვახტანგ რჩეულიშვილი**

თბილისი, 1998 წლის 20 ივლისი.





# საქართველოს რესპუბლიკის კანონი იმიგრაციის შესახებ

თავი I. ზოგადი დებულებანი

## მუხლი 1. საქართველოს რესპუბლიკის იმიგრაციის კანონის დანიშნულება

საქართველოს რესპუბლიკის იმიგრაციის კანონის დანიშნულებაა საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეთა ინტერესების შეუღახავად განსაზღვროს უცხო სახელმწიფოს მოქალაქეთა, აგრეთვე მოქალაქეობის არმქონე პირთა (ტექსტში შემდგომ „უცხოელები“) საქართველოს რესპუბლიკაში მუდმივად საცხოვრებლად ჩამოსვლის, ანუ იმიგრაციის წესი და პირობები, აგრეთვე მოაწესრიგოს ამ საკითხთან დაკავშირებით წარმოშობილი სხვა ურთიერთობანი.

## მუხლი 2. იმიგრაციის მარეგულირებელი საკანონმდებლო აქტები

საქართველოს რესპუბლიკაში იმიგრაციას აწესრიგებს საქართველოს რესპუბლიკის კანონი უცხოელთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ, ეს კანონი და საქართველოს რესპუბლიკის სხვა საკანონმდებლო აქტები.

თუ საერთაშორისო ხელშეკრულებით, რომელშიც საქართველოს რესპუბლიკა მონაწილეობს, დადგენილია ამ კანონისგან განსხვავებული წესები, გამოიყენება საერთაშორისო ხელშეკრულების წესები.

თავი II. იმიგრანტთა სამართლებრივი მდგომარეობა

## მუხლი 3. იმიგრანტის სტატუსი

იმიგრანტად საქართველოს რესპუბლიკაში ითვლება უცხოელი, რომელმაც საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად მოიპოვა საქართველოს რესპუბლიკაში მუდმივად ცხოვრების უფლება.

იმიგრანტის სტატუსი შეიძლება მიენიჭოს:

1. წარმოშობით ქართველს, ე. ი. უცხო სახელმწიფოს მოქალაქეს ან მოქალაქეობის არმქონე პირს, რომლის მამა ქართველია;
2. საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქის მშობლებს, მეუღლეს, 18 წლამდე ასაკის ან სრულწლოვან არაქმედუნარიან შვილებს;
3. იმიგრანტის მეუღლეს, 18 წლამდე ასაკის ან სრულწლოვან არაქმედუნარიან შვილებს;
4. საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქის მეურვეობის ან მზრუნველობის ქვეშ მყოფ პირებს;
5. უცხოელს, რომელიც საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქის მეურვე ან მზრუნველია;
6. მეცნიერების დარგის მაღალკვალიფიციურ სპეციალისტებს და ხელოვნ-



ნების მოღვაწეებს, რომელთა ჩამოსვლა შესაბამება საქართველოს ინტერესებს, აგრეთვე მაღალკვალიფიციურ სპეციალისტ-ტექნიკოსებს და მუშებს, რომლებიც ესაჭიროებიან საქართველოს მეურნეობას.

იმიგრანტის სტატუსის მისაღებად უცხოელს უნდა ჰქონდეს შემოსავლის მუდმივი ლეგალური წყარო, რომელიც შესაძლებლობას მისცემს უზრუნველყოს თავისი (თავისი ოჯახის წევრების) მინიმალური საარსებო მოთხოვნილებანი, ამ მოთხოვნილებათა ფულად ეკვივალენტს სოციალური უზრუნველყოფის, შრომისა და დასაქმების სამინისტროს გაანგარიშების საფუძველზე ამტკიცებს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი.

თუ იმიგრანტს არა აქვს საკმარისი ფინანსური შესაძლებლობანი, უნდა არსებობდეს მისი (მისი ოჯახის წევრის) შრომითი მოწყობის გარანტია, ასევე დასკვნას იძლევა სოციალური უზრუნველყოფის, შრომისა და დასაქმების სამინისტრო.

ამ მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებით გათვალისწინებული მოთხოვნები არ ვრცელდება ამ მუხლის მე-2 ნაწილის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ პირებზე.

#### **მუხლი 4. საქართველოს რესპუბლიკაში იმიგრაციაზე უარის თქმის საფუძვლები**

უცხოელს შეიძლება უარი ეთქვას საქართველოს რესპუბლიკაში იმიგრაციაზე:

1. თუ ჩადენილი აქვს დანაშაული მშვიდობისა და კაცობრიობის წინააღმდეგ;

2. თუ უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში ჩადენილი აქვს მძიმე სისხლის სამართლის დანაშაული ან მის მიმართ აღძრულია სისხლის სამართლის საქმე;

3. თუ მისი ჩამოსვლა საფრთხეს შეუქმნის საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო უშიშროებას, საზოგადოებრივ წესრიგს ან უარყოფით გავლენას მოახდენს მოსახლეობის ზნეობაზე;

4. თუ დაავადებულია შიდსით, ვენერიული ავადმყოფობით ან სხვა ისეთი სენით, რომელიც შედის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მიერ განსაზღვრულ ნუსხაში, შეპყრობილია ალკოჰოლიზმით ან ნარკომანიით;

5. თუ მან საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე ცხოვრების ნებართვის და საქართველოს რესპუბლიკაში შემოსასვლელი ვიზის მოსაპოვებლად წარმოადგინა ყალბი ან ძალის არმქონე საბუთები;

6. თუ ადრე გაძევებული იყო საქართველოს რესპუბლიკიდან;


7. საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

#### **მუხლი 5. იმიგრანტის შემოსვლა საქართველოს რესპუბლიკაში**

უცხოელს, რომელიც მიიღებს საქართველოს რესპუბლიკაში ცხოვრების ნებართვას, საქართველოს რესპუბლიკის დიპლომატიურ ან საკონსულო დაწესებულებათა მეშვეობით მიეცემა საქართველოს რესპუბლიკაში შემოსასვლელი ვიზა.

საქართველოს რესპუბლიკაში შემოსასვლელ ვიზას ძალა აქვს ერთი წლის განმავლობაში გაცემის დღიდან. თუ ამ ხნის მანძილზე უცხოელი არ ჩამოვა საქართველოში, ვიზა კარგავს ძალას, ხოლო საქართველოს რესპუბლიკაში მისი იმიგრაციის საკითხი გადაწყდება ხელახლა, კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.





უცხოელი, რომელმაც მოიპოვა საქართველოს რესპუბლიკაში ცხოვრების უფლება, საქართველოს რესპუბლიკაში შემოსვლისას გადის საპასპორტო კონტროლს, რომლის დროსაც მან უნდა წარმოადგინოს საქართველოს რესპუბლიკაში ცხოვრების ნებართვა, შემოსასვლელი ვიზა, პასპორტი ან მისი შემცვლელი დოკუმენტი.

საქართველოს რესპუბლიკაში შემოსვლისას ყოველი იმიგრანტი გადის სა-ვალდებულო სამედიცინო კონტროლს.

იმიგრანტს შეიძლება უარი ეთქვას საქართველოს რესპუბლიკაში შემოსვლაზე, თუ არსებობს ამ კანონის მე-4 მუხლით გათვალისწინებული რომელიმე გარემოება.

**მუხლი 6. იმიგრანტთა რეგისტრაცია**

ყოველი იმიგრანტი საქართველოს რესპუბლიკაში ჩამოსვლიდან 10 დღის განმავლობაში ვალდებულია გაიაროს რეგისტრაცია შინაგან საქმეთა ორგანოებში საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

იმიგრანტი ვალდებულია შეატყობინოს შინაგან საქმეთა ორგანოებს საცხოვრებელი ადგილის შეცვლის შესახებ.

**მუხლი 7. საქართველოს რესპუბლიკიდან იმიგრანტის გაძევების საფუძველი**

იმიგრანტი საქართველოს რესპუბლიკიდან შეიძლება გაძევდეს თუ:

1. ცნობილი გახდება, რომ საქართველოს რესპუბლიკაში ცხოვრების ნებართვა მოიპოვა ყალბი ან ძალის არმქონე საბუთების წარდგენის გზით;
2. ჩაიდენს მძიმე სისხლის სამართლის დანაშაულს;
3. განზრახ სისტემატურად არღვევს საქართველოს რესპუბლიკის მოქმედ კანონმდებლობას ან უარყოფითად მოქმედებს მოსახლეობის ზნეობაზე;
4. მისი ყოფნა საქართველოს რესპუბლიკაში ეწინააღმდეგება სახელმწიფო უშიშროების ინტერესებს;
5. საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

გადაწყვეტილებას საქართველოს რესპუბლიკიდან იმიგრანტის გაძევების შესახებ იღებს იუსტიციის მინისტრი შესაბამისად შინაგან საქმეთა, ჯანმრთელობის დაცვის, საგარეო საქმეთა სამინისტროების, პროკურატურის, სასამართლო ორგანოების და საინფორმაციო-სადაზვერვო სამსახურის წარდგინების საფუძველზე.

ამ მუხლის პირველი ნაწილის პირველი, მესამე და მეოთხე პუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში გადაწყვეტილება იმიგრანტის საქართველოს რესპუბლიკიდან გაძევების შესახებ 10 დღის ვადაში მისი გამოტანის მომენტიდან წერილობით ეცნობება იმიგრანტს, რომელიც ვალდებულია გადაწყვეტილების მიღებიდან 30 დღეში დატოვოს საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორია. იმიგრანტს უფლება აქვს ასეთი გადაწყვეტილება 10 დღის ვადაში გაასაჩივროს სასამართლოში. ამ შემთხვევაში 30-დღიანი ვადის მიმდინარეობა წყდება და განახლება სასამართლო გადაწყვეტილების ძალაში შესვლის მომენტიდან.

ამ მუხლის პირველი ნაწილის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული პირება ვალდებული არიან დატოვონ საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორია სასჯელის მოხდის შემდეგ 30 დღის ვადაში.

გადაწყვეტილება საქართველოს რესპუბლიკიდან იმიგრანტის გაძევების თაობაზე არ ვრცელდება იმიგრანტის ოჯახის წევრებზე.



**მუხლი 8.** საქართველოს რესპუბლიკიდან იმიგრანტის იძულებით გაძევება იმიგრანტი, რომელიც არ შეასრულებს ამ კანონის მე-7 მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებით გათვალისწინებულ მოთხოვნას, საქართველოს რესპუბლიკიდან იძულებით გაძევდება.

იძულებითი გაძევების წესს ამტკიცებს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი.

**მუხლი 9.** იმიგრანტის უფლებები, თავისუფლებები და მოვალეობები

იმიგრანტის უფლებები, თავისუფლებები და მოვალეობები საქართველოს რესპუბლიკაში განისაზღვრება საქართველოს რესპუბლიკის კანონით უცხოელთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ, ამ კანონით და საქართველოს რესპუბლიკის სხვა საკანონმდებლო აქტებით.

**თავი III. საპარტოვლოს რესპუბლიკაში იმიგრაციასთან დაკავშირებული არტყენაჲის სახელწოდო რეზულირება და მართვის ორგანიზაცია**

**მუხლი 10.** საიმიგრაციო კვოტა

საქართველოს რესპუბლიკაში იმიგრაციის პროცესის სახელმწიფო რეგულირების მიზნით ყოველწლიურად ზდება საიმიგრაციო კვოტის განსაზღვრა, რაც გულისხმობს იმიგრაციის ზღვრული სიდიდის დადგენას.

იმიგრაციის კვოტას ყოველი კალენდარული წლის დაწყებამდე 3 თვით ადრე განსაზღვრავს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი და ამტკიცებს საქართველოს პარლამენტი.

**მუხლი 11.** იმიგრაციის კვოტის შეზღუდვა

სახელმწიფო, პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური ინტერესების შესაბამისად, საქართველოს პარლამენტს საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის ან საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის წინადადების საფუძველზე შეუძლია შეზღუდოს იმიგრაციის კვოტა.

**მუხლი 12.** იმიგრაციის მართვის ორგანიზაცია

საქართველოს რესპუბლიკაში იმიგრაციასთან დაკავშირებულ საკითხებს იზილავს და წყვეტს საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტრო მინისტრთა კაბინეტის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

საქართველოს რესპუბლიკაში იმიგრაციის შესახებ შუამდგომლობათა წინასწარი განხილვის და მასალების მომზადების მიზნით საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროსთან იქმნება მოქალაქეობის და იმიგრაციის სამსახური. საიმიგრაციო პოლიტიკის განხორციელებაში მონაწილეობენ ლტოლვილთა და განსახლების კომიტეტის, ჯანმრთელობის დაცვის, შინაგან საქმეთა, სოციალური უზრუნველყოფის, შრომისა და დასაქმების სამინისტროების, საინფორმაციო-სადაზვერვო სამსახურის, მეცნიერებისა და ტექნიკის კომიტეტის და საქართველოს რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის დემოგრაფიის და სოციოლოგიური კვლევის ინსტიტუტის წარმომადგენლები.

მოქალაქეობის და იმიგრაციის სამსახურის დებულებას ამტკიცებს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი.

**მუხლი 13.** იმიგრანტის ადაპტაციისთვის ხელშეწყობა

საქართველოს რესპუბლიკაში იმიგრანტთა ადაპტაციის პირობებსა და წესებს განსაზღვრავს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი.



### მუხლი 14. იმიგრაციის საკითხებზე შუამდგომლობათა შეტანის წესი

საქართველოს რესპუბლიკაში იმიგრაციის შესახებ შუამდგომლობის შეტანის უფლება აქვს ქმედუნარიან და სრულწლოვან უცხოელს.

საქართველოს რესპუბლიკაში იმიგრაციის შესახებ შუამდგომლობა დანტერესებულ პირს შეაქვს საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროში, უშუალოდ, ან საქართველოს რესპუბლიკის დიპლომატიურ ან საკონსულო წარმომადგენლობათა მეშვეობით.

შუამდგომლობას იმიგრაციის შესახებ უნდა დაერთოს სანოტარო ან მასთან გათანაბრებული წესით დამოწმებული შემდეგი საბუთები:

1. დაბადების მოწმობის ან მასთან გათანაბრებული საბუთის ასლი;
2. ცნობა ოჯახის წევრთა შემადგენლობის შესახებ, ქორწინების მოწმობის ასლი.

გარდა ზემოთ ჩამოთვლილი საბუთებისა, შუამდგომლობას უნდა დაერთოს:

1. ამ კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ პირთათვის:

მამის ეროვნების დამადასტურებელი საბუთი;

თუ მშობლის ეროვნების დადასტურებისათვის საჭირო გახდა საარქივო მასალების მოპოვება, შუამდგომლობის აღმძვრელ პირს იუსტიციის სამინისტრომ უსასყიდლოდ უნდა აღმოუჩინოს შესაბამისი დახმარება.

2. ამ კანონის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ პირთათვის:

ა) საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქე ნათესავის მიერ გაგზავნილი მოწვევა;

ბ) ნათესაური კავშირის დამადასტურებელი საბუთი.

3. ამ კანონის მე-3 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ პირთათვის:

ა) თუ ისინი თან მოჰყვებიან შუამდგომლობის აღმძვრელ პირს, ამ უკანასკნელის შუამდგომლობა მათთვის იმიგრანტის სტატუსის მინიჭების შესახებ;

ბ) თუ ისინი საცხოვრებლად ჩამოდიან იმიგრანტთან, — ამ უკანასკნელის მოწვევა.

4. ამ კანონის მე-3 მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტებით გათვალისწინებულ პირთათვის:

ა) მეურვეობის ან მზრუნველობის მოწმობა;

ბ) მეურვეობაში ან მზრუნველობაში მყოფი პირის თანხმობა.

ამ კანონის მე-3 მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში საქართველოს რესპუბლიკაში იმიგრაციის შესახებ შუამდგომლობის აღმძვრის უფლება აქვთ მხოლოდ საქართველოს რესპუბლიკაში მუდმივად მცხოვრებ პირებს.

5. ამ კანონის მე-3 მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებულ პირთათვის:

სპეციალობის (პროფესიის) დამადასტურებელი საბუთი;

თუ იმიგრანტ მშობლებს თან მოჰყვებიან 14-დან 18 წლამდე ასაკის არასრულწლოვანი შვილები, საჭიროა ამ უკანასკნელთა წერილობითი თანხმობა იმიგრაციაზე.



თუ საქართველოს რესპუბლიკაში ჩამოდის მხოლოდ ერთი მშობელი, რომელიც საც მოჰყვებიან 18 წლამდე ასაკის შვილები, მან უნდა წარმოადგინოს სასაბჭოო წესით დამოწმებული მეუღლის თანხმობა იმის შესახებ, რომ იგი წინააღმდეგი არ არის ბავშვებმა იცხოვრონ იმიგრანტ მშობელთან ერთად; თუ ასეთი თანხმობა არ არის, იმიგრანტმა მშობელმა უნდა წარმოადგინოს შესაბამის სახელმწიფოს სასამართლო გადაწყვეტილება ბავშვების მიკუთვნების თაობაზე.

საჭიროების შემთხვევაში იუსტიციის სამინისტრო უფლებამოსლია იმიგრაციით დაინტერესებულ პირს მოსთხოვოს დამატებითი საბუთების წარმოდგენაც.

#### **მუხლი 15. სახელმწიფო ბაჟი**

იმიგრაციის საკითხზე შუამდგომლობის შეტანისას განმცხადებელი იხდის სახელმწიფო ბაჟს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის მიერ დადგენილი ოდენობით და წესით.

#### **მუხლი 16. იმიგრაციის საკითხებზე შუამდგომლობათა განხილვისა და გადაწყვეტის ვადა**

იმიგრაციის საკითხებზე განმცხადებათა განხილვა-გადაწყვეტის ვადა არ უნდა აღემატებოდეს ერთ წელს.

#### **მუხლი 17. იმიგრაციის საკითხებზე გადაწყვეტილების გასაჩივრება**

გადაწყვეტილება იმიგრაციის ნებართვაზე უარის თქმის შესახებ შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში.

#### **მუხლი 18. იმიგრაციის საკითხებზე შუამდგომლობის განმეორებითი განხილვა**

იმიგრაციის საკითხებზე შუამდგომლობის განმეორებითი განხილვა შეიძლება გადაწყვეტილების მიღებიდან ერთი წლის შემდეგ.

#### **მუხლი 19. იმიგრაციის სტატისტიკა**

საქართველოს რესპუბლიკაში იმიგრაციის სტატისტიკას აწარმოებს საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტრო, რომელიც ამ მონაცემებს წარუდგენს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტს.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე, სახელმწიფოს მეთაური

მ. ზემარდნაძე

საქართველოს პარლამენტის სპიკერი

პ. გოგუაძე

თბილისი, 1993 წლის 27 ივლისი



## საადგილმამულო კანონის პროექტის შესახებ

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ 8 აპრილს საყოველთაო-სახალხო განხილვისათვის გამოქვეყნდა საქართველოს რესპუბლიკის საადგილმამულო კანონის პროექტი, რომელიც ეხება მიწასთან, მის გამოყენებასა და დაცვასთან დაკავშირებულ თითქმას ყველა საკითხს. მათ შორის ბევრი საკითხი ახლებურად, დღევანდლობასთან, საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლასთან შესაბამისობაში არის დაყენებული და რეგლამენტირებული. მიუხედავად ამისა კანონის პროექტის ცალკეული მუხლებისა და დებულებების მიმართ გვაქვს შენიშვნები.

სასურველია თუ კანონის პროექტის სახელწოდება<sup>1</sup> იქნება საქართველოს რესპუბლიკის საადგილმამულო ურთიერთობის მარეგულირებელი კანონი, როგორც ამაზე მითითებულია პროექტის მე-11 მუხლის „ბ“ პუნქტში. პროექტის პრეამბულის ბოლო წინადადებებიდან სიტყვა „გარემოს“ ამოღება, ისტორიისა და კულტურის ძეგლთა მიწების ცალკე კატეგორიად გამოყოფა (მუხლი მე-2), ვფიქრობ, შეუძლებელია და საჭიროდ მიგვაჩნია ამ მიწების მესამე — კატეგორიაში, ე. ი. სპეციალური დანიშნულების მიწებში შემავალი ბუნებადაცვითი. გამაჯანსაღებელი, რეკრეაქციული დანიშნულების მიწებთან ერთ კატეგორიად გათვალისწინება.

სადაოდ მიგვაჩნია პროექტის მეოთხე მუხლის მოთხოვნა — მიწის კერძო მესაკუთრე შეიძლება იყოს საქართველოს მოქალაქე, რომელიც მოცემულ დასახლებულ პუნქტში ცხოვრობს სულ ცოტა 16 წელი. გამოდის, რომ რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 5992 წლის 26 იანვრის დადგენილებით ქალაქში მუდმივად მცხოვრებ მოქალაქეთა უფლება სოფლის მეურნეობის პროდუქტების საწარმოებლად და საცხოვრებელი სახლის ასაშენებლად სოფლად მიწის ნაკვეთის საკუთრებაში მიღების შესახებ, აგრეთვე რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1993 წლის 16 იანვრის დადგენილების შესაბამისად ქალაქში და რაიონულ ცენტრებში მცხოვრებ მოქალაქეთა უფლება მიწის ნაკვეთის კერძო საკუთრებაში მიღების შესახებ ძალა დაკარგული იქნება, მიწების კერძო საკუთრებაში გაცემის შეზღუდვის გამკაცრების წინააღმდეგი არა ვართ და ადრეც გამომოთქვამს ამ საკითხზე ჩემი შეხედულება, მაგრამ 16 წლიანი ბარიერის დაწესება არასწორად მიმაჩნია და არსებითად ხელისშემშლელი იქნება მიწის რეფორმის, მიწების პრივატიზაციის პოლიტიკის განხორციელებისათვის. ამ პოლიტიკასთან შეუთავსებელია ამავე მუხლის ბოლო წინადადება — ორი ათას წლამდე მიწის ყიდვა-გაყიდვა არ დაიშვება. პიროვნებას, რომელიც გახდება მი-

<sup>1</sup> შემდგომში ვიხმართ სიტყვა „პროექტს“.



წის მესაკუთრეს უნდა ჰქონდეს მისი ყიდვა-გაყიდვის უფლება, სხვანაირად იგი იურიდიულად რეალურად არ შეიძლება იყოს მიწის მესაკუთრე.


არასწორად მიგვაჩნია პროექტის მე-9 მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად ყამირი და ჯაგნარით დაფარული მიწის, მისი რაოდენობის განუსაზღვრელად მოქალაქეებზე მიცემა ბალის, ვენახის, ციტრუსების გასაშენებლად და ამ კულტურათა მსხმოიარობაში შესვლის შემდეგ გაშენებული ბალ-ვენახის ნახევრის საკუთრებაში ან მფლობელობაში მასზე გადაცემა, მეორე ნახევრის მეპატრონეზე არაფერია ნათქვამი და, ცხადია, მასაც მისი ამთვისებელი დაეპატრონება და ამ ნაკვეთზე საცხოვრებელი სახლის აშენებით ახალი ოჯახების შექმნა კიდევ უფრო დაამძიმებს რესპუბლიკის დემოგრაფიულ მდგომარეობას. ამიტომ საჭიროდ მიმაჩნია დღეისათვის და გარდამავალ პერიოდში რესპუბლიკის, მისი მოსახლეობის სასიცოცხლო ინტერესებიდან გამომდინარე, ყამირი და ჯაგნარით დაფარული მიწების გაცემა მოქალაქეებზე მარცვლელად, ბოსტნეული, ბალნეული კულტურების საწარმოებლად, მეცხოველეობისათვის საძოვრებისა და სათიბების მოსაწყობად ვადიანი სარგებლობის უფლებით.

გაუგებარია მე-6 მუხლის შინაარსი. იგი ეხება მიწის საზოგადოებრივ საკუთრებას, რომ სასოფლო-სათემო, სადაბო-საქალაქი და საეკლესიო-სამინისტრო მიწა საზოგადოებრივ საკუთრებაში სამეურნეო დანიშნულებისათვის (მათ შორის საცხოვრებლად) გაიცემა ადგილობრივ თვითმმართველობის გადაწყვეტილებით, მაგრამ ვის მიეცემა მიწა საზოგადოებრივ საკუთრებაში, ე. ი. ვის იქნებიან მესაკუთრენი, მუხლში არ არის აღნიშნული, არადა ამის გათვალისწინება აუცილებელია მსგავსად მიწის რეფორმის შესახებ საქართველოს რესპუბლიკის კანონის პროექტის („საქართველოს რესპუბლიკა“ 1991 წლის 19 სექტემბერი) მე-13 მუხლისა — სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციულ საწარმოებს, საზოგადოებრივ მეურნეობებს, რელიგიურ საზოგადოებებს, სააქციო საზოგადოებებს და სხვა იურიდიულ პირებს მიწის ნაკვეთები შეიძლება გადაეცეთ (ერთობლივ ან ნაწილობრივ) საკუთრებად. თუმცა ჩვენ მაშინ მოვითხოვდით ხსენებული სუბიექტებისათვის მიწების არა საკუთრებაში არამედ სარგებლობის უფლებით მუდმივ მფლობელობაში მიცემას.

აუცილებელია პროექტის მეორე თავის სახელწოდების (მიწის გამოყენების და დაცვის ორგანიზაცია) შეცვლა სახელწოდებით — მიწის გამოყენებისა და დაცვის სახელმწიფოს მმართველობით, როგორც ამაზე სამართლიანად არის მითითებული ამავე თავის მე-10 მუხლის დასაწყისში — მიწის გამოყენებისა და დაცვის სახელმწიფო მმართველობას ახორციელებენ... არ მიგვაჩნია მართებულად მე-11 მუხლის „ზ“ პუნქტის შესაბამისად ავტონომიური რესპუბლიკების ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების საადგილმამულო ურთიერთობების მოწესრიგებასთან დაკავშირებული დადგენილებებისა და სხვა აქტების დამტკიცება რესპუბლიკის პარლამენტის მიერ, უფრო სწორი იქნებოდა რესპუბლიკის შესაბამის კანონმდებლობასთან შეუსაბამობის შემთხვევაში მათი გაუქმება. ამავე მუხლის „გ“ პუნქტი — სახელმწიფო და ადმინისტრაციულ-ტერიტორიული საზღვრების დადგენა — უფრო სახელმწიფო სამართლებრივი საკითხია, ვიდრე საადგილმამულო, ამიტომ აჯობებდა ამ პუნქტის მე-11 მუხლიდან ამოღება.

საჭიროდ მიგვაჩნია პროექტის მე-12 მუხლის „ა“ პუნქტის სრულყოფა, კერძოდ, ავტონომიური რესპუბლიკის საზღვრებში არსებულ მიწას დაემატოს სიტყვა „საკუთრებაში“ და შემდეგ როგორც ტექსტშია — მფლობელობასა და





სარეგლობაში გაცემის კონტროლი, ვინაიდან ამავე მუხლის „დ“ პუნქტით ტონომიური რესპუბლიკების ხელისუფლების უმაღლეს ორგანოებს ევალება „საკუთრების, მფლობელობისა და სარეგლობისათვის გამოსაყოფი მიწის ნორმების განსაზღვრა“. ხოლო „ბ“ პუნქტი ამოსაღებია, რადგან ეს უფრო სახელმწიფო სამართლებრივი საკითხია, ვიდრე საადგილმამულო. გაუგებარია ამავე მუხლის „ზ“ პუნქტი — ადგილობრივი მმართველობის ორგანოების დადგენილებებისა და საკანონმდებლო აქტების განხილვა-დამტკიცება — ასეთი ფუნქციის შესრულების შემთხვევაში მათი უპირველესი ნორმაშემოქმედებითი საქმიანობის განხორციელება შეუძლებელი იქნებოდა, ხოლო ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების დადგენილებებისა და საკანონმდებლო აქტების განხილვა-დამტკიცებაზე მითითებისას ალბათ კანონმდებელს ნაგულისხმევი აქვს საადგილმამულო ხასიათის დადგენილებები და სხვა ნორმატიული აქტები. სწორი იქნებოდა ამ აქტების მოქმედ საადგილმამულო კანონმდებლობასთან შეუთავსებლობის შემთხვევაში მათ გაუქმებაზე ან მათი მოქმედების შეჩერებაზე მითითება.


უნდა შეიცვალოს მე-13 მუხლის „ბ“ პუნქტის ფორმულირება: ამოღებული იქნას სიტყვები ცალკეულ მესაკუთრებზე და დარჩეს საქართველოს რესპუბლიკის ფარგლებში მიწის გამოყენებისა და დაცვის კონტროლი. ამავე მუხლის „ვ“ პუნქტს — მიწის ცალკეულ კატეგორიებისადმი მიკუთვნება, დაემატოს მიწების ერთი კატეგორიიდან სხვა კატეგორიებში გადაყვანა. მიზანშეწონილად მიგვაჩნია „თ“ პუნქტის ამოღება, ვინაიდან ასეთი შემთხვევები ძალზე ბევრი იქნება, ყველა მათი განხილვა-დამტკიცება შეუძლებელი გახდება რესპუბლიკის მთავრობის მიერ, ცალკეულ შემთხვევებში საჭიროების მიხედვით შეიძლება გაკეთდეს ამავე მუხლის „დ“ პუნქტის შესაბამისად — საადგილმამულო კანონმდებლობის შესრულებაზე კონტროლი.

საჭიროდ მიგვაჩნია მე-15 მუხლის „ვ“ პუნქტში სიტყვა „გავერანების“ შეცვლა „გაფუჭებით“, „გამოფიტვით“, აგრეთვე ამავე მუხლის „ზ“ პუნქტში სიტყვა „საკომლოს“ შეცვლა „გლეხურით“.

პროექტის მე-16 მუხლის „ვ“ პუნქტიდან ამოსაღებია ფრჩხილებში მოთავსებული სიტყვები. მოქმედი კანონმდებლობის დამრღვევ სუბიექტებს მიწები უნდა ჩამოერთვათ ამ მიწებზე გაწეული ყოველგვარი ხარჯების აუნაზღაურებლად, ასევე მოწეული მოსავალიც. რაც შეეხება ამავე მუხლის ბოლო „ზ“ პუნქტის შინაარსს, — გაუგებარია რა უფლების, რისი უფლების შენარჩუნებაზეა ლაპარაკი, ამიტომ აუცილებელია ამ პუნქტის გასაგებად ჩამოყალიბება ან მისი საერთოდ ამოღება.

პროექტის მე-17 მუხლის „ე“ პუნქტში სიტყვების „არ დააზიანოს“ მაგიერ უკეთესია ჩაიწეროს „დაიცვას დაზიანებისაგან“, ე. ი. არამართო თვითონ არ დააზიანოს, არამედ დაცვას სხვათა მიერ დაზიანებისაგან. ხოლო ამავე მუხლის „ვ“ პუნქტის შინაარსი ჩამოყალიბდეს ასე: „დროებით სარეგლობაში არსებული მიწების დროულად და ვარგის მდგომარეობაში დაბრუნება“.

გაუგებარია პროექტის მე-18 მუხლის მეორე ნაწილში შემდეგი: მეპატრონის მიწასთან დაკავშირებული კანონსაწინააღმდეგო მოქმედება, საქმიანობა, მაგრამ კონკრეტულად ამის გაგება შეუძლებელია. ასევე შეუძლებელია სახელმწიფოს რომელ, რა ინტერესების დარღვევას გულისხმობენ პროექტის ავტო-





რები. ამიტომ აუცილებელია მე-18 მუხლის შინაარსის გასაგებად ჩამოყალიბება.

საჭიროდ მიგვაჩნია პროექტის მე-19 მუხლის სათაური შეიცვალოს ასე: „გლახური მეურნეობის მიწათსარგებლობა“. ამის გათვალისწინებით მოხდეს ამ მუხლის შინაარსის ჩამოყალიბებაც. აუცილებელია მე-19 მუხლის მეორე ნაწილის მეორე სტრიქონში სიტყვა „განკარგულებაში“ შეიცვალოს სიტყვა „მფლობელობაში“, ვინაიდან განკარგულებაში ნიშნავს მიწის ნაკვეთის გასხვისების უფლებას, რაც გლახურ მეურნეობას არ გააჩნია, მას მიწა მიეცემა მფლობელობაში მემკვიდრეობის უფლებით განკარგვის გარეშე.

პროექტის მეოთხე თავის სათაური — მიზნობრივი დანიშნულების მიწა — ბუნდოვანი და გაუგებარია. მეოთხე თავის შინაარსიდან გამომდინარე მისი სათაური უნდა იყოს ან რესპუბლიკის მიწის ფონდის ან მიწის ცალკეული კატეგორიების სამართლებრივი რეჟიმი. მე-20 მუხლის მესამე ნაწილის ბოლოს წინასტრიქონიდან საჭიროა სიტყვა „საუწყებოს“ ამოღება, ხოლო სიტყვა „ფონდიდან“ გადაკეთდეს ფონდის და დაემატოს სიტყვა მიწიდან, ე. ი. მთლიანობაში იკითხებოდეს ასე „სოფლის მცხოვრებს სარგებლობაში სათიბ-საძოვარი მიწა ეძლევა სახელმწიფო მარაგიდან და ტყის ფონდის მიწებიდან“.

ბიოსფერულ ნაკრძალებში, ეროვნულ პარკებში, აღკვეთილებსა და ეკო-მუზეუმებში გლახური ანუ საკომლო მეურნეობების მოწყობის დაშვება (22-ე მუხლის მეორე ნაწილი) სიკეთეს ვერ მოუტანს რესპუბლიკის მცენარეთა და ცხოველთა სამყაროს.


საჭიროდ მიგვაჩნია პროექტის 23-ე მუხლის (რეკრეაქციული მიწა) პირველი სტრიქონიდან სიტყვების „გასართობ და დასასვენებელი“ ამოღება და სიტყვა „რეკრეაქციულის“ დატოვება, რადგან მოსახლეობის დასასვენებლად, გასართობად გათვალისწინებული მიწები რეკრეაქციული მიწებია. აუცილებელია 24-ე მუხლის სათაურის შეცვლა „გამაჯანსაღებელი დანიშნულების მიწებით“. ამავე მუხლის მეორე ნაწილში გამაჯანსაღებელი დანიშნულების კერებს კი არა, მიწებს განეკუთვნება ისეთი ადგილები, რომლებიც გამოირჩევიან არა უნიკალურობით, არამედ სამკურნალო ჰავით, წყლებით, განსაკუთრებული ბუნებრივი გარემოთი.

ჩასწორებას საჭიროებს 25-ე მუხლის მესამე ნაწილის პირველი სტრიქონი: სიტყვა „საამშენებლო“ უნდა შეიცვალოს სიტყვა „სამხედრო“-თი, ხოლო მეორე სტრიქონიდან ამოვიდოთ სიტყვა „ორგანიზაცია“. ჩასასწორებელია 27-ე მუხლის პირველი ნაწილის ტექსტი — ტყის ფონდის მიწად ითვლება ბუნებრივი და ხელოვნური ტყით დაფარული, აგრეთვე ტყით დაუფარავი მაგრამ სატყეო მეურნეობებისათვის განკუთვნილი მიწა. იგი იყოფა ორ ნაწილად — სახელმწიფო და ადგილობრივი მნიშვნელობის ტყეებად კი არა, როგორც ეს 27-ე მუხლშია ჩაწერილი, არამედ ტყის ფონდის მიწებად, ვინაიდან ტყის ფონდის დაყოფის საკითხი განეკუთვნება სატყეო და არა საადგილმამულო კანონმდებლობას. პროექტის 28-ე მუხლის პირველი ნაწილის ბოლო სტრიქონიდან ამოსაღებია სიტყვა — „გზის“.

საჭიროა ცვლილებების შეტანა 29-ე მუხლის სათაურში, მას უნდა დაემატოს სიტყვა ბუნების და იყოს ისტორიის, კულტურისა და ბუნების ძეგლთა მიწა.

პროექტის 30-ე მუხლი (სამარაგო მიწა) უნდა დამთავრდეს მისი პირველი ნაწილით, დანარჩენი ამოსაღებია, ვინაიდან სოფლის მეურნეობისათვის გამო-





უსადეგარი ფართობები, რომლებიც პროექტით სამარაგო მიწებს მიეკუთვნება შეიძლება იყოს რომელიმე მიწათმოსარგებლის ტერიტორიაზეც, სამარაგო მიწებში კი არაეის სარგებლობაში არ უნდა ითვლებოდეს.

პროექტის მე-5 თავის სახელწოდება უნდა იყოს: ან მიწის გაცემა და ამოღება, ან მიწების განაწილება და გადასაწილება, რადგან პრაქტიკაში გაცილებით ხშირად გვხვდება მიწების განაწილება ამოღების გზით, მიწების სარგებლობაში ან საკუთრებაში მიცემა, გაცემა. 31-ე მუხლის ბოლო ნაწილს უნდა დაემატოს მმართველობის უმაღლესი ორგანო — მინისტრთა კაბინეტი.

არ მიგვაჩნია სწორად 32-ე მუხლის მეორე ნაწილით გლეხურ მეურნეობებზე გადამსვლელთათვის მფლობელობაში გადასაცემი მიწის რაოდენობის რეგლამენტაციით ვინაიდან ასეთ პირობებში ფერმერულ მეურნეობებზე გადასასვლელად აუცილებელი საფუძვლის შექმნა შეუძლებელი იქნება. გლეხური მეურნეობებისათვის მფლობელობაში გადასაცემი მიწის ნაკვეთის ოდენობა არ უნდა იყოს 5 ჰექტარზე ნაკლები. საერთოდ, ამ და გლეხურ მეურნეობასთან დაკავშირებულის სხვა საკითხების რეგლამენტაცია უნდა მოხდეს დებულებით გლეხური მეურნეობების შესახებ რომლის შემუშავებას საფუძვლად უნდა დაედოს ამჟამად არსებული დროებითი დებულება გლეხური მეურნეობის შესახებ.

საჭიროდ მიგვაჩნია 35-ე მუხლის (სოფლის მიჯნა) ამოღება და მისი გათვალისწინება 31-ე მუხლში — დასახლებული ადგილების მიწა. რაც შეეხება 36-ე მუხლს, გაუგებარია, სოფლად გასაცემი მიწებისათვის მიკუთვნება, ასევე შეუძლებელია ტყის, მდინარეების, წყალსატევების, გუბურებისა და მათი ნაპირების მიკუთვნება და საცდელი ნაკვეთების, სასწავლო მეურნეობების მიწების გაცემა. ამ მიწების გამოყენება უნდა მოხდეს მიზნობრივი დანიშნულების მიხედვით. ამის გათვალისწინებით უნდა ჩასწორდეს 31-ე მუხლის ტექსტი.

აუცილებელია პროექტის მეხუთე თავიდან 36-ე და 37-ე მუხლების ამოღება და ამ მუხლებით რეგლამენტირებული საკითხების გათვალისწინება პროექტის 21-ე მუხლში. 43-ე მუხლის მეორე ნაწილის ბოლოს, სიტყვა „პარლამენტის“ მაგიერ უნდა ჩაიწეროს „მინისტრთა კაბინეტი“. რომელიც დაამტკიცებს ადგილობრივი ტყეების მიწის გაცემის თაობაზე მმართველობის ადგილობრივი ორგანოების გადაწყვეტილებას.

პროექტის 44-ე მუხლის შესაბამისად წყლის ფონდის მიწის გამოყოფა ხდება სათანადო ტექნიკური დოკუმენტაციის საფუძველზე ადგილობრივ თვითმმართველობასთან შეთანხმებით რასაც დაამტკიცებს მინისტრთა კაბინეტი მაგრამ თუ რომელ ორგანოს გამოაქვს გადაწყვეტილება წყლის ფონდის მიწების გამოყოფაზე 44-ე მუხლიდან არ ჩანს, რაც დაზუსტებას საჭიროებს. ასევე გასარკვევია პროექტის 45-ე მუხლის შინაარსი, კერძოდ, დასახლებული ადგილის სამარაგო მიწიდან ნაკვეთის გამოყოფა ხდება დანტერესებული პირის მოთხოვნის საფუძველზე, რომელსაც განიხილავს და ამტკიცებს ადგილობრივი თვითმმართველობა. უფრო სწორი იქნება „რომელსაც განიხილავს ადგილობრივი თვითმმართველობა და დებულობს შესაბამის გადაწყვეტილებას“. ჩასწორებას მოითხოვს ამავე მუხლის მესამე ნაწილის ტექსტი. კერძოდ, ნაცვლად „განიხილავს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის გადაწყვეტილებით“, უმჯობესია იყოს „განიხილავს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი და დებულობს შესაბამის გადაწყვეტილებას“.



52-ე მუხლის დასაწყისში ნაცვლად „მიწის კადასტრი არის სახელმწიფო კომპლექსური ღონისძიება“, უკეთესი იქნებოდა „სახელმწიფო ღონისძიებათა სისტემა“. ამავე მუხლში მითითებულია, რომ მიწის კადასტრის დანიშნულებაა:

ა) უზრუნველყოს სოფლის ადგილობრივი თვითმმართველობა მიწის შეფასების მაჩვენებლებით, უმჯობესია იყოს — უზრუნველყოს ყველა დანიტერესებული პირი მიწაზე მათთვის საჭირო მონაცემებით. ამავე მუხლის „ბ“ პუნქტში ამოსაღებია სიტყვა „მონოტორინგი“, რასაც მიწაზე საგადასახადო სისტემის მოწესრიგებისათვის მნიშვნელობა არა აქვს. ამავე მუხლის „დ“ პუნქტი სასურველია ასე ჩასწორდეს: „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების მონაცემებს ყოველწლიურად, ხოლო სხვა დანარჩენი კატეგორიის მიწების მონაცემებს 3-5 წელიწადში ერთხელ აზუსტებს და განახლებს შესაბამისი სამსახური და საჩელმწიფო ორგანოები“, რადგან მიწის კადასტრის წარმოებაში აქტიურად მონაწილეობენ ადგილობრივი მმართველობის ორგანოებიც.

პროექტის 54-ე მუხლი უფრო განეკუთვნება პროექტის მე-5 თავს, ამიტომ სწორი იქნებოდა მისი აქ გადატანა. საჭიროდ მიგვაჩნია 55-ე მუხლიდან „ა“ პუნქტში „ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების საზღვრების დაფიქსირება“ შეიცვალოს „მიწების სრულად, რაციონალურად მეცნიერულად დასასაბუთებლად გამოყენების ორგანიზაცია, მიწათმოქმედების კულტურის ამღლება და მიწების დაცვა“. ამავე მუხლის „გ“ პუნქტის დასაწყისში უნდა ჩამატოს სიტყვა „სამეურნეობათაშორისო“. საჭიროდ მიგვაჩნია 57-ე მუხლის სახელწოდება შეიცვალოს ასე: „მიწის გამოყენებისა და დაცვის კონტროლის ამოცანები“. ამავე მუხლის ბოლო ნაწილი ამოსაღებია და მის საფუძველზე უნდა ჩამოყალიბდეს ახალი მუხლი „მიწის გამოყენებისა და დაცვის კონტროლის ორგანოები“. აგრეთვე ცალკე მუხლით უნდა განისაზღვროს მიწის გამოყენებისა და დაცვის სახელმწიფო ინსპექტორის უფლებამოსილება.

მიზანშეწონილად მიგვაჩნია პროექტის მეცხრე თავიდან 58-ე, 59-ე მუხლის საფუძველზე ცალკე თავის შექმნა — „მიწების დაცვა და ნიადაგის ნაყოფიერების გაუმჯობესება“. ასევე მიზანშეწონილად მიგვაჩნია პროექტის მე-9 თავიდან მე-60 მუხლის გადატანა მე-12 თავში. უკეთესი იქნებოდა, რომ ამ თავიდან საადგილმამულო დავეების გადაწყვეტა გამოგვეტანა ცალკე დამოუკიდებელ თავად და ამ საკითხისადმი პროექტით გათვალისწინებული მხოლოდ ერთი — 69-ე მუხლის საფუძველზე საადგილმამულო დავეების გადამწყვეტი ორგანოების საადგილმამულო დავეების აღძვრის, განხილვის წესის; საადგილმამულო დავის თაობაზე გადაწყვეტილების აღსრულების; ინდივიდუალურ ნაგებობათა თანამფლობელებს შორის საადგილმამულო ურთიერთობებთან დაკავშირებული ქონებრივი დავეების განხილვის წესის შესახებ მუხლების ჩამოყალიბება.

გარდა ამ შენიშვნებისა, საადგილმამულო კანონის პროექტს გააჩნია სხვა ხარვეზებიც, რაც უთუოდ უნდა გავითვალისწინოთ. ამასთან, სრულიად სრულყოფილი საადგილმამულო კანონის მიღებაც კი საქართველოს რესპუბლიკის მიწის კოდექსზე უარის თქმას არ უნდა ნიშნავდეს, რადგან მას არსებობის ხანგრძლივი და მნიშვნელოვანი ისტორია გააჩნია, თუმცაღა მისი გარკვეული ნაწილი საკმაოდ მოძველდა. მიუხედავად ამისა იგი კვლავაც ინარჩუნებს მნიშვნელობას მიწის ურთიერთობათა რეგულირების სფეროში, ცხადია, იგი მოითხოვს სერიოზულ, საფუძვლიან გადამუშავებას.



## დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის თანამეგობრობის წესდება

დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში (შემდგომ – თანამეგობრობა) ნებაყოფლობით გაერთიანებულმა სახელმწიფოებმა, რომლებიც ეფუძნებიან თავიანთი ხალხების ისტორიულ ერთობას და მათ შორის ჩამოყალიბებულ კავშირურთიერთობას;

მოქმედებენ საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებითა და საერთაშორისო სამართლის ნორმებით, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების, პელსინკის საბოლოო აქტის დებულებებისა და ევროპაში და უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის სხვა დოკუმენტების შესაბამისად.

ესწრაფვიან უზრუნველყონ საერთო ძალისხმევით თავიანთი ხალხების ეკონომიკური და სოციალური პროგრესი;

მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი ხორცი შეასხან დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის შექმნის შესახებ შეთანხმების დებულებებს, ამ შეთანხმების ოქმს, აგრეთვე ალმა-ათის დეკლარაციის დებულებებს;

ავითარებენ თანამშრომლობას ერთმანეთს შორის საერთაშორისო მშვიდობისა და უშიშროების უზრუნველყოფაში, აგრეთვე სამოქალაქო მშვიდობისა და ეროვნებათაშორისი თანხმობის დაცვის მიზნით;

სურთ შექმნან პირობები წვერი სახელმწიფოების ყველა ხალხის კულტურათა შენარჩუნებისა და განვითარებისათვის;

ესწრაფვიან სრულყონ თანამშრომლობის მექანიზმები თანამეგობრობაში და გაზარდონ მათი ეფექტიანობა.

გადაწყვიტეს მიიღონ თანამეგობრობის წესდება და შეთანხმდნენ შემდეგზე:

### პარი I

#### მიზნები და პრინციპები

**მუხლი 1.** თანამეგობრობა ეფუძნება ყველა მისი წევრის სუვერენული თანასწორობის საწყისებს. წვერი სახელმწიფოები საერთაშორისო სამართლის დამოუკიდებელი და თანასწორუფლებიანი სუბიექტები არიან;

თანამეგობრობა ხელს უწყობს წვერ სახელმწიფოთა შორის მეგობრობის, კეთილმეზობლობის, ეროვნებათაშორისი თანხმობის, ნდობის, ურთიერთგაგებისა და ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობის შემდგომ განვითარებასა და განმტკიცებას;

თანამეგობრობა არ წარმოადგენს სახელმწიფოს და არა აქვს ზეეროვნული უფლებამოსილებანი.



## **პუნლი 2.** თანამეგობრობის მიზნებია:

პოლიტიკურ, ეკონომიკურ, ეკოლოგიურ, ჰუმანიტარულ, კულტურულ და სხვა სფეროში თანამშრომლობის განხორციელება;

წევრ სახელმწიფოთა ყოველმხრივი და შეწონასწორებული ეკონომიკური და სოციალური განვითარება საერთო-ეკონომიკური სივრცის ფარგლებში, სახელმწიფოთაშორისი კოოპერაცია და ინტეგრაცია;

ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების უზრუნველყოფა საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და საერთაშორისო სამართლის ნორმებისა და ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის დოკუმენტების შესაბამისად;

საერთაშორისო მშვიდობისა და უშიშროების უზრუნველყოფაში წევრ სახელმწიფოთა შორის თანამშრომლობა. შეიარაღებისა და სამხედრო ხარჯების შემცირების, ბირთვული და სხვა სახეობათა მასობრივი მოსპობის იარაღის ლიკვიდაციის, საყოველთაო და სრული განიარაღების მიღწევის ეფექტიან ღონისძიებათა განხორციელება;

წევრ სახელმწიფოთა მოქალაქეებისათვის დახმარების გაწევა თანამეგობრობაში, თავისუფალ ურთიერთობაში, კონტაქტებსა და გადაადგილებაში;

ერთმანეთისადმი სამართლებრივი დახმარება და თანამშრომლობა სამართლებრივი ურთიერთობების სხვა სფეროებში;

თანამეგობრობის სახელმწიფოთა შორის დავისა და კონფლიქტების მშვიდობიანი გადაჭრა.

## **პუნლი 3.** თანამეგობრობის მიზნების მისაღწევად წევრი სახელმწიფოები, ხელმძღვანელობენ რა საერთაშორისო სამართლისა და ჰელსინკის საბოლოო აქტის საყოველთაოდ აღიარებული ნორმებით, თავიანთ ურთიერთობას აგებენ შემდეგი ურთიერთდაკავშირებული და ტოლფასი პრინციპების შესაბამისად;

წევრი სახელმწიფოების სუვერენიტეტის, ხალხთა თვითგამორკვევის განუყოფელი უფლებისა და გარედან ჩაურევლად თავისი ბედის განკარგვის უფლების პატივისცემა;

სახელმწიფო საზღვრების ურღვეობა, არსებული საზღვრების ცნობა და უარი სამართალსაწინააღმდეგო ტერიტორიულ შენაძენებზე;

სახელმწიფოთა ტერიტორიული მთლიანობა და უარის თქმა სხვისი ტერიტორიის დანაწევრებისათვის მიმართულ ნებისმიერ მოქმედებაზე;

წევრი სახელმწიფოს პოლიტიკური დამოუკიდებლობის წინააღმდეგ ძალისა თუ ძალით დამუქრების გამოუყენებლობა;

მშვიდობიანი საშუალებებით დავის გადაჭრა ისეთნაირად, რომ საფრთხე არ შეექმნას საერთაშორისო მშვიდობას, უშიშროებასა და სამართლიანობას;

სახელმწიფოთაშორის ურთიერთობაში საერთაშორისო სამართლის უზენაესობა;

ჩაურევლობა ერთმანეთის საშინაო და საგარეო საქმეებში;

ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების უზრუნველყოფა ყველასათვის რასის, ეთნიკური კუთვნილების, ენის, რელიგიის, პოლიტიკური თუ სხვა რწმენის განსხვავების მიუხედავად;

თანამეგობრობის დოკუმენტებით, მათ შორის ამ წესდებით ნაკისრ ვალდებულებათა კეთილსინდისიერი შესრულება;

ერთმანეთისა და მთლიანად თანამეგობრობის ინტერესების გათვალისწინ



ნება ურთიერთთანხმობის საფუძველზე დახმარების გაწევა მათი ურთიერთობის განხორციელების მიზნით;

ძალისხმევის გაერთიანება და ერთმანეთისათვის მხარდაჭერის გაწევა თანამეგობრობის წევრ სახელმწიფოთა ხალხების ცხოვრების მშვიდობიანი პირობების შექმნის მიზნით, მათი პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური პროგრესის უზრუნველყოფა;

ურთიერთხელსაყრელი ეკონომიკური და სამეცნიერო-ტექნიკური თანამშრომლობის განვითარება, ინტეგრაციული პროცესების გაფართოება;

მათი ხალხების სულიერი ერთიანობა, რომელსაც საფუძველად უდევს მათი თავისთავადობის პატივისცემა, მჭიდრო თანამშრომლობა კულტურულ ღირებულებათა და კულტურული გაცვლის შენარჩუნებაში;

**მუხლი 4.** წევრ სახელმწიფოთა ერთობლივი საქმიანობის სფეროებს, რომელიც ხორციელდება თანასწორუფლებიან საფუძველზე საერთო მაკოორდინირებელი ინსტიტუტების მეშვეობით თანამეგობრობის ფარგლებში წევრ სახელმწიფოთა საკისრი ვალდებულებების შესაბამისად, განეკუთვნება:

აღამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლების უზრუნველყოფა;

საგარეო-პოლიტიკური საქმიანობის კოორდინაცია;

თანამშრომლობა საერთო-ეკონომიკური სივრცის, საერთო-ევროპული და ევრაზიის ბაზრების, საბაზრო პოლიტიკის ფორმირებასა და განვითარებაში;

თანამშრომლობა ტრანსპორტის, კავშირგაბმულობის სისტემათა განვითარებაში;

ჯანმრთელობისა და გარემოს დაცვა;

სოციალური და მიგრაციული პოლიტიკის საკითხები;

ბრძოლა ორგანიზებულ დამნაშავეობასთან;

თანამშრომლობა თავდაცვითი პოლიტიკისა და გარე საზრდვერებს დაცვის დაგრში.

ეს ნუსხა შეიძლება შეივსოს წევრ სახელმწიფოთა ურთიერთთანხმობით.

**მუხლი 5.** თანამეგობრობის ფარგლებში სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობის ძირითადი სამართლებრივი ბაზაა მრავალმხრივი და ორმხრივი შეთანხმებანი წევრ სახელმწიფოთა ურთიერთობის სხვადასხვა დარგში.

თანამშრომლობის ფარგლებში დადებული შეთანხმებანი უნდა შეესაბამებოდეს თანამეგობრობის მიზნებსა და პრინციპებს, წევრ სახელმწიფოთა ვალდებულებებს ამ წესდებით.

**მუხლი 6.** წევრი სახელმწიფოები ხელს უწყობენ სახელმწიფო ორგანოებს, საზოგადოებრივ გაერთიანებებს, ეკონომიკურ სტრუქტურებს შორის თანამშრომლობასა და კავშირურთიერთობის განვითარებას.

## პარი II.

### წევრობა

**მუხლი 7.** თანამეგობრობის დამფუძნებელი სახელმწიფოებია სახელმწიფოები, რომლებმაც ხელი მოაწერეს და დაამტკიცეს 1991 წლის 8 დეკემბრის შეთანხმება დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის შექმნის შესახებ და ამ შეთანხმების 1991 წლის 21 დეკემბრის ოქმი ამ წესდების მიღების მომენტიდან.



თანამეგობრობის წევრ სახელმწიფოებს წარმოადგენენ ის დამფუძნებელი სახელმწიფოები, რომლებიც კისრულობენ ვალდებულებებს ამ წესდების სახელმწიფოთა მეთაურების საბჭოს მიერ მისი მიღების შემდეგ ერთი წლის განმავლობაში.

თანამეგობრობის წევრი შეუძლია აგრეთვე გახდეს სახელმწიფო, რომელიც იზიარებს თანამეგობრობის მიზნებსა და პრინციპებს და კისრულობს ამ წესდებაში მოცემულ ვალდებულებებს ყველა წევრი სახელმწიფოს თანხმობით მასთან შეერთების გზით.

**მუხლი 8.** სახელმწიფოების მეთაურთა საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე თანამეგობრობას ასოცირებულ წევრად შეიძლება შეუერთდეს სახელმწიფო, რომელსაც სურს მონაწილეობა მიიღოს მისი საქმიანობის ცალკეულ სახეობებში ასოცირებული წევრობის შესახებ განსაზღვრული შეთანხმებას პირობებით.

სახელმწიფოების მეთაურთა საბჭოს გადაწყვეტილებით თანამეგობრობის ორგანოების სხდომებს შეუძლიათ დაესწონ სხვა სახელმწიფოთა წარმომადგენლები მეთვალყურეებად.

თანამეგობრობის ორგანოების მუშაობაში ასოცირებულ წევრთა და მეთვალყურეთა მონაწილეობის საკითხებს არეგულირებს ასეთი ორგანოების პროცედურის წესები.

**მუხლი 9.** წევრ სახელმწიფოს უფლება აქვს გავიდეს თანამეგობრობიდან. ამ განზრახვას წევრი სახელმწიფო წერილობით ატყობინებს ამ წესდების დებოზიტარს გასვლამდე 12 თვით ადრე.

ამ წესდებაში მონაწილეობის პერიოდში წარმოშობილი ვალდებულებანი აკავშირებენ შესაბამის სახელმწიფოებს მათ სრულ შესრულებამდე.

**მუხლი 10.** წევრი სახელმწიფოს მიერ ამ წესდების დარღვევებს, სახელმწიფოს მიერ თანამეგობრობის ფარგლებში დადებული შეთანხმებებით მისი ვალდებულებების ანდა თანამეგობრობის ორგანოების გადაწყვეტილებების სისტემატიურ შეუსრულებლობას განიხილავს სახელმწიფოების მეთაურთა საბჭო.

ასეთი სახელმწიფოს მიმართ შეიძლება გამოყენებულ იქნეს საერთაშორისო სამართლით დაშვებული ღონისძიებანი.


### პარი III.

## კოლექტიური უშიშროება და სამხედრო პოლიტიკური თანამშრომლობა

**მუხლი 11.** წევრი სახელმწიფოები ატარებენ შეთანხმებულ პოლიტიკას საერთაშორისო უშიშროების, განიარაღების, შეიარაღებისადმი კონტროლის, შეიარაღებული ძალების მშენებლობის დარგში და იცავენ უშიშროებას თანამეგობრობაში, მათ შორის სამხედრო მეთვალყურეების ჯგუფებისა და მშვიდობის დაცვის კოლექტიური ძალების დახმარებით.

**მუხლი 12.** თუ საფრთხე შეექმნა ერთი ან რამდენიმე წევრი სახელმწიფოს სუვერენიტეტს, უშიშროებასა და ტერიტორიულ მთლიანობას, ანდა საერთაშორისო მშვიდობასა და უშიშროებას, წევრმა სახელმწიფოებმა დაუყოვნებლივ უნდა აამოქმედონ ურთიერთკონსულტაციების მექანიზმი პოზიციების





კორდინაციისა და წარმოშობილი საფრთხის თავიდან აცილების ღონისძიებებს და განხორციელების მიზნით. ამაში შედის სამშვიდობო ოპერაციები და საჭიროების შემთხვევაში შეიარაღებული ძალების გამოყენება ინდივიდუალური თუ კოლექტიური თავდაცვის უფლების განხორციელების წესით გაეროს უნდა გაუთოდდეს წესდების 51-ე მუხლის თანახმად.

შეიარაღებული ძალების ერთობლივი გამოყენების შესახებ გადაწყვეტილებას იღებენ თანამეგობრობის სახელმწიფოების მეთაურთა საბჭო ან თანამეგობრობის წევრი დაინტერესებული სახელმწიფოები მათი ეროვნული კანონმდებლობის გათვალისწინებით.

**მუხლი 13.** ყოველი წევრი სახელმწიფო ახორციელებს სათანადო ღონისძიებებს თანამეგობრობის წევრი სახელმწიფოების გარე საზღვარზე სტაბილური მდგომარეობის უზრუნველყოფისათვის. ურთიერთთანხმობის საფუძველზე წევრი სახელმწიფოები კორდინაციას უწევენ სასაზღვრო ჯარებისა და სხვა კომპეტენტური სამსახურების საქმიანობას, რომლებიც ახორციელებენ კონტროლს და ეკისრებათ პასუხისმგებლობა წევრ სახელმწიფოთა გარე საზღვრების გადაკვეთის დადგენილი წესის დაცვისათვის.

**მუხლი 14.** წევრ სახელმწიფოთა თავდაცვისა და გარე საზღვრების დაცვის საკითხებში თანამეგობრობის უმაღლესი ორგანოა სახელმწიფოების მეთაურთა საბჭო. თანამეგობრობის სამხედრო-ეკონომიკური საქმიანობის კორდინაციას ახორციელებს მთავრობათა მეთაურების საბჭო.

საერთაშორისო შეთანხმებათა განხორციელებასა და უშიშროებისა და განიარაღების დარგში სხვა საკითხების გადაწყვეტაში წევრ სახელმწიფოთა თანამოქმედება ხდება ერთობლივი კონსულტაციების გზით.

**მუხლი 15.** წევრ სახელმწიფოთა სამხედრო-პოლიტიკური ჩანამშრომლობის კონკრეტულ საკითხებს არეგულირებს სპეციალური შეთანხმებანი.

პარი IV.

**კონფლიქტების თავიდან აცილება და დავის გადაჭრა**

**მუხლი 16.** წევრი სახელმწიფოები ახორციელებენ ყველა შესაძლო ღონისძიებას კონფლიქტების თავიდან ასაცილებლად, უწინარეს ყოვლისა, ეროვნებათშორის და კონფესიათშორის საფუძველზე, რომლებსაც შეიძლება მოჰყვეს ადამიანის უფლებათა დარღვევა.

ურთიერთთანხმობის საფუძველზე ისინი ერთმანეთს უწევენ დახმარებას ასეთი კონფლიქტების მოგვარებაში, მათ შორის საერთაშორისო ორგანიზაციების ფარგლებშიც.

**მუხლი 17.** თანამეგობრობის წევრი სახელმწიფოები თავს შეიკავებენ იმ მოქმედებისაგან, რომელსაც შეუძლია ზარალი მიაყენოს სხვა წევრ სახელმწიფოებს და მოჰყვეს შესაძლო დავის გამწვავება.

წევრი სახელმწიფოები კეთილსინდისიერად და თანამშრომლობის სულისკვეთებით მიმართავენ ძალისხმევას თავიანთი დავის მოლაპარაკების მეშვეობით სამართლიანი მშვიდობიანი გადაჭრისათვის ან დავის მოწესრიგების სათანადო ალტერნატიული პროცედურის შესახებ მორიგების მიღწევისათვის.



თუ წვერი სახელმწიფოები ვერ გადაჭრიან დავას ამ მუხლის მეორე ნაწილში აღნიშნული საშუალებების მეშვეობით, მათ შეუძლიათ გადასცენ ეს სახელმწიფოების მეთაურთა საბჭოს.

**მუხლი 18.** სახელმწიფოების მეთაურთა საბჭო უფლებამოსილია დავის ნებისმიერ სტადიაში, რომლის გაგრძელებამ შეიძლება საფრთხე შეუქმნას მშვიდობის ან უშიშროების დაცვას თანამეგობრობაში, ურჩიოს მხარეებს მისი მოწვევების სათანადო პროცედურა ან მეთოდები.

## პარი V.

### თანამშრომლობა ეკონომიკურ, სოციალურ და სამართლებრივ დარგებში

**მუხლი 19.** წვერი სახელმწიფოები თანამშრომლობენ ეკონომიკურ და სოციალურ დარგებში შემდეგი მიმართულებებით: საერთო-ეკონომიკური სივრცის ფორმირება საბაზრო ურთიერთობებისა და საქონლის, მომსახურების, კაპიტალებისა და მუშახელის თავისუფალი გადაადგილების ბაზაზე. სოციალური პოლიტიკის კოორდინაცია, ერთობლივი სოციალური პროგრამებისა და ეკონომიკურ რეფორმათა გატარებასთან დაკავშირებით სოციალური დაძაბულობის შენელების ღონისძიებათა შემუშავება;

ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის სისტემათა, აგრეთვე ენერგეტიკულ სისტემათა განვითარება;

საკრედიტო-საფინანსო პოლიტიკის კოორდინაცია;

წვერ სახელმწიფოთა სავაჭრო-ეკონომიკური კავშირურთიერთობის განვითარებისათვის ხელშეწყობა;

ინვესტიციების წახალისება და ურთიერთდაცვა;

სამრეწველო პროდუქციისა და საქონლის სტანდარტიზაციისა და სერტიფიკაციისათვის ხელშეწყობა;

ინტელექტუალური საკუთრების სამართლებრივი დაცვა;

საერთო საინფორმაციო სივრცის განვითარებისათვის ხელშეწყობა;

ერთობლივი ბუნებადაცვითი ღონისძიებების განხორციელება, ურთიერთდახმარების გაწევა ეკოლოგიური კატასტროფებისა და სხვა საგანგებო სიტუაციების შედეგების ლიკვიდაციაში;

მეცნიერებისა და ტექნიკის, განათლების, ჯანმრთელობის დაცვის, კულტურისა და სპორტის დარგში ერთობლივი პროექტებისა და პროგრამების განხორციელება.

**მუხლი 20.** წვერი სახელმწიფოები ახორციელებენ თანამშრომლობას სამართლის დარგში, კერძოდ, სამართლებრივი დახმარების გაწევის შესახებ მრავალმხრივი და ორმხრივი ხელშეკრულებების დადების გზით და ხელს უწყობენ ეროვნული კანონმდებლობის დაახლოებას.

წვერ სახელმწიფოთა ეროვნული კანონმდებლობის ნორმებს შორის წინააღმდეგობათა შემთხვევაში, რომელიც არეგულირებს ურთიერთობას ერთობლივი საქმიანობის სფეროებში, წვერი სახელმწიფოები აწყობენ კონსულტაციებსა და მოლაპარაკებას ამ წინააღმდეგობათა თავიდან ასაცილებლად წინააღმდეგობის შემუშავების მიზნით.



**თანამეგობრობის ორგანოები, სახელმწიფოთა  
მეთაურების საბჭო და მთავრობათა მეთაურების  
საბჭო**



**მუსლი 21.** თანამეგობრობის უმაღლესი ორგანოა სახელმწიფოთა მეთაურების საბჭო.

სახელმწიფოთა მეთაურების საბჭო, რომელშიც უმაღლეს დონეზე წარმოდგენილია ყველა წევრი სახელმწიფო, განიხილავს და წყვეტს პრინციპულ საკითხებს, რომლებიც უკავშირდება წევრ სახელმწიფოთა საქმიანობას მათი საერთო ინტერესების სფეროში.

სახელმწიფოთა მეთაურების საბჭო იკრიბება სხდომებზე წელიწადში ორჯერ. საბჭოს რიგგარეშე სხდომები შეიძლება მოწვეულ იქნეს ერთ-ერთი წევრი სახელმწიფოს ინიციატივით.

**მუსლი 22.** მთავრობათა მეთაურების საბჭო კოორდინაციას უწევს წევრ სახელმწიფოთა აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოების თანამშრომლობას საერთო ინტერესების ეკონომიკურ, სოციალურ და სხვა სფეროებში.

მთავრობათა მეთაურების საბჭო კი იკრიბება სხდომებზე წელიწადში ოთხჯერ. საბჭოს რიგგარეშე სხდომა შეიძლება მოწვეულ იქნეს ერთ-ერთი წევრი სახელმწიფოს მთავრობის ინიციატივით.

**მუსლი 23.** სახელმწიფოთა მეთაურების საბჭოსა და მთავრობათა მეთაურების საბჭოს გადაწყვეტილებანი მიიღება საერთო თანხმობით — კონსენსუსით. ნებისმიერ სახელმწიფოს შეუძლია განაცხადოს თავისი დაუინტერესებლობა ამა თუ იმ საკითხით, რაც არ უნდა იყოს მიჩნეული დაბრკოლებად გადაწყვეტილების მიღებისათვის.

სახელმწიფოთა მეთაურების საბჭოსა და მთავრობათა მეთაურების საბჭოს შეუძლიათ გამართონ ერთობლივი სხდომები.

სახელმწიფოთა მეთაურების საბჭოსა და მთავრობათა მეთაურების საბჭოს მუშაობის წესს არეგულირებს პროცედურის წესები.

**მუსლი 24.** სახელმწიფოთა მეთაურები და მთავრობათა მეთაურები: სახელმწიფოთა მეთაურების საბჭოსა და მთავრობათა მეთაურების საბჭოს სხდომებზე თავმჯდომარეობენ რიგრიგობით თანამეგობრობის წევრ სახელმწიფოთა სახელწოდებების რუსული ანბანის წესით.

სახელმწიფოთა მეთაურების საბჭოსა და მთავრობათა მეთაურების საბჭოს სხდომები, როგორც წესი, ეწყობა ქალაქ მინსკში.

**მუსლი 25.** სახელმწიფოების მეთაურთა საბჭო და მთავრობების მეთაურთა საბჭო ქმნიან სამუშაო და დამხმარე ორგანოებს როგორც მუდმივ, ასევე დროებით საფუძველზე.

ეს ორგანოები იქმნება წევრი სახელმწიფოების წარმომადგენლებისაგან, რომლებიც აღჭურვილი არიან შესაბამისი უფლებამოსილებით.

მათ სხდომებში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ ექსპერტებს და კონსულტანტებს.

**მუსლი 26.** ცალკეულ დარგებში თანამშრომლობის საკითხების გადასაწყვეტად და სახელმწიფოების მეთაურთა საბჭოს და მთავრობის მეთაურთა საბჭოსათვის რეკომენდაციების შესამუშავებლად იწვევენ შესაბამისი სახელმწიფო ორგანოების ხელმძღვანელთა თათბირს.



## საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭო

**მუხლი 27.** საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭო სახელმწიფოების მეთაურთა საბჭოს და მთავრობების მეთაურთა საბჭოს გადაწყვეტილებათა საფუძველზე ახორციელებს წვერი სახელმწიფოების საგარეო-პოლიტიკური საქმიანობის კოორდინაციას, და აწყობს კონსულტაციებს ურთიერთსაინტერესო მსოფლიო პოლიტიკის საკითხებზე.

საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭო თავის საქმიანობას ახორციელებს სახელმწიფოების მეთაურთა საბჭოს მიერ დამტკიცებული დებულების შესაბამისად.

## საკოორდინაციო-საკონსულტაციო კომიტეტი

**მუხლი 28.** საკოორდინაციო-საკონსულტაციო კომიტეტი თანამეგობრობის მუდმივმოქმედი აღმასრულებელი და მკოორდინირებელი ორგანოა.

სახელმწიფოების მეთაურთა საბჭოს და მთავრობების მეთაურთა საბჭოს გადაწყვეტილებათა შესასრულებლად კომიტეტი:

შემიშუავებს და შემოიტანს წინადადებებს თანამეგობრობის ფარგლებში თანამშრომლობის, სოციალურ-ეკონომიკურ კავშირურთიერთობათა ჭანვითარების საკითხებზე;

ხელს უწყობს ეკონომიკურ ურთიერთობათა კონკრეტული მიმართულებების გამო მორიგებათა რეალიზაციას;

აწყობს წარმომადგენელთა და ექსპერტთა თათბირებს სახელმწიფოების მეთაურთა საბჭოს და მთავრობების მეთაურთა საბჭოს სხდომებზე გამოსატანი დოკუმენტების პროექტების მოსამზადებლად;

უზრუნველყოფს სახელმწიფოების მეთაურთა საბჭოს და მთავრობების მეთაურთა საბჭოს სხდომების გამართვას;

ხელს უწყობს თანამეგობრობის სხვა ორგანოების მუშაობას.

**მუხლი 29.** საკოორდინაციო-საკონსულტაციო კომიტეტი შედგება მუდმივი სრულუფლებიანი წარმომადგენლებისაგან, ორ-ორი თანამეგობრობის თითოეული წვერი სახელმწიფოსაგან, და კომიტეტის კოორდინატორისაგან, რომელსაც ნიშნავს სახელმწიფოების მეთაურთა საბჭო.

სახელმწიფოების მეთაურთა საბჭოს, მთავრობების მეთაურთა საბჭოს და თანამეგობრობის სხვა ორგანოების მუშაობის ორგანიზაციულ-ტექნიკური უზრუნველყოფისათვის საკოორდინაციო-საკონსულტაციო კომიტეტში არის სამდივნო, რომელსაც მეთაურობს კომიტეტის კოორდინატორი — საკოორდინაციო-საკონსულტაციო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე.

კომიტეტი მოქმედებს სახელმწიფოების მეთაურთა საბჭოს მიერ დამტკიცებული დებულების შესაბამისად.

კომიტეტის ადგილსამყოფელია ქალაქი მინსკი.

## თავდაცვის მინისტრთა საბჭო გაერთიანებული შეიარაღებული ძალების მთავარი სარდლობა

**მუხლი 30.** თავდაცვის მინისტრთა საბჭო სახელმწიფოების მეთაურთა საბჭოს ორგანოა წვერი სახელმწიფოების სამხედრო პოლიტიკისა და სამხედრო მშენებლობის საკითხებში.

გაერთიანებული შეიარაღებული ძალების მთავარი სარდლობა ხელმძღვანელობს გაერთიანებულ შეიარაღებულ ძალებს, აგრეთვე სამხედრო მეთვალ-



ყურეთა ჯგუფებს და თანამეგობრობაში მშვიდობის შენარჩუნების კოლექტიურ ძალებს.

თავდაცვის მინისტრთა საბჭო და გაერთიანებული შეიარაღებული ძალების მთავარი სარდლობა თავიანთ საქმიანობას ახორციელებენ სახელმწიფოების მეთაურთა საბჭოს მიერ დამტკიცებულ შესაბამის დებულებათა საფუძველზე.

### **სასაზღვრო ჯარების სარდალთა საბჭო**

**მუხლი 31.** სასაზღვრო ჯარების სარდალთა საბჭო სახელმწიფოების მეთაურთა საბჭოს ორგანოა წვერი სახელმწიფოების გარე საზღვრების დაცვისა და საზღვრებზე სტაბილური მდგომარეობის უზრუნველყოფის საკითხებში.

სასაზღვრო ჯარების სარდალთა საბჭო თავის საქმიანობას ახორციელებს სახელმწიფოების მეთაურთა საბჭოს მიერ დამტკიცებული შესაბამისი დებულების საფუძველზე.

### **ეკონომიკური სასამართლო**

**მუხლი 32.** ეკონომიკური სასამართლო მოქმედებს თანამეგობრობის ფარგლებში ეკონომიკურ ვალდებულებათა შესრულების უზრუნველყოფის მიზნით.

ეკონომიკური სასამართლოს გამგებლობას განეკუთვნება ეკონომიკურ ვალდებულებათა შესრულების დროს წარმოქმნილი დავის გადაწყვეტა. სასამართლოს შეუძლია გადაწყვიტოს სხვა დავაც, რომელიც წევრ სახელმწიფოთა შეთანხმებით მის გამგებლობას განეკუთვნება.

ეკონომიკურ სასამართლოს უფლება აქვს განმარტოს ეკონომიკურ საკითხებზე თანამეგობრობის შეთანხმებისა და სხვა აქტების დებულებები.

ეკონომიკური სასამართლო თავის საქმიანობას ახორციელებს ეკონომიკური სასამართლოს სტატუსის შესახებ შეთანხმებისა და მის შესახებ დებულების შესაბამისად, რომელსაც ამტკიცებს სახელმწიფოების მეთაურთა საბჭო.

ეკონომიკური სასამართლოს ადგილსამყოფელია ქალაქი მინსკი.

### **ადამიანის უფლებათა კომისია**

**მუხლი 33.** ადამიანის უფლებათა კომისია თანამეგობრობის საკონსულტაციო ორგანოა და თვალს ადევნებს თანამეგობრობის ფარგლებში წევრ სახელმწიფოთა მიერ ნაკისრი ადამიანის უფლებათა ვალდებულებების შესრულებას.

კომისია შედგება თანამეგობრობის წევრ სახელმწიფოთა წარმომადგენლობისაგან და მოქმედებს სახელმწიფოების მეთაურთა საბჭოს მიერ დამტკიცებული დებულების საფუძველზე.

ადამიანის უფლებათა კომისიის ადგილსამყოფელია ქალაქი მინსკი.

### **დარგობრივი თანამშრომლობის ორგანოები**

**მუხლი 34.** ეკონომიკურ, სოციალურ და სხვა დარგებში თანამშრომლობის შესახებ წევრ სახელმწიფოთა შეთანხმებების საფუძველზე შეიძლება შეიქმნას დარგობრივი თანამშრომლობის ორგანოები, რომლებიც შეიმუშავენ ასეთი თანამშრომლობის შეთანხმებულ პრინციპებსა და წესებს და ხელს შეწყობენ მათ პრაქტიკულ რეალიზაციას.



დარგობრივი თანამშრომლობის ორგანოები (საბჭოები, კომიტეტები) ასრულებენ ფუნქციებს, რომლებიც გათვალისწინებულია ამ წესდებით და მათ შესახებ დებულებებით, და უზრუნველყოფენ შესაბამის დარგებში თანამშრომლობის საკითხების მრავალმხრივ საფუძველზე განხილვასა და გადაწყვეტას.

დარგობრივი თანამშრომლობის ორგანოებში შედიან წევრი სახელმწიფოების აღმასრულებელი ხელისუფლების შესაბამის ორგანოთა ხელმძღვანელები.

დარგობრივი თანამშრომლობის ორგანოები თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში იღებენ რეკომენდაციებს, აგრეთვე საჭიროების შემთხვევაში შეაქვთ წინადადებანი მთავრობების მეთაურთა საბჭოს განსახილველად.

## თანამეგობრობის სამუშაო ენა

**მუხლი 35.** თანამეგობრობის სამუშაო ენაა რუსული ენა.

### პარი VII

## საპარლამენტაშორისო თანამშრომლობა

**მუხლი 36.** საპარლამენტაშორისო ასამბლეა აწყობს საპარლამენტაშორისო კონსულტაციებს, განიხილავს თანამეგობრობის ფარგლებში თანამშრომლობის საკითხებს, ამუშავებს ერთობლივ წინადადებებს ეროვნული პარლამენტების საქმიანობის სფეროში.

**მუხლი 37.** საპარლამენტაშორისო ასამბლეა შედგება საპარლამენტო დელეგაციებისაგან.

საპარლამენტაშორისო ასამბლეის საქმიანობას ორგანიზაციას უწევს ასამბლეის საბჭო, რომელიც საპარლამენტო დელეგაციათა ხელმძღვანელებისაგან შედგება.

საპარლამენტაშორისო ასამბლეის საქმიანობის პროცედურული საკითხები რეგულირდება მისი რეგლამენტით.

საპარლამენტაშორისო ასამბლეის ადგილსამყოფელია ქალაქი სანქტ-პეტერბურგი.

### პარი VIII.

## დავინანსება

**მუხლი 38.** თანამეგობრობის ორგანოების საქმიანობის დაფინანსების ხარჯები ნაწილდება წევრ სახელმწიფოთა წილობრივი მონაწილეობის საფუძველზე და წესდება სპეციალურ შეთანხმებათა შესაბამისად.


თანამეგობრობის ორგანოების ბიუჯეტებს ამტკიცებს სახელმწიფოების მეთაურთა საბჭო მთავრობების მეთაურთა საბჭოს წარდგინებით.

**მუხლი 39.** თანამეგობრობის ორგანოების საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის საკითხები განიხილება მთავრობების მეთაურთა საბჭოს მიერ განსაზღვრული წესით.

**მუხლი 40.** წევრი სახელმწიფოები დამოუკიდებლად სწევენ ხარჯებს, რომლებიც უკავშირდება მათი წარმომადგენლების, აგრეთვე ექსპერტებისა და კონსულტანტების მონაწილეობას თანამეგობრობის თათბირებისა და ორგანოების მუშაობაში.



**დასკვნითი დებულებანი**



**მუხლი 41.** ეს წესდება რატიფიცირებული უნდა იყოს დამფუძნებელ სახელმწიფოთა მიერ მათი კონსტიტუციური პროცედურების შესაბამისად.

სარატიფიკაციო სიგელები უნდა ჩაბარდეს ბელარუსიის რესპუბლიკის მთავრობას, რომელიც თითოეული სიგელის შესანახავად ჩაბარებას აუწყებს სხვა დამფუძნებელ სახელმწიფოებს.

ეს წესდება ძალაში შედის ყველა დამფუძნებელი სახელმწიფოსათვის იმ ზომენტიდან, როცა ყველა დამფუძნებელი სახელმწიფო შესანახავად ჩააბარებს სარატიფიკაციო სიგელებს, ანდა დამფუძნებელი სახელმწიფოებისათვის, რომლებმაც თავიანთი სარატიფიკაციო სიგელები ჩააბარეს ამ წესდების მიღების ერთი წლის შემდეგ.

**მუხლი 42.** ამ წესდების შესწორებები შეიძლება შემოიტანოს ნებისმიერმა წევრმა სახელმწიფომ. შემოტანილ შესწორებებს განიხილავს სახელმწიფოების მეთაურთა საბჭო პროცედურის წესების შესაბამისად.

ამ წესდების შესწორებებს მიიღებს სახელმწიფოების მეთაურთა საბჭო. ისინი ძალაში შედის ყველა წევრი სახელმწიფოს რატიფიკაციის შემდეგ მათი კონსტიტუციური პროცედურების შესაბამისად, ბელარუსიის რესპუბლიკის მთავრობის მიერ ბოლო სარატიფიკაციო სიგელის მიღების თარიღიდან.

**მუხლი 43.** თანამეგობრობის დამფუძნებელ სახელმწიფოებს ამ წესდების რატიფიკაციის დროს შეუძლიათ გააკეთონ შენიშვნები და განცხადებები III, IV და VII კარებისა და 28, 30, 31, 32, 33 მუხლების გამო.

**მუხლი 44.** ეს წესდება რეგისტრირებული იქნება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების 102-ე მუხლის შესაბამისად.

**მუხლი 45.** ეს წესდება შედგენილია ერთ ეგზემპლარად თანამეგობრობის დამფუძნებელ სახელმწიფოთა სახელმწიფო ენებზე. დედანი ეგზემპლარი დაცულია ბელარუსიის რესპუბლიკის მთავრობის არქივში, რომელიც ყველა დამფუძნებელ სახელმწიფოს გაუგზავნის დამოწმებულ პირს.

ეს წესდება მიღებულია 1993 წლის 22 იანვარს სახელმწიფოების მეთაურთა საბჭოს სხდომაზე ქალაქ მინსკში.


**დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის  
მონაწილე სახელმწიფოების მეთაურთა საბჭო**

**გ ა ნ ც ნ ა დ ე ბ ა**

თანამეგობრობის ფარგლებში მიღებული შეთანხმებები და შექმნილი შეთანხმებები მექანიზმები საშუალებას გვაძლევს საერთაშორისო-სამართლებრივი საშუალებებით მოვაგვაროთ პოლიტიკური, ეკონომიკური, ჰუმანიტარული, სამხედრო და სხვა თანამშრომლობის პრობლემები.

დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის მონაწილე სახელმწიფოთა მეთაურები ერთიანნი არიან იმაში, რომ თანამეგობრობას აქვს საჭირო პოტენციალი, რათა სრულყოს თავისი საქმიანობა არსებულ შეთანხმებათა საფუძველზე. ამასთანავე დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის სახელმწიფოთა მეთაურების მინსკის თითბირის მონაწილენი აცხადებენ, რომ





მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი განაგრძონ ძალისხმევა ეკონომიკურ და პოლიტიკურ სფეროებში დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის შესაქმნადად.

სახელმწიფოები, რომლებმაც მოაწერეს და არ მოაწერეს ხელი გადაწყვეტილებას დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის წესდების შესახებ, მთელ ძალისხმევას უწინარესად მოახმარენ ეკონომიკური კრიზისიდან გამოსვლის გზების ძიებას, სამეურნეო სუბიექტებს შორის ეფექტიან ურთიერთობათა დამყარებას საბაზრო ურთიერთობაზე გადასვლის პირობებში.

სახელმწიფოთა მეთაურებს საჭიროდ მიაჩნიათ თანამიმდევრულად აღკვეთონ არსებული დაბრკოლებანი ურთიერთხელსაყრელი ეკონომიკური თანამშრომლობის განვითარების გზაზე.


სახელმწიფოთა მეთაურებს მიაჩნიათ, რომ დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ქვეყნების ჰერთიერთობა, უწინარესად ეკონომიკური ურთიერთობანი, ხელს შეუწყობს ამ ქვეყნებს შორის ნორმალური თანამშრომლობის პირობების უზრუნველყოფას.

დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის წესდების შესახებ გადაწყვეტილება გახსნილია იმ სახელმწიფოების მიერ ხელმოწერისათვის, რომლებიც მზად არიან საამისოდ.

შედგენილია ქალაქ მინსკში 1993 წლის 22 იანვარს ერთ დედან ეგზემპლარად რუსულ ენაზე. დედანი ეგზემპლარი დაცულია ბელარუსიის რესპუბლიკის მთავრობის არქივში, რომელიც ამ განცხადების ხელმოწერ სახელმწიფოებს გაუგზავნის მის დამოწმებულ პირს.

- გალობის რესპუბლიკის სახელით
- თურქმენეთის სახელით
- მოლდოვის რესპუბლიკის სახელით
- პოლიტიკური სფეროს გარდა
- რუმეთის ფედერაციის სახელით
- სომხეთის რესპუბლიკის სახელით
- ტაჯიკეთის რესპუბლიკის სახელით
- უზბეკეთის რესპუბლიკის სახელით
- უკრაინის სახელით
- ყაზახეთის რესპუბლიკის სახელით
- ყირგიზეთის რესპუბლიკის სახელით





ლალე ჰანტურიე

## მიწის გასხვისეპის გარეგეპატე ტავისეპურეპანი

მიწის გასხვისეპასტან დაკავშირეპული გარეგეპები, განსხვიავეპით მოძრავი ნიეტეპის ანალოგიური გარეგეპებისეგან, მნიშენელოვანი ტავისეპურეპებით ხა-სიატდეპა. ეს ტავისეპურეპები ერტის მხრივ, გამომდინარეოენ მიწის ფიზიკუ-რი და ეკონომიკური მდგომარეობიდან, მეორეს მხრივ, ამ გარეგეპათა სამართ-ლებრივი აღსრულების სპეციფიკიდან.

ნეპისმიერი მიწის ნაკვეთი ტავისი ბუნებრივი (კლიმატი, ლანდშაფტი და ა. შ.) და ასევე ისტორიული პირობეპის წყალობით (მაგალიტად, მოსახლეობის რაოდენობა, ცხოვრეპის ტავისეპურეპანი და ა. შ.) არ არის მხოლოდ გეოგრა-ფიულად ფიქსირეპადი და აქედან გამომდინარე, ინდივიდუალური. მას მნიშენელოვანი სამართლებრივი შედეგები მოსდევს. მიწის ყიდვა-გაყიდვა არის სპეციალური ყიდვა-გაყიდვა<sup>1</sup>, რაც უპირველეს ყოვლისა ნიშნავს გასაყიდი მი-წის ნაკვეთის სახელშეკრულებო ინდივიდუალიზაციას. ამ ხელშეკრულების აღ-სრულებასაც, განსხვიავეპით მოძრავ ნიკტეპზე დადებულ ხელშეკრულებათა აღ-სრულებისეგან, ის ტავისეპურეპა გააჩნია, რომ ადვილად არ შეიძლება მისა გამოცვლა სასაქონლო ბაზარზე.<sup>2</sup>

კლასიკური პოლიტეკონომიის მიხედვით მიწა არის ადამიანთა ძირითადი მოთხოვნილების დაკმაყოფილების შეუცვლელი საფუძველი. მიწის სიმცირე და მისი შეუცვლადობა განაპირობეპენ მიწათსარგებლობის დაგეგმვისა და მისი შე-ზღუდვების აუცილებლობას, რის ერტ-ერთ გამოხატულებას წარმოადგენს საჯა-რო კონტროლი.<sup>3</sup>

მიწის ნაკვეთების ინდივიდუალურობიდან გამომდინარეობს ასევე მასზე ფასწარმოქმნის პროცესის ტავისეპურეპა. ფასი ყოველი მიწის ნაკვეთის მიმართ არის ინდივიდუალური. ე. ი. არ არსებობს ე. წ. საბაზრო ფასი, რაც დამახასია-თებელია მასობრივი წარმოების საქონლისათვის.

ეს ბუნებრივი და ფიზიკური ტავისეპურეპანი აისახეპა უპირველეს ყოვ-ლისა მიწასტან დაკავშირეპული გარეგეპების აღსრულებაში. ამ გარეგეპათა აღ-სრულება ერტი ხელიდან მეორეზე ნიეტის ვადაცემის გზით გამორიცხულია.

<sup>1</sup> Winkler, Wolfgang. Das Landwirtschaftliche Grundstücksverkehrsrecht in den Mit- gliedstaaten der Europäischen Gemeinschaft. Staat und Recht. 7. 1990. S. 550.

<sup>2</sup> Baur, Sachenrecht. 15. Aufl. § 13 c.

<sup>3</sup> Schwab, Sachenrecht. 22. Aufl. S. 43; Knopp, Lothar. Absicherungsstrategien beim Grundstückskauf und betriebsinterne Vorsorge. NJW, 42. 1992, S. 2657 usw.



მყიდველზე მიწის საკუთრების გადასვლა მოითხოვს სპეციალური პროცედურის დაცვას.

მიწის კლასიკური ყიდვა-გაყიდვა გულისხმობს მიწის ბრუნვას კერძოდ რებს შორის. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ განვითარებულმა პროცესებმა მიწის ნაკვეთების ყიდვა-გაყიდვა სამეწარმეო საქმიანობის საგნად აქცია. უფრო ადრე სხვადასხვა კომპანიებმა შეისყიდეს სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთები, დაანაწილეს მცირე პარცელებად და შემდგომ მშენებლობის მსურველებს მიყიდეს ისინი. ომის შემდგომი პერიოდის ბინის საკუთრების კანონმდებლობამ ეს საქმიანობა თვისებრივად ახალ საფეხურზე აიყვანა. კერძოდ, შემძენი მეწარმისგან ყიდულობს საბოლოო პროდუქტს — ბინას, რომელიც სამრეწველო პროდუქტის მსგავსად სერიულად იგეგმება, იწარმოება და სალდება. საბინაო მშენებლობამ სამრეწველო რეგოლაცია მიწის ბაზარზეც ვააგრცელა.

მიწის კლასიკური ყიდვა-გაყიდვისაგან ამ ახალ პროცესს ორი თავისებურება გამოარჩევს: ჯერ ერთი, მიწის ნაკვეთი მეწარმის მიერ დაგეგმარებისა და გადაშუშავების მეშვეობით თვისებრივად იცვლება. მაშინ, როცა კერძო პირების მიერ მიწის ნაკვეთის ყიდვა-გაყიდვა გამსხვივების მხრიდან გამოირჩევა ამგვარ სპეციალურ დამუშავებას შემდგომი გაყიდვის მიზნით; მეორე, ხელშეკრულების მხარეებად ერთმანეთის პირისპირ დგანან მეწარმე და მომხმარებელი. ამასთან, მეწარმე (ბინათმშენებელი) თავის საქმიანობას ახორციელებს მომხმარებლის მიერ წინასწარ გადახდილი თანხით, რაც სრულიად უცხოა მიწის კლასიკური ყიდვა-გაყიდვისთვის. ამ ორი ინსტიტუტის ერთმანეთთან შედარების შედეგად ლიტერატურაში დამკვიდრებულია აზრი, რომ „ბინის ყიდვა სამშენებლო ორგანიზაციებისაგან წარმოადგენს მიწის კლასიკური ყიდვა-გაყიდვისაგან განსხვავებული ხელშეკრულების ტიპს“<sup>4</sup>.

არსებითად ეს პრობლემები დაკავშირებულია მიწის გასხვივების სამართლებრივ რეგლამენტაციასთან. ამ მიმართებით სანივთო სამართალში წამოიჭრება საკითხთა ორი ჯგუფი: პირველი, თუ როდის გადადის გასხვივებული მიწის ნაკვეთის საკუთრება შემძენზე და, მეორე, სამართლებრივი უზრუნველყოფა იმისა, რომ მიწის ნაკვეთის გამსხვივებელი ნამდვილად არის ამ მიწის მესაკუთრე, რათა ამით დაცულ იქნეს ნაკვეთის შემძენის ინტერესები.

### 1. საკუთრების გადასვლა შემძენზე


„საკუთრების გადასვლის“ ცნება არსებითად სამ კითხვაზე პასუხის გაცემას გულისხმობს.

პირველი. გამყიდველსა და მყიდველს შორის (inter partes) ურთიერთობაში უნდა განისაზღვროს, თუ როდემდეა გამყიდველი უფლებამოსილი. მიიღოს სარგებელი მიწის ნაკვეთიდან, როგორცაა ნაყოფი ანდა მოსავალი და როდის გადადის ეს სარგებელი მყიდველზე. აგრეთვე, თუ როდის გადადის მყიდველზე ნივთის შემთხვევით დაღუპვის რისკი.

მეორე. Erga omnes ნიშნავს იმ ფაქტის დადგენას, რომელთანაც არის დაკავშირებული ნივთის განკარგვის უფლებამოსილების გადასვლა გამყიდველიდან მყიდველზე და რომლის შემდეგ გამყიდველი ვალდებულია არ დაუშვას საკუთრების გადაცემა მესამე პირზე.

<sup>4</sup> Hoffmann, v. Bernd. Das Recht des Grundstückskaufs. Eine rechtsvergleichende Untersuchung. J. C. B. Mohr. Tübingen, 1982. S. 9.





მესამე. დასადგენია, თუ რა მიმართება უნდა არსებობდეს გამყიდველის კრედიტორსა და შემძენს შორის, ე. ი. რა მოცულობით უნდა გადავიდეს გამყიდველის ქონების პასუხისმგებლობა კრედიტორის წინაშე მყიდველის ქონებაზე<sup>5</sup>.

საქონლის მოძრაობა გამყიდველიდან მყიდველზე საბოლოოდ მაშინ არის დასრულებული, როცა სახეზეა როგორც *inter partes*, ასევე *erga omnes* კრედიტორების წინაშე კი მიწის ნაკვეთი უკვე შემძენის საკუთრებაა<sup>6</sup>. პრინციპული პრობლემა მაინც არის გამყიდველიდან მყიდველზე ნივთის განკარგვის უფლებამოსილების გადაცემა და აქედან გამომდინარე, მყიდველის პასუხისმგებლობის მოცულობა გამყიდველის კრედიტორების წინაშე.

მიწის საკუთრების გადასვლის მომწესრიგებელ თანამედროვე სამართლებრივ სისტემებს ერთმანეთისაგან ორი ვარემოება განასხვავებთ: ჯერ ერთი, შეუძლიათ თუ არა მხარეებს დამოუკიდებლად განსაზღვრონ საკუთრების გადასვლის მომენტი და მეორე, საჭიროა თუ არა სპეციალური საჯარო აქტი ამგვარი გადასვლის ნამდვილად მიხსნევისათვის. პირველს ეწოდება კერძო სისტემები, მეორეს კი — საადგილმამულო წიგნის სისტემები.

კლასიკური რომის სამართალი უძრავი ქონების საკუთრების გადასვლას განსაკუთრებულ ფორმალობებს უკავშირებდა. აუცილებელი იყო სულ ცოტა ხუთი მოწმის თანდასწრება (*mancipacion*), ანდა საკუთრების დათმობა სასამართლოს წინაშე (*in iure cessio*). მოგვიანებით *mancipacio*-სა და *in iure cessio*-ს ადგილზე მოვიდა უძრავი ქონების გადაცემის (*traditio*) ინსტიტუტი. მაგრამ რადგანაც მიწის ნაკვეთის ფიზიკური გადაცემა შეუძლებელია. „ტრადიციო“ იმგვარად აღსრულდებოდა, რომ მხარეები განაცხადებდნენ თანხმობას მიწის საკუთრების გადასვლის თაობაზე. კლასიკური ეპოქის შემდგომ პერიოდში მიწის საკუთრების ამგვარი გადაცემა შეცვლილ იქნა კერძო დოკუმენტით, რომელიც საკუთრების გადაცემის განცხადებას შეიცავდა (*traditio facta*). გერმანულ გვაროვნულ საზოგადოებაში ხალხისთვის საკუთრების გადასვლა იმით ხდებოდა ცნობილი, რომ საკუთრების გადაცემისთვის აუცილებელი მოქმედებები სახალხო კრების წინაშე უნდა შესრულებულიყო<sup>7</sup>. თანამედროვე სახელმწიფოთა ჩამოყალიბების კვალობაზე მოგვიანებით სახალხო კრების ადგილს იკავებს სახელმწიფო მმართველობის სპეციალური ორგანოები.

მაშინ, როცა კერძო სისტემები უარყოფენ საკუთრების გადასვლის საკითხში საჯარო ორგანოების ჩარევას, საადგილმამულო წიგნის სისტემები ახალ დამატებით ფუნქციებს ანიჭებენ უწყებებს. რეგისტრაციის აუცილებლობამ წესით უნდა უზრუნველყოს მხარეთა ინტერესები და შეუქმნას მათ დამატებითი მტკიცებულებები მათი უფლებების შესახებ. ამ ეტაპზე რეგისტრაციის სავალდებულობა ემსახურება მხარეთა ინტერესებს, მათ უსაფრთხოებას და არა სახელმწიფოს ინტერესებს. რეგისტრაციის სავალდებულობა მოგვიანებით სახელმწიფოებრივი ნებართვის სავალდებულობით შეიცვალა. ამით სანივითო-სამართლებრივი საკუთრების გადაცემის ინსტიტუტი უკვე საჯარო-სამართლებრივ მნიშვნელობასაც იძენს და წინა პლანზე წამოიწევს არა მხოლოდ კერძო პირთა (ე. ი. მხარეთა ინტერესები), არამედ სახელმწიფოს ინტერესებიც.

<sup>5</sup> იქვე, გვ. 15

<sup>6</sup> იქვე, გვ. 16

<sup>7</sup> Kruse, Vinding. Das Eigentumsrecht. Bd. II, S. 1010-1055. დანიელი პროფესორის კრუსეს ეს კაპიტალური შრომა რომელიც სამი ტომისგან და 2500 გვერდისგან შედგება, დაიწერა 1931 წელს.



კერძო სისტემები განმტკიცებულ იქნა როგორც რომანულ, ასევე ანგლო-ამერიკულ სამართლის სფეროში. საადგილმამულო წიგნის სისტემები დამკვეთ-რდნენ გერმანულენოვან შუა ევროპასა და ავსტრალიაში. შუა ევროპის საად-გილმამულო წიგნის სისტემებს ერთმანეთთან ისა აქვთ საერთო, რომ მიწის საკუთრების გადაცემისთვის აუცილებელია როგორც რეგისტრაცია, ასევე მხარეთა ნების გამომხატველი აქტი (გარიგება). ავსტრალიური ტორენსის სისტემის თანახმად საკუთრების შეძენა ჩამოცილებულია მხარეთა ნებას და მხოლოდ რეგისტრაციის სახელმწიფო აქტზეა დამოკიდებული.

ნათელი წარმოდგენა რომ შეიქმნას ამ ორ სისტემას შორის განსხვავების არსზე, მე მას განვიხილავ რამდენიმე ქვეყნის მაგალითზე. პირველ რიგში შევეხები კერძო სისტემების ქვეყნებს. კერძო სისტემები საკუთრების გადასვლას უკავშირებენ სამ ფაქტს: ა) მიწის ნაკვეთის გადაცემას; ბ) გასხვისების დამდასტურებელი დოკუმენტის გადაცემას; გ) ხელშეკრულების დადებას.


მიწის ნაკვეთის გადაცემას ითვალისწინებს ესპანური სამართალი, რომლის მიხედვით საკუთრების გადასვლისათვის ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების გარდა დამატებით საჭიროა ნივთის გადაცემა („ტრადიციო“). გადაცემა შეიძლება იყოს როგორც რეალური, ასევე იმიტირებული. ნაყიდი ნივთის რეალური გადაცემა დასრულებულია მაშინ, როცა იგი მყიდველის მფლობელობაში გადადის. მიწის ნაკვეთების მიმართ ეს იმგვარად ხდება, რომ მყიდველი ნაკვეთის მფლობელობაში მიიღებს გამყიდველის თანხმობით. მიწის ნაკვეთის საკუთრება იმიტაციის ტრადიციით გადადის მყიდველზე, როცა ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულება ნოტარიულად დამოწმებული იქნება, მაგრამ საკუთრების გადასვლისთვის ამ შემთხვევაშიც აუცილებელია რეალური გადაცემა. ამგვარად, ნივთის გადაცემა და ხელშეკრულების დამოწმება ერთდროულად ესპანური სამართლის მიხედვით იწვევს საკუთრების გადასვლას მყიდველზე. საკუთრების გადასვლა შეიძლება საკუთრების რეგისტრში იქნეს შეტანილი. ამგვარი რეგისტრაციის საფუძველი არის სანოტარო წესით დამოწმებული ხელშეკრულება, მაგრამ რეგისტრაციის იძულებას ესპანური სამოქალაქო სამართალი არ იცნობს. ფაქტობრივად სასოფლო მიწის ნაკვეთების უდიდესი ნაწილი ესპანეთში არარეგისტრირებულია. აქ აღსანიშნავია ერთი გარემოება: 40-იან წლებში ესპანურ მეცნიერებაში წამოყენებულ იქნა მოთხოვნა მიწის ნაკვეთების სავალდებულო რეგისტრაციის შესახებ, მაგრამ იგი უარყვეს, რადგან მიწის ნაკვეთების 60 პროცენტზე მეტი არ იყო რეგისტრში შეტანილი. სავალდებულო რეგისტრაციის შემოღება არ შეცვლისო მოსახლეობის ჩვეულებას და ამის შედეგად ფაქტობრივი მდგომარეობა და სამართლებრივი რეგულირება შეიძლებოდა სრულიად განსხვავებული ყოფილიყო ერთმანეთისგან<sup>8</sup>.

რეგისტრაციის არაპირდაპირ იძულებას მაინც იცნობს ესპანური სამართალი. მაგალითად, მიწის ნაკვეთის ორმაგი გაყიდვის დროს საკუთრებას მთლიანობებს ის შემძენი, რომელიც რეგისტრირებულ იქნება.

დოკუმენტის გადაცემის ინსტიტუტს იცნობს ანგლო-ამერიკული სამართალი, რომელიც უძრავი ქონების გადაცემისას ერთმანეთისაგან ყოფს ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებასა და გადაცემას. მიწის ნაკვეთებზე უფლებების წარ-

<sup>8</sup> ჰომანის დას. შრომა, გვ. 19.





მოშობისა და გადაცემის ტიპურ საშუალებას წარმოადგენს კერძო დოკუმენტი (deed)<sup>9</sup>. ინგლისში 1925 წლის Law of property Act-ის მეშვეობით კოდიფიცირებულ იქნა მიწის ნაკვეთებზე უფლებათა გარიგებისეული წარმოშობა და გადაცემა (conveyance). მისი არსებითი ელემენტი მდგომარეობს შემდეგში: გამსხვიებელმა უნდა „გადასცეს“ ხელმოწერილი და ბეჭდით დამოწმებული დოკუმენტი. ხელმოწერის სავალდებულო მოთხოვნა შემოღებულ იქნა 1925 წელს<sup>10</sup>.

გადაცემა („delivery“) თანამედროვე ინგლისურ სამართალში გაიგება არა როგორც მფლობელობის რეალური დათმობა, არამედ გამსხვიებლის ისეთი მოქმედება ანდა განცხადება, რომელიც მის ნებას გამოხატავს, რომ საკუთრება საბოლოოდ შემძენზე უნდა გადავიდეს. იგი არის გამყიდველის ცალმხრივი მოქმედება. საკუთრება ამგვარად გადადის „deed“-ის მეშვეობით აღნიშნულ შემძენზე ისე, რომ ამისთვის მისი (ე. ი. შემძენის), თანხმობის განცხადება არაა სავალდებულო. სამართლებრივი პოსტულატი, რომ არავინ არ შეიძლება მისი ნების საწინააღმდეგო უფლებით იქნას აღჭურვილი, თავის გამოხატულებას ინგლისურ სამართალში პოულობს შემძენის მიერ უარის თქმის უფლებაში („disclaimer“).

ამერიკის შეერთებულმა შტატებმაც („Common/Law“) სისტემიდან გადმოიღეს მიწის ნაკვეთის კერძო გადაცემის სისტემა. წერილობითი მოთხოვნები ისევე აუცილებელია, როგორც ინგლისურ სამართალში, ოღონდ ბეჭდით დამოწმება ბევრ შტატში გაუქმებულია. ინგლისური სამართლისაგან განსხვავებით საკუთრების გადასვლა ხდება არა გამსხვიებლის ცალმხრივი delivery-თ, არამედ აუცილებელია ასევე შემძენის მიერ მისი მიღება (აქცეპტი). ზოგ შტატში არსებობს ტრანსკრიპციის რეგისტრები, სადაც შეიძლება საკუთრების გადატანის რეგისტრაცია.

საკუთრების გადასვლა ხელშეკრულების დადებით ფრანგული სამოქალაქო კოდექსის ერთ-ერთ ფუნდამენტურ ინსტიტუტს შეადგენს. მის თანახმად მიწის ნაკვეთზე საკუთრება გადადის გამყიდველიდან მყიდველზე ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების დადების მომენტიდან. მაგრამ აქ ხშირად საეჭვო ხდება, თუ რა იგულისხმება ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებაში, ვინაიდან ფრანგული ტრადიციის თანახმად მიწის ნაკვეთის ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების დადება ორ საფეხურად იყოფა. თავდაპირველად მხარეები აფორმებენ ხელშეკრულებას, შემდგომ კი მას ნოტარიუსთან ადასტურებენ. ყიდვის შეპირებას სამოქალაქო კოდექსი ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებას უთანაბრებს. ამიტომ დადგა საკითხი, თუ როდის ითვლება საკუთრება გადასულად. სასამართლო პრაქტიკამ ამგვარი ტენდენცია განავითარა, რომ მიწის საკუთრება შემძენზე გადადის არა ყიდვის შეპირების მომენტიდან, არამედ ხელშეკრულების დადების მომენტიდან<sup>11</sup>.

ფრანგულ სამოქალაქო კოდექსზე მუშაობისას მიწის რეგისტრის შემოღება მიზნულ იქნა მოქალაქეთა სამართლებრივი ურთიერთობის კერძო სფეროში გაუმართლებელ ჩარევად. პირველად მხოლოდ 1855 წელს იქნა მიწის რეგისტრი შემოღებული, რომელშიც შეიძლებოდა მიწის ნაკვეთებზე სანივთო უფლებების რეგისტრაცია. რეგისტრაცია იყო ფაკულტატური. მას ის მნიშვნელობა

<sup>9</sup> Erdell, Bernd. Übertragung des Eigentums an Grundstücken nach englischem Recht. Kiel, 1968.  
<sup>10</sup> იქვე, გვ. 17, 57.  
<sup>11</sup> ჰოფმანი, გვ. 24



ჰქონდა, რომ რეგისტრირებულ შემქმენს უპირატესობა გააჩნდა არარეგისტრირებულ შემქმენთან შედარებით. 1955 წლის 4 იანვრის მიწის რეესტრის რეფორმა იმ პრინციპიდან ამოდიოდა, რომ რეესტრის სრულყოფილება სამართლებრივ ურთიერთობათა ზოგად ინტერესებში მდგომარეობს და რეგისტრაცია სავალდებულოდ გამოაცხადა. მაგრამ მან რეგისტრაციას არ მიანიჭა კონსტიტუციური მნიშვნელობა საკუთრების შექმენისათვის, არამედ დაკმაყოფილდა რეგისტრირებული შემქმენისთვის უპირატესობის მინიჭებითა და სხვა არაპირდაპირი საჩქებიტით. მხოლოდ სანოტარო დოკუმენტები რეგისტრირდება<sup>12</sup>. ამ რეფორმის შემდეგაც ფრანგული სამართალი მხარს უჭერს იმ კონსტრუქციას, რომ მიწის ნაკვეთებზე საკუთრება მყიდველზე გადადის ხელშეკრულების დადებით და მას აქვს შედეგი მესამე პირთა მიმართაც.<sup>13</sup>

საადგილმამულო წიგნის სისტემის ქვეყნებისთვის დამახასიათებელია, რომ მიწის ნაკვეთზე საკუთრება წარმოიშობა მხოლოდ შესაბამისი რეგისტრაციის შედეგად. გერმანული სამართლით მიწის ნაკვეთზე საკუთრების გადასვლისათვის აუცილებელია მესაკუთრისა და შემქმენის თანხმობა საკუთრების გადასვლაზე (დათმობა) და რეგისტრაცია საადგილმამულო წიგნში. ეს თანხმობა გერმანიის სამოქალაქო სამართლის კოდექსის § 925-ის თანახმად „სათანადო ადგილზე უნდა იყოს გამოცხადებული“. თავდაპირველად „სათანადო ადგილად“ მიჩნეული იყო მხოლოდ საადგილმამულო წიგნის სამსახური. 1934 წლიდან შემოღებულ იქნა ნოტარიუსების ფაკულტატური უფლება ამ თანხმობის დასადასტურებლად, ხოლო 1969 წლის 28 აგვისტოს დოკუმენტაციის დამოწმების კანონის შემდეგ საადგილმამულო წიგნის სამსახურის ადგილი დაიკავეს ნოტარიუსებმა. ამჟამად „სათანადო ადგილს“ წარმოადგენს ნოტარიუსი.

ავსტრიის სამოქალაქო სამართლის მიხედვითაც მიწის ნაკვეთებზე საკუთრების გადაცემისთვის აუცილებელია შემქმენის გარიგების რეგისტრაცია ამისთვის განსაზღვრულ საჯარო წიგნებში. რეგისტრაციასთან ერთად საკუთრების გადასვლის აუცილებელ პირობას შეადგენს ნამდვილი ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულება. თუ გარიგება ბათილია, მაშინ საჯარო წიგნში შეტანას არავითარი იურიდიული მნიშვნელობა არ გააჩნია. ამით საადგილმამულო წიგნების „ფორმალური სამართლებრივი ძალის მოძღვრება“. ე. ი. რომ ამ წიგნებში შეტანას თავისთავად წარმოშობს საკუთრების უფლებას, უარყოფილია.

ანალოგიური წესი მოქმედებს შვეიცარიაშიც, მაგრამ იმ განსხვავებით, რომ საადგილმამულო წიგნის სამსახურში განცხადებას აქ უკვე იურიდიული მნიშვნელობა აქვს. კერძოდ, იგი განაჩილება, როგორც „გამსხვიისებლის მატერიალური განკარგვა“<sup>14</sup>.

**ტორენსის სისტემები.** 1858 წელს სამხრეთ ავსტრალიაში მოხდა კერძო სისტემის რადიკალური უარყოფა და მიწის საკუთრების სავალდებულო რეგისტრაციის პრინციპზე გადასვლა. მისი შემომღები და პრაქტიკული განმხორციელებელი იყო რობერტ ტორენსი, რომლის სახელსაც ეს სისტემა ატარებს. იგი განხლდათ ინგლისელი კოლონიური მოხელე, რომელსაც თავდაპირველად გემუბის რეგისტრაცია ჰქონდა მინდობილი. 1853 წელს იგი დაინიშნა მიწის ნაკვე-

<sup>12</sup> Bärmann, Neues französisches Grundstücksrecht: Aep 155 (1956) S. 440, 441.; Sturm, Bringt die französische Bodenregisterreform eine Annäherung an das deutsche Grundbuchrecht?, in: FS Ficker (1967) 459, 471.

<sup>13</sup> ჰომანი, გვ. 26.

<sup>14</sup> ჰომანი, გვ. 29.





თების ტრანსკრიპციის უწყების ხელმძღვანელად, სადაც მან გემების რეგისტრაციის ფორმები მიწის ნაკვეთებზე გადაიტანა. სამხრეთავსტრალიური სისტემა გავრცელდა არა მხოლოდ ავსტრალიის სხვა შტატებსა და ახალ ზელანდიაში, არამედ კანადის პროვინციებშიც. ტორენსის სისტემამ გავლენა იქონია ინგლისის 1925 წლის რეფორმებზე, საიდანაც იგი მოგვიანებით ირლანდიაში გადავიდა, შემდეგ კი ნიგერიაში და ტანზანიაში<sup>15</sup>.

რეგისტრაციის იძულება ავსტრალიაში, ახალ ზელანდიაში და კანადაში გავრცელდა მხოლოდ იმ მიწის ნაკვეთებზე, რომლებიც სამეფო კარის მიერ იქნა გაცემული ტორენსის კანონის ძალაში შესვლის შემდეგ. (ვფიქრობ, რომ ეს ათვლის წერტილად საქართველოს მიწის რეფორმისთვისაც გამოდგებოდა). ყველა ის ნაკვეთი, რომელიც ამ კანონის ძალაში შესვლამდე იმყოფებოდა კერძო პირების საკუთრებაში, შეეძლოთ მათ ნებაყოფლობით გაეტარებინათ რეგისტრაციაში. მიწის ნაკვეთის გასხვისება ძველი Common-Law სისტემის მიხედვით ასევე შესაძლებელი იყო. დღესაც ამ ქვეყანაში ორივე ეს/სისტემა არსებობს, მაგრამ თუ ავსტრალიაში ტორენსის სისტემა ჭარბობს, კანადაში იგი გამოჩაქლისს შეადგენს.

ინგლისსა და უელსში ნელ-ნელა იქნა შემოღებული სავალდებულო რეგისტრაციის ტორენსისეული პრინციპი. ამ სისტემის გამოყენებით დადებულ გარიგებათა რიცხვმა გარიგებათა საერთო რაოდენობის ნახევარზე მეტი შეადგინა.

რაში მდგომარეობს ავსტრალიაში მოქმედი ტორენსის სისტემის არსი? ამ სისტემის თანახმად გამსხვისებელმა უნდა შეადგინოს ე. წ. „memorandum of transfer“. ამ დოკუმენტში განმცხადებელი აცხადებს, რომ იგი თავის საკუთრებას გადასცემს შემძენს, ხოლო Common-Law-ის მიხედვით საკუთრება გადადის deed-ის მეშვეობით. ტორენსის სისტემის თანახმად, რეგისტრაცია არის სავალდებულო ელემენტი საკუთრების გადაცემისთვის. ამ სისტემის მიხედვით მიწის საკუთრების გადაცემის იურიდიული განმსაზღვრელია არა მხარეთა ნება და მოქმედება, არამედ რეგისტრაციის სახელმწიფო აქტი. რეგისტრაციით შემტანი შეიძენს ახალ საკუთრებას. ეს შეძენა დამოუკიდებელია გარიგების ნამდვილობისგან. დაბოლოს, საკუთრების მოპოვება რეგისტრაციის ძალით არის საბოლოო და ხელშეუხებელი, თუკი კანონი პირდაპირ არ მიუთითებს გამოჩაქლისის თაობაზე.

მთავარი სადავო საკითხი ტორენსის სისტემაში ისაა, არის თუ არა საკუთრების შეძენა რეგისტრაციის ძალით მაშინაც ხელშეუხებელი, როცა საკუთრების გადაცემის განცხადება ბათილია, ან თუ მხოლოდ კეთილსინდისიერი შემძენის საკუთრება ხდება ხელშეუხებელი. ერთ-ერთ სასამართლო გადაწყვეტილებაში მითითებულ იქნა, რომ საკუთრების გადაცემის განცხადების ბათილობის შემთხვევაშიც კი ხელშეუხებელი საკუთრება მის პირველ შემძენს წარმოეშობა<sup>16</sup>. ამ გზას ადგას ავსტრალიის სასამართლო პრაქტიკა დღესაც. სასამართლოს ეს გადაწყვეტილება კი 1967 წელს იქნა მიღებული.

ინგლისმა ტორენსის სისტემიდან გადმოიღო მხოლოდ ის, რომ საკუთრების შეძენისთვის გადამწყვეტია რეგისტრაცია და ამით ის წინააღმდეგობა, რაც შესაძლებელია ავსტრალიაში მატერიალურ სამართლებრივ მდგომარეობასა და რეესტრის მდგომარეობას შორის, გამოირიცხულია. არსებითი განსხვავება ავს-

<sup>15</sup> იქვე, გვ. 30-31.  
<sup>16</sup> ჰოფმანი, გვ. 32.



ტრალიის სისტემისაგან იმაში მდგომარეობს, რომ ინგლისური სამართლის მიხედვით შესაძლებელია საადგილმამულო წიგნის შემდგომი კორექტურა. მაშინ, როცა ავსტრალიაში ეს მხოლოდ იშვიათ გამონაკლისს წარმოადგენს.

## 2. სამართლებრივი ურთიერთობის ფორმის დაცვა

მეორე პრობლემა, რომელიც სანივით სამართალში არსებობს მიწის საკუთრების მიმართ, მდგომარეობს სამართლებრივი ურთიერთობის ფორმის უზრუნველყოფაში. უძრავი ქონების გასხვისებითი ურთიერთობის ძირითადი პრინციპის თანახმად, მიწის საკუთრების გადაცემა მხოლოდ მაშინაა ნამდვილი, როცა გამსხვისებელი მესაკუთრეა. რომის სამართლის მოქმედების სფეროში არსებული ყველა ქვეყნისთვის ეს პრინციპი ერთ-ერთი ფუძემდებელია. მყიდველს (ზოგადად შემძენს) უნდა შეეძლოს იმის შემოწმება, რომ მიწის ნაკვეთის გამსხვისებელი ნამდვილად მესაკუთრეა. სიფრთხილის ამ ღონისძიების მიზანი არაა მხოლოდ გამყიდველის სიცრუის თავიდან აცილება, არამედ მესაკუთრის სამართლებრივი მდგომარეობის უზრუნველყოფაც. ამგვარი შემოწმების მეშვეობით შესაძლებელია ყველა იმ გარიგების კონტროლი, რომელიც მოცემული მიწის ნაკვეთის მიმართ დადებულია საერთოდ. „გასხვისების დამადასტურებელი დოკუმენტები ეს ერთადერთი დამამტკიცებელი საბუთია, რომელიც თაობიდან თაობას გადაეცემა“<sup>17</sup>.

უძრავი ქონების გასხვისების სამართლებრივი უზრუნველყოფის აუცილებლობა მე-19 საუკუნეში, მიწის გათავისუფლების შემდეგ წარმოიშვა, როცა აუცილებელი გახდა, როგორც მიწის პოტენციური შემძენის, ასევე მისი გამსხვისებლის დაცვა. ამ დროიდან ამგვარი დაცვის სამართლებრივ ფორმას წარმოადგენს მიწის საკუთრების რეგისტრაცია საადგილმამულო წიგნში. რეგისტრაციის ეს წესი ზოგჯერ შეიძლება მესაკუთრისთვის უფლების დაკარგვასაც ნიშნავდეს. ეს ზდება მაშინ, როცა საადგილმამულო წიგნში შეცდომით იქნა ჩანაწერი გაკეთებული. ასეთ შემთხვევაში დაზარალებულ მესაკუთრეს აქვს უფლება მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება. გერმანიაში მოქმედებს პირდაპირი ზიანის ანაზღაურების მოვალეობა სახელმწიფოს მხრიდან, როცა არაკორექტული ჩაწერა მისი მოხელის შეცდომით მოხდა (ძირითადი კანონის 34-ე მუხლი და სამიქალაქო სამართლის კოდექსის § 839).

<sup>17</sup> ჰოფმანი, გვ. 36.



დავით დავითაძე

## კონტრაბანდის საგანი

კონტრაბანდა მიეკუთვნება ეგრეთ წოდებულ საგნობრივ დანაშაულობათა კატეგორიას. ასეთი სახის ქმედებებში ხელყოფის საგანი დიდ მნიშვნელობას იძენს საზოგადოებრივ ურთიერთობების როგორც სამართლებრივი დაცვის ობიექტთან, უფრო სწორად მის შინაგან სტრუქტურებთან დაკავშირებით, ასევე დანაშაულის კვალიფიკაციის თვალსაზრისითაც. კონტრაბანდის შემადგენლობაში ხელყოფის საგანი ორივე აღნიშნულ შემთხვევაში ასრულებს განსაზღვრულ ფუნქციონალურ როლს. ამას ისიც უნდა დაუმატოთ, რომ საქართველოს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 1991 წლის 2 აგვისტოს კანონით კონტრაბანდის საგნების ზოგიერთ სპეციფიკურ სახეობებს (ფეთქებადი, ნარკოტიკული, ძლიერმოქმედი და შხამიანი ნივთიერებები, იარაღი, და სამხედრო საჭურველი) მიეცა მაკვალიფიცირებელი ნიშნების მნიშვნელობა მოცემული დანაშაულისათვის (სსკ 79-ე მუხლის მე-2 ნაწილი) და მკვეთრად გაიზარდა სანქციები (10-დან 15 წლამდე თავისუფლების აღკვეთა ქონების კონფისკაციით) მათი უკანონო გადატანისათვის სახელმწიფო საზღვრებზე. ესე იგი, საქართველოს სსკ-ს მიხედვით კონტრაბანდისათვის პასუხისმგებლობა დიფერენცირდება ხელყოფის საგნის განსაკუთრებულ თვისებებზე დამოკიდებულებით.

უწინარესად, შევჩერდებით საზოგადოებრივი ურთიერთობებისა და მატერიალური სამყაროს საგნების კატეგორიათა თანაფარდობის სოციოლოგიურ ასპექტზე, ცხადია, განსახილველი დანაშაულის კონტექსტში მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ მატერიალური სამყაროს საგნები საზოგადოებრივი კავშირების გარეშე თავისთავად სოციალურად ნეიტრალური, ინერტული და პასიურია, ე. ი. ისინი არაფრით არ ამჟღავნებენ თავიანთ საზოგადოებრივ ფუნქციებს, რომელთაგან მთავარია დააკმაყოფილონ ადამიანების სხვადასხვარი მოთხოვნები. ვ. გ. აფანასიევი აღნიშნავს ამ მნიშველოვან მეთოდოლოგიურ ვითარებას და წერს: „საგნები ჩართულნი არიან საზოგადოებრივი ცხოვრების ორბიტაში როგორც სოციალური სისტემის კომპონენტები... ამით ისინი როდი კარგავენ ბუნებრივ თვისებებს... ასეთ შემთხვევაში გვაქვს ერთიანობა ბუნებრივსა და სოციალურს შორის ამასთან, ბუნებრივი ვლინდება იმ მასალაში, რითაც მზადდება ნივთი, ხოლო სოციალური იმაში, რომ აკმაყოფილებს ადამიანთა ამათუიმ მოთხოვნილებას და ამით იგი შედის საზოგადოებრივ ურთიერთობაში ორბიტაში“.<sup>1</sup> (ხაზგასმა ჩვენია — დ. დ.).

ვ. ი. ტაციმ მეცნიერებაში შემოიტანა საგნის დანაშაულებრივი ზემოქმედების ცნება და იგი მივიდა იმ დასკვნამდე, რომ სამეურნეო დანაშაულის მიხედვით ადგილი აქვს დანაშაულებრივი ზემოქმედების საგნის თანახვედრას სისხლის სა-

1 იხ. ჟურნ. „ვობროსი ფილოსოფი“, 1973, № 6, გვ. 101.



მართლის კანონით დაცულ საზოგადოებრივ ურთიერთობათა საგანგებო მდგომარეობის  
ბული კატეგორიები კონტრაბანდის შემადგენლობაშიც ემთხვევიან ერთმანეთს.

ცობილია, რომ ფილოსოფოსები, სოციოლოგები და იურისტები საზოგადოებრივ ურთიერთობათა სტრუქტურაში ყველა თავისი კუთხით გამოიჭყოფს:

1. ურთიერთობათა მატარებლებს (სუბიექტები, მხარეები); 2. საგნებს, რომელთა გამო წარმოიშვა და არსებობს თვით ურთიერთობანი და 3. ადამიანთა სოციალურად მნიშვნელოვან საქმიანობას, რომლის პროცესშიც მყარდება განსაზღვრული სოციალური კავშირები, როგორც ურთიერთობათა შინაარსი.<sup>2</sup> ამასთან, ვ. ი. ტაცი მიუთითებს: „საზოგადოებრივ ურთიერთობათა სტრუქტურა შემადგენელ ელემენტთა უბრალო ჯამი კი არ არის, არამედ ერთმანეთთან აქვთ ურთიერთკავშირები და შესაბამისი წესით ურთიერთმოქმედებენ საზოგადოებრივი ურთიერთობების სტრუქტურული ელემენტების ერთიანობისა და ურთიერთმოქმედების გარეშე მათი შინაგანი და გარეგანი ურთიერთკავშირები და თვით ურთიერთობათა სოციალური არსი იკარგება“.


მატერიალური სამყაროს საგანი არის საბაბი ან წინაპირობა სოციალურად ნიშნადი საქმიანობისა, რომლის მიზანიცაა მათი დახმარებით დააკმაყოფილოს სახელმწიფოს, საზოგადოების, მისი ცალკეული წევრის ესა თუ ის მოთხოვნილება. ამრიგად, სოციალურად ნიშნადი საქმიანობა, განსაკუთრებით ეკონომიკური ხასიათისა, განუყოფლად, ორგანულად არის დაკავშირებული მატერიალურ სამყაროს გარკვეულ საგნებთან. საგანი ხდება საქმიანობის ატრიბუტი და ამ სახით შედის საზოგადოებრივ ურთიერთობათა ორბიტაში, ამდენად იგი სოციალური სისტემის კომპონენტიც ხდება. ამ ელემენტალური ლოგიკური სილოგიზმის შექმნის შემდეგ მივვლით საბოლოო დასკვნამდე: მატერიალური სამყაროს საგნები თვით ურთიერთობათა სტრუქტურაში შედიან როგორც მისი სისტემის ერთ-ერთი წარმომქმნელი ნაწილები.

თუ ამ ზოგად დებულებებს გადავიტანთ გასაანალიზებელ კონტრაბანდის შემადგენლობის სიბრტყეზე, მაშინ უნდა ვაღიაროთ, რომ საგნები და სხვა ფაქტორები, რომლებიც უკანონოდ გადააქვთ სახელმწიფო საზღვარზე, შედიან სისხლის სამართლის კანონით დაცულ იმ საზოგადოებრივ ურთიერთობათა შემადგენლობაში, რომლებსაც მოცემული დანაშაული რეალურად არღვევს. მართლაც, ქმედება (კანონიერი ან უკანონო), რაც გამოიხატება საქონლის გადაადგილებით სახელმწიფო საზღვარზე, უბრალოდ უაზრობაა და ფაქტობრივად შეუძლებელიცაა მატერიალური სამყაროს საგნებზე ზემოქმედების გარეშე. თუ ჩვენ ამოვიღებთ საგნებს ამ სახის ადამიანური საქმიანობის სფეროდან, მაშინ თვით იგი კარგავს ყოველგვარ აზრს, მთლიანად სცილდება მოთხოვნილებებსა და ინტერესებს. მაგრამ ინდივიდის მიერ შეგნებული ასეთი საქმიანობა სოციალურ სამყაროში არ არსებობს და არც შეიძლება არსებობდეს. საგნის გადატანა სახელმწიფო საზღვარზე არის ამ სახის ადამიანური ქცევის შინაგანი იმპულსი და ჭეშმარიტი აზრი. ამიტომ ადამიანთა სოციალურად ნიშნად ქმედებათა სფეროს გარეთ საგნის გატანა გაუმართლებელია როგორც დიალექტიკური ლოგიკის თვალსაზრისით ისე საქმის ფაქტობრივი მნიშვნელობითაც.

კონტრაბანდის საგნების კლასიფიცირება შეიძლება ორ ჯგუფად: 1. ნებისმიერი საქონელი და ფასეულობანი, რასაც გააჩნია გაცვლითი და სამომხმარებ-

<sup>2</sup> იხ. ვ. ი. ტაცი, პასუხისმგებლობა სამეურნეო დანაშაულისათვის, ობიექტი და სისტემა, გვ. 26-32, 17-18; ი. მ. ბრანიანი, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა და მისი საფუძველი სისხლისსამართლებრივ სამართალში, გვ. 167 (რუსულ ენაზე).





ლო ღირებულება და რომელთა უკანონოდ გადაადგილება სახელმწიფო საზღვარზე ქმნის კონტრაბანდის შემადგენლობას საქართველოს რესპუბლიკის სსკ 179-ე მუხლის I-ლი ნაწილის დისპოზიციის მხოლოდ ერთ-ერთ ნიშნის არსებობისას და 2. საგანთა განსაკუთრებული კატეგორია, რაც უშუალოდ და ამომწურავად არის ჩამოთვლილი სსკ მითითებული მუხლის მე-2 ნაწილში.

პირველ ჯგუფში შესული კონტრაბანდის საგანი შეიძლება იყოს ნებისმიერი მატერიალური ღირებულება, რომელიც უკანონოდ გადააქვთ სახელმწიფო საზღვარზე და არსებობს სსკ 79-ე მუხლის 1-ლი ნაწილის დისპოზიციაში მითითებული ერთ-ერთი ნიშანი. კერძოდ, ეს არის კვების პროდუქტები, საყოფაცხოვრებო მოხმარების სამრეწველო საქონელი, ეკონომიკის სხვადასხვა დარგის საწარმოთა მიერ წარმოებული პროდუქცია, ნედლეული რესურსები, სტრატეგიული ფერადი ლითონები და მათი შენადნობები (სპილენძი, კალა, ბრინჯაო, თითბერი, პოზედიტიჩი ლეგირებული ფოლადები, ტიტანი, ალუმინი და ა. შ.) ფერადი ლითონების მეორადი ნედლეული (საწარმოო ნარჩენები), ვალუტა, სახელმწიფო ფასიანი ქაღალდები და სხვა საფონდო ფასეულობანი, რომლებიც კანონმდებლობით მიკუთვნებულნი არიან სავალუტო ფასეულობათა კატეგორიას, კერძოდ, საბანკო სავადასახადო დოკუმენტები, თუ ისინი გააქვთ საქართველოს რესპუბლიკის გარეთ ან შემოაქვთ დადგენილი საბაჟო წესების მიხედვით დეკლარირების გარეშე.

გამოკვლევებმა გეიჩვენა, რომ ასეთი საგნები 100 დასახელებაზე მეტია. უწინარესად, ფართო მოხმარების საგნები (ტანსაცმელი, ქსოვილები, გალანტერეა, საყოფაცხოვრებო ვიდეო და ხმისჩამწერი აპარატურა). ყოფილი საბჭოთა კავშირის მოქალაქეებისათვის დამახასიათებელია „გატანა შემოტანისათვის“ ტიპის ოპერაციები, უცხოელი მოქალაქენი კი ორიენტაციას იღებენ „შემოტანა გატანისათვის“ ტიპის ოპერაციებზე. მეორე, ვალუტა, ძვირფასი ლითონები და ქვები, უმეტესად საიუველირეო ნაწარმის სახით.

ხაზი უნდა გაესვას, რომ ნებისმიერი მსგავსი სასურსათო და სამრეწველო საქონელი, ასევე სხვა ფასეულობანი, მათ რიცხვში ვალუტაც, საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობის მიხედვით ხდება დანაშაულის საგანი, თუ მათი კონტრაბანდული გადატანა სახელმწიფო საზღვარზე შეიცავს მოცემული ხელყოფის შემადგენლობის თუნდაც ერთ ნიშანს, მაგალითად, სპეციალურ საცავეებში დამალვა, ან საბაჟო და სხვა დოკუმენტების მოტყუებით გამოყენება, ან მსხვილი მასშტაბები და ა. შ. ნებისმიერი მითითებული ნიშნის არარსებობისას, წარმოიშობა ადმინისტრაციულად დასჯადი კონტრაბანდის საგანი. ამას გარდა, მხედველობაში უნდა მივიღოთ, რომ გასატანად აკრძალული საგნებიც კი, მაგალითად, პორნოგრაფიული ნაწარმი (ვიდეოკასეტები, ნახატები), სამხედრო ობიექტების, ნაგებობების, საბრძოლო ტექნიკისა და შეიარაღების სქემები, ნებისმიერი ფორმით გამოყენებული მასალები გრიფით „საიდუმლო“, გამოქვეყნებას არ ექვემდებარება“ და „სამსახურებრივი გამოყენებისათვის“ და სხვ. რომელთა გადატანა სახელმწიფო საზღვარზე არ შეიცავს სისხლისსამართლებრივად დასჯადი კონტრაბანდის ნიშნებს, ასევე არ ქმნიან მოცემული დანაშაულის საგანს. დადგენილი წესით ისინი ექვემდებარებიან ჩამორთმევას და კონფისკაციას, ხოლო კანონის დამრღვევის მიმართ განხორციელდება ადმინისტრაციული ზემოქმედების ღონისძიებანი, თუ, ცხადია, ქმედება არ შეიცავს დანაშაულის სხვა შემადგენლობას, მაგალითად, ჯაშუშობას ან პორნოგრაფიული საგნების შენახვას გაყიდვის ან გავრცელების მიზნით.



სისხლის სამართლის კანონში ჩამოთვლილია ზოგიერთი განსაკუთრებული სახის საგანი, რომელთა უკანონო გადატანა სახელმწიფო საზღვარზე წარმოშობს სისხლისსამართლებრივად დასჯადი კონტრაბანდის კვალიფიცირებულ შემადგენლობას, მიუხედავად იმისა, დამნაშავე პირის ქმედება შეიცავს თუ არა დასახელებული დანაშაულის შემადგენლობის ნიშნებს. ამ განსაკუთრებული საგნების ჩამონათვალი ამომწურავია და განვრცობით განმარტებას არ ექვემდებარება, კერძოდ, საქართველოს რესპუბლიკის სსკ-ს 79-ე მუხლის მე-2 ნაწილში ლაპარაკია „ფეთქებად, ნარკოტიკულ, ძლიერმოქმედ და შხამიან ნივთიერებათა, იარაღისა და სამხედრო საჭურვლის კონტრაბანდის“ თაობაზე.

კანონმდებლის მიერ სამართლის ნორმაში მითითებულ<sup>3</sup> საგნების გამოყოფა შემთხვევითი როდია. კონტრაბანდისაგან დამოუკიდებლად ამ საგნების მიმართ უკანონო მანიპულაციები ახდენენ საზოგადოებრივი უსაფრთხოების მოწესრიგებული მდგომარეობის დეფორმირებას. ყველაფერი ეს თავისთავად, პირობითად რომ ვთქვათ, არის საზოგადოებრივი უსაფრთხოების ახალი სისხლისსამართლებრივი თვისებრიობა, და ამიტომ კანონმდებელმა მოახდინა დანაშაულობათა მთელი რიგი დამოუკიდებელი შემადგენლობების კონსტრუირება, რომლებიც გამოიხატებიან სხვადასხვა კრიმინალურ მოქმედებებში იარაღის, სამხედრო საჭურვლის, ნარკოტიკული, შხამიანი და ძლიერმოქმედი ნივთიერებების მიმართ.

კანონი უწინარესად, აღნიშნავს ფეთქებად ნივთიერებათა კონტრაბანდის თაობაზე. აქ იგულისხმება ნებისმიერი ნივთიერება, რომელსაც აქვს ძლიერი დამანგრეველი მოქმედების უნარი და გამოიყენებიან როგორც სამხედრო საქმეში, ასევე სამთამაღრო და ფეთქებად სამუშაოებში, ქონებრივი ობიექტების განადგურებისა და დაზიანებისათვის, ცოცხალ სამიზნეთა მოსპობისათვის. ასეთ ნივთიერებებს მიეკუთვნებიან ყველა სახის დენთი, დინამიტი, მგრგვინავი ვერცხლისწყალი, ტროტილი, ნიტროგლიცერინი, ტრინტროლოლოლი, ტრიმიტროფენალი, პიროკსილინი, ამონალი და სხვა მსგავსი საგნები — გაზრდილი საფრთხის წყაროები. ვ. ა. ვლადიმეროვა თავის დროზე გამოთქვა მოსაზრება, რომ კონტრაბანდის საგნად არ უნდა მივიჩნიოთ სამონადირეო დენთი და ბერთოლეს მარილი, თუმცაღა ისინი არიან ფეთქებადი ნივთიერბანი. ავტორი ამას იმით ამართლებს, რომ აღნიშნული ნივთიერებანი არ გამოირჩევიან ძლიერი დამანგრეველი ძალით და არ გამოიყენებიან სამხედრო მიზნებისათვის. ჩვენ ამ მოსაზრებას, ცხადია, არ ვეთანხმებით, რადგან კანონი ერთმნიშვნელოვნად აღნიშნავს „ფეთქებად ნივთიერებათა“ თაობაზე და არ ზღუდავს ამ ცნებას რაღაც პირობებით, მითუმეტეს ისეთით, რაზედაც ვ. ა. ვლადიმეროვი წერს. ეს სრულიად გასაკება. რადგან ამა თუ იმ ფეთქებადი ნივთიერების დამანგრეველი ძალა დამოკიდებულია არა მხოლოდ მის ქიმიურ თვისებაზე და შესაბამის ინგრედიენტებზე, არამედ ნივთიერების რაოდენობაზეც (მასაზე).

სისხლის სამართლის კანონი არაფერს ამბობს რადიოაქტიურ და გამხსნელ ნივთიერებებზე, რომელთაც წამიერი ჯაჭვური რეაქციით შეუძლიათ გამოიწვიონ დიდი დამანგრეველი ძალის აფეთქება. ამასთან, ისინი თავისთავად შეიცავენ დიდ საშიშროებას საზოგადოებრივი უსაფრთხოებისათვის, ადამიანთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის, ეკოლოგიური წონასწორობისათვის და სხვ. ამიტომ, შემთხვევითი როდია ის, რომ 1988 წელს რესპუბლიკის სისხლისსამართლებ-

<sup>3</sup> იხ. ვ. ა. ვლადიმეროვი, სისხლისსამართლებრივი ბრძოლა კონტრაბანდის წინააღმდეგ, გვ. 25 (რუს, ენაზე)



რევი კანონმდებლობა შეივსო სპეციალური ნორმით, რომელიც აწესებს პასუხისმგებლობას რადიოაქტიური ნივთიერებების და ბირთვული მასალების უკანონო შექმნის, შენახვის, გადაცემისა და გამოყენებისათვის ნებისმიერ ფიზიკურ პირს (დანიადგარის, ნაკეთობის ან სხვა სახით).

სისხლის სამართლის კოდექსის კონტრაბანდის შესახებ მუხლში ამ კატეგორიის მასალების არმოხსენიება სისხლისსამართლებრივი კანონის ნაკლად უნდა მივიჩნიოთ. ამისა და იმის გათვალისწინებით, რომ ამ კატეგორიის მასალების სახელმწიფო საზღვარზე გადატანა შეიცავს განსაკუთრებულ საზოგადოებრივ საფრთხეს, საჭიროა სსკ 79-ე მუხლის დისპოზიციას დაემატოს მითითება რადიოაქტიური ნივთიერებებისა და ბირთვული მასალების ნებისმიერი კონტრაბანდის თაობაზე. ეს საგნები თავისთავად შეიცავენ სერიოზულ საშიშროებას საზოგადოებრივი უსაფრთხოებისათვის დამოუკიდებლად იმისა, შემდგომში მათ გამოიყენებენ თუ არა გიგანტური ძალის ასაფეთქებელ ნივთიერებად.

კანონში ნათქვამია „ნარკოტიკულ ნივთიერებათა“ კონტრაბანდის შესახებ. თუ გავითვალისწინებთ ჯანმრთელობის დაცვის საერთაშორისო ორგანიზაციის ოფიციალურ ტერმინოლოგიას და შესაბამის ნორმატიულ აქტებს, აღნიშნული საგანი უნდა შეიცვალოს ტერმინით „ნარკოტიკული საშუალებანი“ და იგი უნდა შევიტანოთ სსკ 79-ე მუხლის ტექსტში. ნარკოტიკულ საშუალებებს განეკუთვნებიან: ოპიუმი, ჰეროინი, ყაყაჩოს ნამჯა, მორფიუმი, კოკაინი, ჰაშიში, ანაშა, ინდოეთის, სამხრეთ მანჯურის, სამხრეთ ჩუის, სამხრეთ არხონის, სამხრეთ კრასნოდარის წარმოებული კანაფი, კრეკი, კოკნარი, მარბუხანა, კოდეინი, ამფეტოლინი (ფინამინი), პრომედოლი, ომნოპონი, ნოქსიროლი.

კანონში კონტრაბანდისათვის პასუხისმგებლობაზე ლაპარაკია „ნარკოტიკულ ნივთიერებებზე“ ზოგადად და მითითებული არ არის მათ ზომებზე. აქედან შეიძლება დაგასკვნათ, რომ კონტრაბანდის შემადგენლობისათვის მნიშველობა არა აქვს თუ სახელმწიფო საზღვარზე რა რაოდენობის ნარკოტიკული საშუალებები გადააქვთ უკანონოდ. ამასთან, გამორიცხული არ არის, რომ ცალკეულ შემთხვევებში და ნაკლებად მოქმედი ცალკეული სახის ძალიან მცირე ზომის ნარკოტიკული საშუალებების დროს (მაგალითად, კოკის რამდენიმე ფოთოლი, 1-0,2 გრამი კანაფის ან ჩვეულებრივი ზეთოვანი ყაყაჩოს ყვავილის მტვერი) პირი შეიძლება განთავისუფლდეს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან სსკ მე-7 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად როგორც ნაკლებმნიშვნელოვანი ქმედების გამო. საკითხის ასე დასმა სრულიად შესაძლებელია, რამდენადაც რესპუბლიკის ადმინისტრაციულ-დელიქტური კანონმდებლობით მცირე ზომის ნარკოტიკული საშუალებების (ზემოთ ჩამოთვლილი განსაკუთრებით „ძლიერი“ ნარკოტიკების გარდა) უკანონო შექმნა ან შენახვა ითვალისწინებს ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას.

გარდა ამისა, ნარკოტიკული საშუალებების კონტრაბანდის ზომებს „დიდი ოდენობით“ ან „მცირე ოდენობით“ აქვს გარკვეული სამართლებრივი მნიშვნელობა, რადგან მას, რა თქმა უნდა, ადგენს და ითვალისწინებს სასამართლო დამნაშავეს მიმართ კონკრეტული სასჯელის დაწესების დროს სსკ 79-ე მუხლის მე-4 ნაწილის ჩარჩოებში. ამასთან დაკავშირებით დიდ ინტერესს იწვევს იურიდიულად ნიშნადი საკითხი იმის შესახებ, თუ ოფიციალურად რა რაოდენობაა მიჩნეული „მცირე ოდენობაში“.

ყოფილი საბჭოთა კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსთან არსებული ნარკოტიკებზე კონტროლის მუდმივმოქმედი კომიტეტის დასკვნის (კო-



მიტეტის 1987 წლის 25 ნოემბრის სხდომის ოქმი № 91) შესაბამისად მცირე რაოდენობად ითვლება ნარკოტიკულ საშუალებათა შემდეგი რაოდენობა: მარილ-ზუანა — 5 გრ., ჰაშიში, ანაშა — 1 გრ., შაჰიჰის ზეთი — 0,5 გრ., სხვადასხვა სახის კანაფის ყვავილის მტვერი — 0,4 გრ., ტეტროპიძროკაციონბინოლები — 0,05 გრ., ოპიუმი — 0,5 გრ. ყაყაოსა და კოკონარის ნამჯა — 10 გრ. მორფიუმი — 0,03 გრ., ჰერონინი — 0,015 გრ., კოდეინი — 0,2 გრ., პრომედოლი — 0,05 გრ., ფენამინი — 0,0004 გრ., ფენტანილი — 0,03 გრ., ომნოპონი<sup>4</sup> — 0,5 გრ., ნოკსიროლი — 0,03 გრ., კოკაინი — 0,02 გრ., სამბრევინი — 0,5 გრ., ჰერვიტინი — 0,03 გრ.

ამასთან, აღნიშნულმა კომიტეტმა 1988 წლის 21 იანვრის საინსტრუქციო წერილში განმარტა, რომ „რამდენიმე სახის ნარკოტიკული საშუალებების ამოღების დროს, როცა თვითეული მათგანი ცალკე არ აღემატება მცირეოდენობის ზომებს, მაგრამ მათი საერთო რაოდენობის ჯამი აღემატება მცირე ოდენობას, ამოღება არ უნდა შეფასდეს როგორც მცირე ოდენობა. კომიტეტის ეს მოსაზრება მოხსენდა საბჭოთა კავშირის უზენაესი სასამართლოს პლენუმს და იგი აისახა პლენუმის დადგენილებაში“<sup>4</sup>.


შხამიანად მიჩნეულია ის ნივთიერება, რომელთა ადამიანთა ორგანიზმში მცირე რაოდენობით მოხვედრაც კი იწვევს მოწამვლას ან სიკვდილს. მაგალითად ასეთი შხამებია კალიუმციანიდი, ციანიდმჟავა, დარიშხანი, სტრიქნინი, სხვადასხვა მოდიფიკაციის ვერცხლისწყალი და მათი შენაერთები. პრაქტიკა და თეორია ამ კატეგორიის საგნებს აკუთვნებს აგრეთვე გათხევადებული და გაზის სახის საბრძოლო მომწამვლელ ნივთიერებებს (იპრიტი, ფოსტენი, ბინარული შენაერთები და სხვ).

ამ ბოლო ხანს შედარებით გახშირდა გაზის პისტოლეტებისა და გაზის ბალონების კონტრაბანდა, რომელთა გამოყენებაც იწვევს ადამიანის ორგანიზმის პარალიზებას. რამდენადაც (თუმცაღა დროებით) ხდება ნერვული ცენტრის პარალიზება ან მკვეთრი დამუზნრუჭება, ხშირად კი გონების დაკარგვაც, არის საკმარისი საფუძველი იმისა რათა თავდასხმის ან მისგან დაცვის მსგავსი საშუალებები მივაკუთვნოთ კონტრაბანდის საგნებს. ამასთან, სასურველია, რომ ეს საკითხი სპეციალურად განმარტოს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს პლენუმმა, რადგან ლაპარაკია რესპუბლიკის 1991 წლის 2 აგვისტოს კანონის ახალ რედაქციაში სისხლისსამართლებრივი ნორმის განმარტებაზე.

საქართველოს სსკ 79-ე მუხლის მიხედვით იარაღია ყველა სახის ცეცხლ-სასროლი (გარდა სამონადირეო) და ცივი იარაღი, რომლებიც მოქცეულია შინაგან საქმეთა ორგანოების სანებადართო სისტემის წესდებაში. მათი დამზადების, შექმნის, შენახვის, ტარებისა და გასაღებისათვის საჭიროა აღნიშნული ორგანოების სპეციალური ნებართვა. ცეცხლსასროლი იარაღი, როგორც კონტრაბანდის შემაღველობის ნიშანი, გაგებული სიტყვის ვიწრო მნიშვნელობით, ეს არის ქარხნული ან კუსტარულად დამზადებული სპეციალური მოწყობილობა, რომელიც გათვალისწინებულია ადამიანის მოსასპობად ტყვიით, ყუმბარით, ჭურვით და ლულაში დენთის გაზის წნევით მიღებული სასიკვდილო ძალის გა-

<sup>4</sup> იხ. სსრ კავშირის უზენაესი სასამართლოს პლენუმის 1987 წლის 24 დეკემბრის დადგენილება № 12.





მომწვევი იარაღი. აქ შედის არა მხოლოდ სხვადასხვა ტიპის ნებისმიერი საბრძოლო იარაღი, არამედ სპორტული კუთხვილიანი შაშხანები და პისტოლეტები.

კონტრაბანდის შემადგენლობის ანალიზისაღმის მიძღვნილ ლიტერატურაში სრული დუმილია ერთ მნიშვნელოვან საკითხზე, კერძოდ, არის თუ არა კონტრაბანდის საგანი დაუკომპლექტებელი ან სპეციალურად დაშლილი ცეცხლსასროლი იარაღი, რომელთაგან მომავალში შეიძლება აიწყოს იარაღის შესაბამისი სახე, ვთქვათ, პისტოლეტი, ავტომატი და სხვ. საქართველოს სსკ 238-ე მუხლით გათვალისწინებული იარაღის, როგორც დანაშაულის საგნის, განმარტებიდან გამომდინარე, აღნიშული საკითხი გადაწყვეტას მოითხოვს.

ცეცხლსასროლი იარაღის დატაცების შემადგენლობის ანალიზისას ვ. პ. ტიხი მიიჩნევს, რომ იარაღის ხელში ჩაგდების დროს იგი ობიექტურად ვარგისი უნდა იყოს გამოყენებისათვის, ამასთან წერს ავტორი, „მითითებული საგნები (იარაღი) გამოყენებისათვის ვარგისია მაშინაც, როცა შესაბამისი მიზნისათვის შესაძლებელია მათი სათანადო მდგომარეობაში მოყვანა (მაგალითად, აწყობის ან რემონტის გზით)“<sup>5</sup> ეს საკითხი ანალოგიურად არის გადაწყვეტილი ყოფილი სსრ კავშირის უზენაესი სასამართლოს პლენუმის 1974 წლის 20 სექტემბრის დადგენილებაში, რასაც ძირითადად ჩვენც ვეთანხმებით. ამრიგად, დეტალების კომპლექტისა და ცალკეული ნაწილების სახელმწიფო საზღვარზე უკანონო გადატანა, რომელთაგან შესაძლებელია გამოყენებისათვის ვარგისი ცეცხლსასროლი იარაღის აწყობა, წარმოშობს კონტრაბანდის შემადგენლობას. სპორტული პნევმატური თოფები და ფისტოლეტები სსკ 79-ე მუხლის თვალსაზრისით კონტრაბანდის საგნებად არ ჩაითვლებიან.

დასასრულს აუცილებლად უნდა შევეხოთ ერთ სპეციალურ საკითხს. იმის გამო, რომ საზღვარზე ვალუტის ლეგალური გადატანა უკიდურესად შეზღუდულია, ყოველგვარი ეჭვის გარეშე, ეს ხდება კონტრაბანდულად. მაგრამ მას პრაქტიკულად გაცილებით ნაკლებად ებრძვიან, ვიდრე ვთქვათ, იარაღისა და ნარკოტიკული საშუალებების კონტრაბანდას. და საერთოდ, სისხლისსამართლებრივი კანონი ვალუტას არ ითვალისწინებს როგორც კონტრაბანდის განსაკუთრებულ საგანს. აღსანიშნავია ისიც, რომ ვალუტის კონტრაბანდას ხშირად მოსდევს ხელოვნების ნიმუშების, ანტიკვარიატის, ძვირფასი ლითონებისა და ნაკეთობების, სხვა ფასეულობებისა და დეფიციტური საკვების კონტრაბანდა. ე. ი. იკვრება წრე: ფულადი ნიმუშების კონტრაბანდა დაასრულებს თუ არა თავის გზას ეტაპებად დაყოფილი არალეგალური ბიზნესისას, აუცილებლად წარმოშობს რეკონტრაბანდას. რა თქმა უნდა, სისხლისსამართლებრივი კანონი ჰანაცხავს არ არის, რადგან მისი შესაძლებლობანი შეზღუდულია, მაგრამ ამ მოკრძალებულ საშუალებების აბუჩად აგდება და იგნორირებაც გაუმართლებელია. საჭიროა, რომ სპეციფიკური სისხლისსამართლებრივი ღონისძიებებით საიმედოდ ჩაიკეტოს ვალუტის კონტრაბანდული გადინების არხები ამის გათვალისწინებით, საჭიროდ მიგვაჩნია, რომ სსკ 79-ე მუხლის დისპოზიციას დაემატოს (ეროვნული ფულადი ნიშნების შემოღების პერიოდისათვის) შემდეგ: „რესპუბლიკის ფულადი ნიშნების კონტრაბანდა 10 ათას თანხაზე მეტით“. ე. ი. თანხა კონკრეტულად უნდა იყოს მითითებული, რათა თავიდან ავიცილოთ ისეთი ბუნდოვანი ნიშნები, როგორიცაა „დიდი ოდენობით“, ან „მცირე ოდენობით“.

<sup>5</sup> იხ. ვ. პ. ტიხი, პასუხისმგებლობა ცეცხლსასროლი იარაღის, სამხედრო საჭურვლისა და ფოთქებად ნივთიერებათა დატაცებისათვის, ზარკოვი, 1976. გვ. 14.



## ეროიანი დანაშაული და კანონთა კონკურენცია

სამართალშეფარდებით საქმიანობას ხშირად თან ახლავს ერთიანი დანაშაულის და კანონთა კონკურენციის გამიჯვნის პრობლემა.

პირის ქმედება ზოგჯერ რამდენიმე დანაშაულის შემადგენლობის ნიშნებს შეიცავს, მაგრამ ეს ყოველთვის არ ნიშნავს დანაშაულთა ერთობლიობის არსებობას. ზოგჯერ ის, რაც თითქოსდა დამოუკიდებელი დანაშაულია, სინამდვილეში წარმოადგენს უფრო მძიმე დანაშაულის ეპიზოდს, მისი განხორციელების ხერხს ან სტადიას და მასასადამე, ერთიანი დანაშაულის შემადგენელ ნაწილს. ასეთ ვითარებაში ქმედების კვალიფიკაციის სირთულე განაპირობებს კანონის სწორი არჩევის პრობლემას. მართლაც, ფაქტობრივი გარემოებების ანალიზი ადასტურებს, რომ ქმედება ზოგჯერ მოცულია რამდენიმე სისხლის სამართლის კანონით, სინამდვილეში კი ჩადენილია ერთი დანაშაული და, მაშასადამე, იგი უნდა შეფასდეს ერთ-ერთი ამ კანონის მიხედვით. ამ დროს სისხლის სამართლის კანონის სწორად შერჩევა და დანაშაულის კვალიფიკაცია ბევრად არის დამოკიდებული კანონთა კონკურენციის სახის დადგენასა და ამ საკითხის გადაწყვეტის წესის ცოდნაზე.

სისხლის სამართლის თეორიაში ნორმების (კანონთა) კონკურენციაში იგულისხმება ისეთი შემთხვევა, როცა პირის მიერ ჩადენილი ქმედება ერთდროულად მოცულია სისხლის სამართლის კოდექსის განსაკუთრებული ნაწილის ორი ან მეტი მუხლით, მაგრამ დანაშაულის კვალიფიკაციის დროს უნდა გამოვიყენოთ მხოლოდ ის მუხლი, რომელიც ამომწურავად შეიცავს შესაბამისი დანაშაულის შემადგენლობის ყველა ნიშანს. საკონკურენციო ნორმები განზოგადების სხვადასხვა ხარისხით და განსხვავებული სისრულით ითვალისწინებენ ერთიანი დანაშაულის ნიშნებს, მაგრამ რამდენადაც ჩადენილია სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ერთი დანაშაული, ამდენად სწორედ ეს ერთი ნორმა უნდა გამოვიყენოთ კვალიფიკაციის დროს<sup>1</sup>.

დანაშაული სწორად იქნება კვალიფიცირებული მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა სწორად იქნება შერჩეული სწორედ ის კანონი, რომელიც ყველაზე სრულად და ზუსტად ასახავს ჩადენილი დანაშაულის სოციალურ-სამართლებრივ არსს. ასეთ შემთხვევაში დანაშაულის კვალიფიკაცია საკონკურენციო კანონების ერთობლიობით დაუშვებელია, რადგან ეს გამოიწვევს დანაშაულის სიმრავ-

<sup>1</sup> Кудрявцев В. Н., Теоретические основы квалификации преступлений, М., 1963, с. 243, Сауляк С. Ф. Проблемы конкуренции уголовно-правовых норм, автореферат канд. дисс., М., 1990, с. д.





ლის ხელოვნურად შექმნას იქ, სადაც ის არ არის, ზოგჯერ კი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაუსაბუთებელ დამძიმებას.

მოქმედი სისხლის სამართლის კანონმდებლობა არ შეიცავს მითითებას კანონთა კონკურენციის შესახებ, შესაბამისი ტერმინოლოგია არ გამოიყენება არც სასამართლო პრაქტიკაში. ამ პრობლემის საკანონმდებლო წესით მოუგვარებლობა იურიდიულ ლიტერატურაშიც აზრთა სხვადასხვაობას ბადებს. ხსენებულ პრობლემას ერთ შემთხვევაში სისხლის სამართლის კანონის შესახებ მოძღვრების ნაწილად თვლიან და მის გადაჭრას კანონშემოქმედების გზით ცდილობენ, ხოლო მეორე შემთხვევაში — დანაშაულის შესახებ მოძღვრების ნაწილად და მას დანაშაულის კვალიფიკაციის პროცესს უკავშირებენ. ეს მაშინ, როდესაც პრობლემის არსი ყველა შემთხვევაში ერთი და იგივე რჩება.

ეს დავა უსაგნოდ მიგვაჩნია, რადგან დანაშაული, როგორც სოციალური სინამდვილის ფაქტი, და დანაშაული როგორც კანონის დარღვევა — განუყოფელია. კანონთა კონკურენცია კონკრეტულია და იგი ყოველთვის წარმოიშობა კონკრეტულ სამართალშეფარდებით პროცესში. კანონის შეფარდების მიღმა კონკურენცია არ არსებობს; ეს კონკურენციის ყველაზე არსებითი თავისებურებაა. ეს კი ადასტურებს იმას, რომ ის დანაშაულის კვალიფიკაციის პრობლემის ნაწილია. აქედან გამომდინარე, კანონთა კონკურენცია სამართალშემფარდებლის გადასაწყვეტი პრობლემაა და არა კანონმდებლისა. ცხადია, მოქმედი კანონმდებლობის სრულყოფა, უპირველეს ყოვლისა, კანონმდებლის ამოცანაა, მაგრამ რამდენადაც იდეალური კანონმდებლობის შექმნა თითქმის შეუძლებელია, ამდენად სამართალშემფარდებელი ყოველთვის დადგება კანონთა კონკურენციის პრობლემის წინაშე. ეს პრობლემა მან კონკრეტული დანაშაულის კვალიფიკაციის პროცესში უნდა გადაჭრას.

იმის გამო, რომ იურიდიულ ლიტერატურაში მიღწეული არ არის კანონთა კონკურენციის არსის ერთგვაროვანი გაგება, თეორიულ გამოკვლევებში სხლის სამართლის კანონებს შორის კონკურენციის შესაძლო ვარიანტების რიცხვი ორიდან თორმეტამდეა.

რამდენადაც კანონთა კონკურენცია დანაშაულის კვალიფიკაციის ზოგადი თეორიის ნაწილად მიგვაჩნია, ამდენად სწორად უნდა ჩაითვალოს მოსაზრება იმის შესახებ, რომ დანაშაულთა კვალიფიკაციის დროს კანონთა კონკურენციის ორი ძირითადი სახე გამოიყოფა: 1. ზოგადი და სპეციალური კანონების კონკურენცია და 2. სპეციალური კანონების კონკურენცია.

ცნობილია, რომ საზოგადოებრივ ურთიერთობათა სრულყოფა, ადამიანთა ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის შეცვლა განაპირობებს ქმედებათა კრიმინალიზაციას და დეკრიმინალიზაციას. ამისათვის კანონმდებელს სხვადასხვა ზერხს იყენებს, მათ შორის ქმნის სპეციალურ ნორმებს, რომლებიც ცვლიან ქმედებათა მართლწინააღმდეგობის ფარგლებს. კანონმდებელი სპეციალურ კანონებს უმრავლეს შემთხვევაში გამოსცემს ზოგად კანონთან მიმართებაში სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის დიფერენციაციის მიზნით, კერძოდ, იგი ახდენს სისხლისსამართლებრივი რეგულირების დიფერენციაციას, რითაც ცვლის ამა თუ იმ სისხლისსამართლებრივი ურთიერთობის შინაარსს, მისი რეგულირების ზერხს, კვალიფიკური ან პრივილეგიური შემადგენლობების შექმნით შესაბამისად ამკაცრებს ან ამსუბუქებს ქმედების დასჯადობას.

მოქმედი სისხლის სამართლის კანონმდებლობის ანალიზი მოწმობს, რომ აშკარად გამონათული ზოგადი და სპეციალური კანონები სისხლის სამართლის




კოდექსში არც თუ ისე ბევრია. ამავე დროს მხედველობაშია მისაღები ის გარემოებაც, რომ კანონთა კონკურენცია კონკრეტულია. ამიტომ, მისი გადაწყვეტის დროს ყოველთვის უნდა გავითვალისწინოთ, რომ ამგვარი შეფასება შეფარდებითი ხასიათისაა, კერძოდ, ჩვენ ვადგენთ კანონი ზოგადია თუ სპეციალური არა საერთოდ (აბსტრაქტულად), არამედ მეორე სისხლის სამართლის კანონთან მიმართებაში. ერთიდაიგივე სისხლის სამართლის კანონი შესაძლოა ერთ სისხლის სამართლის კანონთან მიმართებაში ზოგადი იყოს, ხოლო მეორესთან – სპეციალური. ამიტომ, დიდი მნიშვნელობა აქვს საქმის ფაქტობრივი გარემოებების სწორ ანალიზს და კანონის მართებულად განმარტებას. პრაქტიკაში შესაძლოა ადგილი ჰქონდეს ისეთ შემთხვევებსაც, როცა ზოგადი და სპეციალური სისხლის სამართლის კანონი ერთდროულად უნდა გამოვიყენოთ, კერძოდ, როცა ადგილი აქვს დანაშაულთა ერთობლიობას. მაგალითად, თანამდებობის პირი, ვარდა სამსახურებრივი სიყალბისა, სჩადის სხვა ქმედებას, რომელსაც მოიცავს სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენების შემადგენლობა.

ცნობილია რომ ზოგადი და სპეციალური კანონების კონკურენციის შემთხვევაში პრიორიტეტი ენიჭება სპეციალურ კანონს, იმისაგან დამოუკიდებლად, ზოგად კანონთან შედარებით იგი უფრო მკაცრ სასჯელს ითვალისწინებს, თუ პირიქით, ამსუბუქებს მას. ამ წესს საფუძვლად უდევს ის გარემოება, რომ კანონმდებელი სპეციალური კანონის გამოცემით ახლებურად არეგულირებს, მოცემულ სამართლებრივ ურთიერთობას. სპეციალურმა კანონმა შეიძლება გამოინაკლისი დაუშვას ზოგადი კანონიდან, შეზღუდოს მისი მოქმედების სფერო, ან შეავსოს ზოგადი კანონი უფრო კონკრეტული გარემოებებით.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სპეციალური კანონის გამოყოფის მიზანი ის არის, რომ მოახდინოს ამა თუ იმ სამართლებრივი ურთიერთობის რეგულირების დიფერენციაცია და შეცვალოს ქმედების მართლწინააღმდეგობის საზღვრები. სწორედ ამიტომაც აქვთ სპეციალურ კანონებს პრიორიტეტი ზოგად კანონებთან მიმართებით. მაგრამ, სამწუხაროდ, მოქმედი სისხლის სამართლის კანონმდებლობა ყოველთვის არ პასუხობს ამ მოთხოვნას, რაც, თავის მხრივ, სისხლის სამართლის თეორიაში და სასამართლო პრაქტიკაში აზრთა სხვადასხვაობის საფუძველი ხდება. ნათქვამის საილუსტრაციოდ შეგვიძლია მოვიტანოთ ზოგადი თანამდებობრივი დანაშაულების და მართლმსაჯულების წინააღმდეგ მიმართული სპეციალური თანამდებობრივი დანაშაულების თანაფარდობა.

მართლმსაჯულების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები 1961 წლის სისხლის სამართლის კოდექსში გამოიყო თანამდებობრივ დანაშაულთა რიცხვიდან: წინასწარი შეცნობით უდანაშაულო პირის მიცემა სისხლის სამართლის პასუხისგებაში (მუხ. 192); უკანონო განაჩენის, გადაწყვეტილების, განჩინების ან დადგენილების გამოტანა (მუხ. 193); უკანონო დაპატიმრება ან დაკავება (მუხ. 194); ჩვენების მიცემის იპულება (მუხ. 195). აღნიშნული მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულებები წარმოადგენენ სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენების კერძო შემთხვევებს. ერთი შეხედვით, მართლაც მართლმსაჯულების წინააღმდეგ მიმართული თანამდებობრივი დანაშაულის შემადგენლობები (როგორც სპეციალური კანონები) უფრო სრულად და ყოველმხრივ ასახავენ შესაბამის დანაშაულთა ხასიათს, ვიდრე ზოგადი კანონით, სსკ 186-მუხლით (ხელისუფლების ან სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენება) გათვალისწინებული ზოგადი თანამდებობრივი დანაშაულის შემადგენლობა. მაგრამ, მეორე მხრივ, დასახელებული სპეციალური კანონები დამამძიმებ





მებელი გარემოების სახით ითვალისწინებენ მითითებულ ქმედებათა ჩადენას ანგარებით და ამდენად, ქრთამის საზღაურად ამ ქმედებათა ჩადენა, ზოგადი სპეციალური კანონების კონკურენციიდან გამომდინარე, არ უნდა საჭიროებდეს კვალიფიკაციას ისეთი ზოგადი კანონით, როგორცაა ქრთამის აღება (სსკ 189-ე მუხლი). მაგრამ სასამართლო პრაქტიკა საწინააღმდეგოს მეტყველებს, მითითებულ დანაშაულთა ანგარებით ჩადენა კვალიფიცირდება სწორედ 189-ე მუხლით. საკითხავია, რა აზრი ჰქონდა ასეთი სპეციალური კანონების შემოტანას სისხლის სამართლის კოდექსში, თუკი კვალიფიკაცია მაინც ზოგადი კანონის საფუძველზე მოხდება? ისიც საკითხავია, 193-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის სუბიექტთა წრე რატომ არის შემოფარგლული მხოლოდ მოსამართლით, რატომ მაინცდამაინც მოსამართლის ფიგურა გამოკვეთა კანონმდებელმა? უკანონო დადგენილება, გარდა მოსამართლისა, შეიძლება მიიღოს პროკურორმა და გამომძიებელმაც და შეწყვიტონ სისხლის სამართლის საქმე. გამოდის, რომ ეს სპეციალური კანონი მხოლოდ მოსამართლისთვის ადგენს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას, პროკურორი და გამომძიებელი კი შესაბამის შემთხვევაში დაისჯება ზოგადი კანონების (სსკ 186-ე ან 189-ე მუხლები) საფუძველზე. თუ ზოგადი და სპეციალური კანონების კონკურენციის გადაწყვეტის ზემოაღნიშნული წესით ვიხელმძღვანელებთ, მაშინ მოსამართლე სსკ 193-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ანგარებით ჩადენის შემთხვევაში გაცილებით მსუბუქად დაისჯება (თავისუფლების აღკვეთით სამიდან ათ წლამდე), ვიდრე პროკურორი ან გამომძიებელი ვინაიდან სსკ 189-ე მუხლის სანქცია რვიდან თხუთმეტ წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გფიქრობთ, რომ სსკ 189-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის შემადგენლობა, როგორც ზოგადი ხასიათის კანონი, თავისი შინაარსით და მოცულობით მოიცავს სსკ 192-ე, 193-ე და 194-ე მუხლებით და საერთოდ სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულ ნებისმიერ სხვა თანამდებობრივ დანაშაულს, რომელიც ანგარებითაა ჩადენილი. მისი სანქციაც ანგარებით ჩადენილი ნებისმიერი სხვა თანამდებობრივი დანაშაულის სანქციაზე უფრო მკაცრია. ამიტომ ხსენებული სპეციალური კანონები საერთოდ უნდა ამოვიღოთ სისხლის სამართლის კოდექსიდან. მათ მთლიანად მოიცავს თანამდებობრივ დანაშაულთა თავში არსებული ზოგადი კანონები. დღესდღეობით ისინი ფაქტობრივად „მკვდარი“ ნორმებია<sup>2</sup>.

კანონთა კონკურენციის ბევრი შემთხვევა მოქმედი სისხლის სამართლის კანონმდებლობის არასრულყოფილების შედეგია. ზშირად ისე ზდება ახალი ნორმების მიღება რომ სათანადო ანგარიში არ ეწევა მოქმედ კანონმდებლობას, ეს კი გაუმართლებელ სირთულეებს იწვევს სასამართლო პრაქტიკაში. მაგალითად, საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსში 209<sup>1</sup> მუხლის შეტანის შემდეგ ზშირად წარმოიშობა კონკურენცია 104-ე მუხლის მეხამე პუნქტით გათვალისწინებულ შემადგენლობასთან (განზრახ მკვლელობა დაზარალებულის სამსახურებრივი ან საზოგადოებრივი მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით). 209<sup>1</sup> მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის შემადგენლობა

<sup>2</sup> აღსანიშნავია, რომ კერძანის სსკ § 332 ითვალისწინებს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას მექრთამეობისათვის, რომელიც ყველა თანამდებობის პირს გულისხმობს — სახელმწიფო მოსამსახურესაც, ხელისუფლების წარმომადგენელსაც და მოსამართლესაც. ეს საკითხი ასევეა გადაწყვეტილი საფრანგეთის სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლშიც, რომელიც ითვალისწინებს პასუხისმგებლობას მექრთამეობისათვის.



104-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის შემადგენლობის სპეციალურ შემთხვევას წარმოადგენს და ამ კანონის მიღება მიზნად ისახავდა ახალი დანაშაულთან ბრძოლის გაძლიერებას. ეს მიზანი ვერ იქნა მიღწეული ვინაიდან 209<sup>1</sup>-ე მუხლის სანქცია 104-ე მუხლის სანქციაზე უფრო მსუბუქია. აქედან გამომდინარე, ერთი შეხედვით საყოველთაოდ აღიარებული წესი იმის შესახებ, რომ ზოგადი და სპეციალური კანონების კონკურენციის შემთხვევაში უნდა გამოვიყენოთ სპეციალური კანონი, სასამართლო პრაქტიკაში სადავო გახდა, კერძოდ, სამართალშემფარდებელი ორგანოები შესაბამის შემთხვევებში დანაშაულის კვალიფიკაციის დროს უპირატესობას ანიჭებენ ზოგად კანონს, ე. ი. 104-ე მუხლის მესამე პუნქტს. მაგალითად, ა-ს მიერ შინაგან საქმეთა ქარელის რაიონული განყოფილების თანამშრომლების კ-ს და მ-ს სიცოცხლის ხელყოფა, სამსახურებრივ მოვალეობათა შესრულების დროს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ დააკვალიფიცირა 17-104 მუხლის მესამე და მეოთხე პუნქტებით<sup>3</sup>.

ჩვენი აზრით, ამ შემთხვევაში სასამართლო კოლეგიის პოზიცია არასწორია, რადგან ზოგადი და სპეციალური კანონების კონკურენციიდან გამომდინარე მილიციის მუშაკის სიცოცხლის ხელყოფა საჭიროებდა კვალიფიკაციას არა 104-ე მუხლის მესამე პუნქტით, არამედ 209<sup>1</sup> მუხლით.

მომავალში მსგავს წინააღმდეგობათა თავიდან ასაცილებლად კანონმდებელმა სპეციალური კანონების მიღებისას მრავალ გარემოებას უნდა გაუწიოს ანგარიში; კერძოდ ვიდრე დაისმება სპეციალური კანონის მიღების საკითხი, უნდა დასაბუთდეს აუცილებელია თუ არა მისი მიღება, რას გამოიწვევს ასეთი კანონი: შეიცვლება თუ არა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შინაარსი, სისხლისსამართლებრივი რეგულირების ხერხი, ხომ არ იქნება ახალი კანონი „ზედმეტი“.

6. სვიდლოვის მართებული შენიშვნით, სპეციალური ნორმების გამოყოფა მაშინ არის მიზანშეწონილი, როცა ისინი ითვალისწინებენ განსაზღვრული სახის საზოგადოებრივი ურთიერთობების ნამდვილ თავისებურებებს, რომლებიც საჭიროებენ სპეციფიკურ რეგლამენტაციას; ხელს უწყობენ იმ შედეგების მიღწევას, რომლებსაც ვერ მივაღწევდით ზოგადი ნორმის მეშვეობით; ახდენენ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დიფერენციაციას სამართლებრივი რეგულირების ეფექტიანობის უზრუნველსაყოფად.<sup>4</sup>


ამრიგად, სპეციალური კანონების შექმნას მაშინ აქვს აზრი, როცა ისინი ახდენენ სისხლისსამართლებრივი რეგულირების დიფერენციაციას და ცვლიან ქმედებათა მართლწინააღმდეგობის ფარგლებს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე მიზანშეწონილია სისხლის სამართლის კოდექსიდან ამოვიღოთ რიგი სპეციალური კანონები, რომლებიც თავის დროზე მიიღეს სამართლებრივი ეკონომიის პრინციპის უგულებელყოფით და ვერ ახდენენ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის არსებით დიფერენცია-

<sup>3</sup> იხ. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს არქივი, სისხლის სამართლის საქმე № 2/31, 1991. ანალოგიური შეფასება მისცა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიამ ბაღდათის რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილების მუშაკის ხ-ს მკვლელობის მცდელობას (17-104 მუხლის მესამე პუნქტით) იხ. იქვე, სისხლის სამართლის საქმე № 2-51, 1989.

<sup>4</sup> См. Свидлов Н. М. Специальные нормы в уголовном праве, Канд. дисс., М., 1979 г., ст. 166.





ციას. მათ რიცხვს მიეკუთვნება, მაგალითად, საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 244-ე, 245-ე, 247-ე მუხლები (ზოგად კანონს წარმოადგენს სსკ 146-ე მუხლი).

ასევე ზედმეტად მიგვაჩნია სისხლის სამართლის კოდექსში 243-ე მუხლის შენარჩუნება, რადგან ხსენებული მუხლის (სატრანსპორტო საშუალებათა გატაცება) ახალი რედაქციით ჩამოყალიბების შემდეგ შესაძლოა ხელოვნურად წარმოიქმნას კონკურენცია აღნიშნულ სისხლის სამართლის კანონსა და სახელწიფო და პირადი საკუთრების ხელყოფის წინააღმდეგ მიმართულ შესაბამის სისხლის სამართლის კანონებს შორის. სახელდობრ, სსკ 243-ე მუხლი სატრანსპორტო საშუალებათა გატაცებაში გულისხმობს მანქანების უნებართვოდ წაყვანას როგორც დროებითი გამოყენების მიზნით, ისე მისათვისებლად. აქედან გამომდინარე, თუ კანონთა კონკურენციის გადაწყვეტის ზემოაღნიშნული წესებით ვიხელმძღვანელებთ, სატრანსპორტო საშუალებათა გატაცება მითვისების მიზნით აღარ უნდა საჭიროებდეს დამატებით კვალიფიკაციას სახელმწიფო ან პირადი ქონების ხელყოფის წინააღმდეგ მიმართული შესაბამისი მუხლებით, მაგრამ სასამართლო პრაქტიკა საწინააღმდეგოს მეტყველებს. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს პლენუმი თავის 1992 წლის 29 აპრილის № 16 დადგენილებაში „ავნტოსატრანსპორტო დანაშაულთა საქმეებზე სასამართლო პრაქტიკის შესახებ“ მითითება მისცა სასამართლოებს, რომ სატრანსპორტო საშუალების მითვისების მიზნით გატაცების დროს ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს დანაშაულთა ერთობლიობით — საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 243-ე მუხლით და სახელმწიფო ან მოქალაქის პირადი ქონების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის შესაბამისი მუხლით<sup>5</sup>.

ჩვენ არ ვიზიარებთ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს პლენუმის პოზიციას, რომელსაც არაერთი წინააღმდეგობა ახლავს. ჯერ ერთი, საქართველოს რესპუბლიკის სამოქალაქო სამართლის კანონმდებლობით ავტოსატრანსპორტო საშუალება მოქალაქეთა პირადი საკუთრების უფლების ერთ-ერთი ჩვეულებრივი ობიექტია, რომლის ხელყოფასაც მოიცავენ სისხლის სამართლის კოდექსის მეორე და მესამე თავებით გათვალისწინებული სახელწიფო ან მოქალაქეთა პირადი ქონების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის შესაბამისი მუხლები. მეორეც, ვინაიდან კანონმდებელმა სატრანსპორტო საშუალებათა გატაცებისათვის სპეციალური კანონი შექმნა, თანაც საკმაოდ დეტალურად აღწერა ამ დანაშაულის შემადგენლობის ნიშნები, ამიტომ სატრანსპორტო საშუალების გატაცება მითვისების მიზნით აღარ უნდა საჭიროებდეს დამატებით კვალიფიკაციას საკუთრების ხელყოფის წინააღმდეგ მიმართული ზოგადი სისხლის სამართლის კანონებით, რამდენადაც კანონმდებელი ამ სპეციალურ კანონში გატაცების ნებისმიერ ზერხს გულისხმობს. ამავე დროს არ შეიძლება არ შევნიშნოთ ხსენებული სპეციალური კანონის შეუსაბამობა საკუთრების ხელყოფის წინააღმდეგ მიმართულ ზოგად სისხლის სამართლის კანონებთან. კერძოდ, 243-ე მუხლი ერთ-ერთ მაკვალიფიცირებელ ნიშნად ითვალისწინებს სატრანსპორტო საშუალების გატაცებას დაზარალებულის სიცოცხლის ან ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობით ანდა ასეთი ძალადობის გამოყენების მუქარით. ეს სხვა არაფერია თუ არა ქონების (ამ შემთხვევაში სატრანსპორტო საშუალების) გატაცება ყაჩაღური თავდასხმის ზერხით. მაგრამ ამასთანავე,

5 იხ. ჟურნალი „სამართალი“, 1992, № 5, გვ. 55-56.






243-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული პატერნალურია, ყაჩაღობა კი ფორმალური; უფრო მეტიც, სსკ 243-ე მუხლით მძიმე შედეგად ითვლება სატრანსპორტო საშუალებათა გატაცება, რასაც მოჰყვა, მაგალითად, ადამიანის სიკვდილი<sup>6</sup>, ყაჩაღობა კი ასეთ შედეგს არ მოიცავს, სანქცია კი, პირიქით, ყაჩაღობის ჩადენისათვის უფრო მკაცრია, ვიდრე სატრანსპორტო საშუალებათა გატაცებისათვის. ზემოაღნიშნულ წინააღმდეგობათა გამო მიზანშეწონილია 243-ე მუხლი (დღევანდელი რედაქციით) ამოვიღოთ სისხლის სამართლის კოდექსიდან, ვინაიდან, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მას მთლიანად მოიცავს სახელმწიფო ან მოქალაქის პირადი ქონების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის შესაბამისი მუხლები.

დაბოლოს სპეციალურ კანონებთან დაკავშირებით ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენი სისხლის სამართლის კოდექსი შეიძლება იქცეს სპეციალური ნორმების კრებულად გაზის, ელექტროენერჯის, რადიაქტიური მასალების და სხვა მომეტებული საფრთხის შემცველი ენერჯის წყაროების გამოყენების შესახებ, თუ გაგრძელდება ისეთი სპეციალური ნორმების მიღება, რომლებიც მოცემულია სსკ 98<sup>2</sup>, 246<sup>1</sup>, 251<sup>5</sup> და სხვა მუხლებში. ვფიქრობ, ასეთ სოციალურად საშიშ მოვლენებთან ბრძოლა სისხლის სამართლის სასჯელის მუქარით ეფექტს ვერ მოგვცემს, ალბათ უფრო ეფექტიანი იქნება ასეთ შემთხვევებში ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის გამკაცრება.

<sup>6</sup> იხ. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს პლენუმის ზემოაღნიშნული დადგენილების პ 36. (ეურნალი „სამართალი“ 1992, № 5, გვ. 56).





ზურაბ ღვინჯაძე

# გაეოქიეოს ოკგანიზაცია და სასამართლო რეფორმა

სასამართლო რეფორმის ერთ-ერთი უმთავრესი რგოლია გამოძიების ინსტიტუტის ახლებურად გააზრება და გარდაქმნა.

საბჭოური სასამართლოს სისტემის დაშლის შემდეგ თითქმის ყველა დამოუკიდებელი სახელმწიფო დადგა ამ პრობლემათა გადაწყვეტის წინაშე. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ რუსეთში მოვლენები საკმაოდ ორიგინალურად განვითარდა. აქ პირველად საკანონმდებლო დონეზე დააყენეს საკითხი ერთიან დამოუკიდებელი საგამოძიებო აპარატის შექმნის შესახებ. ვფიქრობთ, ტრადიციული გაელენის ელფერი დაჰკრავს მცდელობას, დაუყოვნებლივ, სიღრმისეული გააზრების გარეშე დანერგონ ეს სიახლე ჩვენში. თუ თვალს გადავავლებთ ცივილიზებული ქვეყნების გამოცდილებას, დავინახავთ, რომ ერთიანი დამოუკიდებელი საგამოძიებო აპარატი ცალკე უწყების სახით თითქმის არსად არ გვხვდება, იგი ან სხვადასხვა უწყებაშია გაბნეული, ან კონცენტრირებულია რომელიმე უწყების ჭერ-ქვეშ, ან ადგილი აქვს ორივეს ერთად. მაგალითად, აშშ-ში გამოძიების ფუნქცია განაწილებულია მრავალ უწყებაზე, გამოძიებას აწარმოებს პოლიცია, იუსტიციის სამინისტრო, ფინანსთა სამინისტრო და ა. შ. აშშ-ში ასევე ფართოდ არის გავრცელებული კერძო გამოძიება, რომელსაც კერძო დეტექტივი ან ადვოკატი აწარმოებს. მიუხედავად გამოძიების სხვადასხვა უწყებებში ასეთი დაქსაქსვისა, აშშ-ში არის ძლიერი საგამოძიებო ორგანო გამოძიების ფედერალური ბიუროს სახით, სადაც თავმოყრილია გამოძიების, სისხლის სამართლის სამძებროს, კონტრდაზვერვის ფუნქციები და რომელიც წამყვან როლს ასრულებს მთელს საგამოძიებო სისტემაში არამართო ქვეყნის შიგნით, არამედ ქვეყნის გარეთაც, თავის მხრივ, გვხვდებიან იუსტიციის სამინისტროს სისტემაში შედის<sup>1</sup> (გვხვდებიან აწარმოებს დაახლოებით ორასი სახის დანაშაულზე).

დიდ ბრიტანეთში უმრავლეს შემთხვევაში პოლიციის თანამშრომლები დამოუკიდებლად წყვეტენ საკითხს სასამართლოში სისხლის სამართლის საქმის წარმოების შესახებ. მხოლოდ ცალკეულ, განსაკუთრებულ საქმეებზე ეს საკითხი წყდება მნიშვნელოვანი თანამდებობის პირის, საზოგადოებრივი დევნის დირექტორის მიერ.

პოლიცია დაზარალებულის საჩივრის მიხედვით საკუთარი ინიციატივით აწარმოებს დაწყებით და მომდევნო საგამოძიებო მოქმედებებს, ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებს. აუცილებელი მტკიცებულებების შეგროვების შემდეგ

<sup>1</sup> «Соц. законность» № 9, 1988, стр. 71—72.



საქმეს გადასცემს სასამართლოში. სასამართლო პროცესზე პოლიციელები გამოდიან ბრალდების მოწმედ და იძლევიან აუცილებელ ჩვენებებს.

საფრანგეთში წინასწარი გამოძიება ფორმალურად (კანონით) სასამართლოს საქმიანობის შემადგენელი ნაწილია და ხორციელდება სასამართლო გამოძიებლების მიერ. პრაქტიკულად სასამართლო გამოძიებელი პროკურორის წინადადებით იშვიათ შემთხვევაში აწარმოებს საგამოძიებო მოქმედებებს. ჩვეულებრივ სამართალდარღვევებს მთლიანად პოლიცია იძიებს<sup>2</sup>.

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის § 163 (მუხლის) თანახმად, „პოლიციის მოხელეებმა და მომსახურე პერსონალმა უნდა უზრუნველყოს დანაშულის გამოძიება, არ უნდა დაუშვან კანონით გათვალისწინებული მითითებების შესრულების დაყოვნება, რამაც შეიძლება საქმის გამოძიებას სირთულეები შეუქმნას. პოლიციის მოხელენი გამოძიებულ საქმეს დაუყოვნებლივ გადაუგზავნიან პროკურატურას.

თუ აღნიშნული საქმის გარჩევა მოითხოვს სასაწრაფო სასამართლო საგამოძიებო მოქმედებას, მაშინ საქმე შეიძლება უშუალოდ პირველი ინსტანციის სასამართლოს (რაიონულს) გადაეგზავნოს“<sup>3</sup>.

დასმული პრობლემების მართებულად გადაწყვეტისათვის უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს იმ გარემოებას, თუ რა გაიაზრება თვით გამოძიების ცნებაში. საბჭოთა სისხლის სამართლის პროცესი (ამჟამად იგი თითქმის უცვლელად მოქმედებს ჩვენთან) მკვეთრად გამიჯნავს გამოძიებას ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობისაგან, რაც აისახება ამ ორგანოთა ორგანიზაციულ მოწყობაშიც. თუმცა ამ სამსახურების ერთ ჭერქვეშ მოქცევით ახერხებს მათ მეტნაკლებ დაახლოებას (მხედველობაში გვაქვს მათი მოწყობა შს სამინისტროსა და საინფორმაციო-სადაზვერვო სისტემაში).

აშშ-ში კი გამოძიების ცნებაში გაიაზრება ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობა, რითაც უზრუნველყოფილია ერთიანი პროცესის მთლიანობა. „სისხლის სამართლის გამოძიებისას ვფხვამოდის, როგორც სისხლის სამართლის სამძებრო ორგანო“<sup>4</sup>, ხოლო „სისხლის სამართლის სამძებრო პოლიციის ფართო ფუნქცია გამოძიებაა“. საკითხისადმი ფრთხილი დამოკიდებულება გვჭირდება განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ვქმნით ერთიან დამოუკიდებელ საგამოძიებო ორგანოს და სხვა უწყებებს ვართმევთ ამ ფუნქციას, ე. ი. როდესაც მკაცრად ვმიჯნავთ სამძებრო ფუნქციას გამოძიებისაგან და შესაბამისად ვახდენთ მათ ორგანიზებულ მოწყობას. ხომ არ გამოიწვევს ყოველივე ეს ერთიანი პროცესის გაუმართლებელ გახლეჩვას? ხომ არ აღმოჩნდება დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ეს ორი მძლავრი საშუალება ჰაერში გამოკიდებული და ერთმანეთს დაპირისპირებული?


ჩვენი არგუმენტების დასასაბუთებლად უპირანია პრობლემა ერთიან კომპლექსში განვიხილოთ, რაც დანაშაულის წინააღმდეგ მიმართულ ღონისძიებათა და დანაშულის ფაქტთან ჭეშმარიტების მიღწევის (დადგენის) ორგანიზაციულ მხარეში გამოიხატება. დანაშაული თავისი ბუნებით არის ერთიანი პროცესი, რომელსაც ჩადის კონკრეტული პიროვნება ან პიროვნებათა ჯგუფი, ე. ი. დანაშაული არის ერთი მთლიანი მოვლენა, რომელსაც ერთი სუბიექტი ან სუბიექტთა წრე გააჩნია. თუ ცივილიზებული მსოფლიოსათვის ჭეშმარიტების დადგენის

<sup>2</sup> «Организация деятельности органов внутренних дел зарубежных стран», 1980, стр. 87—88.

<sup>3</sup> Strafprozeßordnung des BDR, § 163, ausgehen der polizei.

<sup>4</sup> «Соц. законность», № 9, 1988, стр. 71.





თვალსაზრისით ყველაზე კლასიკურ და დემოკრატიულ ფორმას შეჯიბრებითობის პრინციპზე აგებული სისხლის სამართლის პროცესი და შესაბამისად ერთმანეთთან დაპირისპირებული ბრალდების (სისხლის სამართლის დევნის) და დაცვის ინსტიტუტებზე დაფუძნებული მართლმსაჯულების სასახლე წარმოადგენს, სავსებით ანომალიურად მივიჩნევთ სასამართლო პროცესამდე დანაშაულის გახსნისა და გამოძიების ღონისძიებათა გაუმართლებელ დანაწევრებას, რაც ამ ორგანოთა ორგანიზაციულ მოწყობაში ვლინდება, ასეთი სახის დანაწილება ბუნებრივად იწვევს პასუხისმგებლობის არასასურველ დაქუცმაცებასაც.

ტოტალიტარული ტიპის სახელმწიფოსა და მის საფუძველზე დამკვიდრებული რეჟიმის ერთ-ერთი თვალსაჩინო უარყოფითი მომენტი იმაშიც გამოიხატება, რომ ხშირად ერთი ხელის დაკვრით, სულმოუთქმელად ვცდილობთ თავს მოხვეული მანკიერებისაგან განთავისუფლებას. საგნისა და მოვლენისადმი ასეთი დამოკიდებულება გვაიძულებს ერთი უკიდურესობიდან მეორე უკიდურესობაში აღმოვჩნდეთ, მმართველობის ტოტალიტარული ფორმიდან ანარქიაში გადავვარდეთ, მძლავრი სახელმწიფო მანქანის საშუალებით პიროვნების უფლების დათრგუნვა სახელმწიფოს მიერ პიროვნების ელემენტარული უფლებების დაუცველობითა და სახელმწიფო აპარატის უძლურობით შევცვალოთ.

ერთი უკიდურესობიდან მეორე უკიდურესობაში გადასვლის მაგალითი უკანასკნელ წლებში სისხლის სამართლის პროცესში განხორციელებულ ცვლილებებშიც შეინიშნება (სამწუხაროდ იგივე მოხდა სისხლის სამართალში და სამართლის სხვა დარგებში).

უცნობილია, რომ საბჭოური ტიპის სახელმწიფოში სასამართლო ორგანოები, როგორც დემოკრატიული ინსტიტუტი, დაკნინებული იყო, მთელი ძალაუფლება თავმოყრილი იყო ტოტალიტარიზმის პრინციპზე აგებულ სამართალდამცავ ორგანოებში. პიროვნების დაცვის უფლება (ეჭვმიტანილის, ბრალდებულის) ფორმალურ ხასიათს ატარებდა, პრაქტიკაში გამეფებული იყო ბრალდებისაკენ ვადაზრის ტენდენცია. (უკანასკნელ პერიოდში აქ განვითარებულმა დემოკრატიულმა პროცესებმა დღის წესრიგში, სავსებით სამართლიანად, დააყენა საკითხი პიროვნების უფლების ამადლებისა და მისი დაცვის რეალური მექანიზმის შესაქმნელად.) მხედველობაში გვაქვს 1991 წლის კანონი „სასამართლო წყობილების შესახებ“. ამ კანონმა საგრძნობლად გაზარდა ეჭვმიტანილისა და ბრალდებულის უფლებები, შეჯიბრებითობის ელემენტი შეიტანა წინასწარ გამოძიებაში, მაგრამ კვლავ უუფლებო დატოვა დაზარალებული.<sup>5</sup> უფრო მეტიც, ამ მეტად საჭირო და აუცილებელმა დემოკრატიულმა ცვლილებამ საკმაო უხერხულობა შეუქმნა რეალურად ისედაც უფლებაშეზღუდულ გამოძიებელს. ვინაიდან გამოძიებელი დამოკიდებულია არა მარტო მოკვლევის ორგანოზე, არამედ იგი ფაქტობრივად შინაგან საქმეთა რაიონული განყოფილების უფროსს ემორჩილება (მხედველობაში გვყავს შს სამინისტროს სისტემის გამოძიებლები). მეორე მხრივ, ისინი უზარმაზარ ზეწოლას განიცდიან პროკურატურის ორგანოების მხრივ, ასე, რომ მათი პროცესუალური დამოუკიდებლობა ფიქტია. მიგვაჩნია, რომ კონკრეტულ შემთხვევაში საჭირო იყო თვით საგამოძიებო ინსტიტუტის გაძლიერება, სასამართლოს ავტორიტეტის ამადლება, შესაბამისად მათი ორგანიზაციული და სტრუქტურული ცვლილებები.

აღნიშნული არგუმენტი იმისთვის მოვიყვანეთ, რომ მიგვენიშნებინა ცალ-

<sup>5</sup> ეურნ. „სამართალი“, 1991, №7-8 გვ. „ახ. ივერიელი“, 1991 წლის 3 ივნისი.



მხრივობისა და ზედაპირულობის მეტად ცუდ შედეგებზე. კარდინალური სასიყვედურის რეფორმის განხორციელება მოითხოვს იმ ძირითადი პრინციპების განხორციელებას, რაზედაც დაფუძნებულია იგი, მით უმეტეს საკითხს განსაკუთრებული სიფრთხილით უნდა მივუდგეთ თუ ეს სიახლეა და ცივილიზებულ სამყაროში აღიარება ჯერ არ მოუპოვებია.

წამოჭრილ პრობლემათა მართებულად გადაწყვეტისათვის ასევე აუცილებელია ღრმად გაანალიზდეს საბჭოური სამართლის სისტემის საფუძველზე მოკვლევასა და გამოძიების ორგანოს შორის პრაქტიკაში არსებული ტრადიციული წინააღმდეგობათა მიზეზები. ამ საკითხთან დაკავშირებით მეტად საგულისხმო მოსაზრებას გამოთქვამს შინაგან საქმეთა სამინისტროს მთავარი საგამოძიებლო სამმართველოს უფროსი ჯ. გახოკიძე: „ბუნებრივია, რომ ოპერატიულ-სამძებრო სამსახურების მიერ მოპოვებული მასალები გამოძიებით უნდა გადამოწმდეს და დადასტურდეს ან უარყოფილ იქნას. ამდენად, ცალკე საგამოძიებო უწყების ჩამოყალიბების შემთხვევაში ანგარიშგასაწევ პრობლემად რჩება ოპერატიული სამსახურების და საგამოძიებო აპარატის ურთიერთშეთანხმებული მოქმედების საკითხი. შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში შემაჯავლი ოპერატიული და საგამოძიებო სამსახურების ასეთი შეთანხმებული მოქმედება სერიოზული ხარვეზების მიუხედავად, დღეს ავად თუ კარგად, ხერხდება. ხვალ თუ ყველა საგამოძიებო დანაყოფი ერთ სისტემაში გაერთიანდება, ეს პრობლემა დაშორიშორდება, გადრმავდება. ამიტომ ვფიქრობ, რომ საგამოძიებო აპარატებში გარკვეულწილად ოპერატიული სამსახურისათვის დამახასიათებელი ფუნქციები უნდა შეითავსოს, ოპერატიულმა სამსახურებმა კი — გამოძიებისა. ყოველ შემთხვევაში, ასე უმეტეს ცივილიზებულ ქვეყანაში, ჩვენი მოქმედი კანონმდებლობა კი ძალიან მკაცრად მიჯნავს ამ ორი სამსახურის საქმიანობას. თუ ასე გაგრძელდა და ახალმა საპროცესო კანონმდებლობამ დასაშვებ ზღვრამდე არ დაახლოვა ერთმანეთს, დანაშაულის გახსნის მდგომარეობა გამოძიების ერთიანი აპარატის შექმნის შემთხვევაში უფრო გაუარესდება“.<sup>6</sup>

ვიზიარებთ ჯ. გახოკიძის მოსაზრებას და მიზანშეწონილად მივიჩნევთ, შეიქმნას ერთიანი, ძლიერი საგამოძიებო აპარატი მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი გაიზიარებს მსოფლიოს ცივილიზებული სახელმწიფოებისა და ჩვენი საპროცესო კანონმდებლობის თეორიულ და პრაქტიკულ გამოცდილებას.

<sup>6</sup> გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1993 წლის 7 ივლისი.



მთავრად ვინაღორც

## სასოფლო-სამეურნეო მიწის საკუთრება გეორგიისში

საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა იძლევა სამეცნიერო ურთიერთ-გაცვლის შანსს სამართლის მეცნიერების სფეროში. გერმანელი აგრარიურისტები დიდი ინტერესით ადევნებენ თვალყურს სამართლის განვითარებას ყოფილ სოციალისტურ სახელმწიფოებში და მათ შორის, აგრეთვე, საქართველოში. ამასთან, ცენტრალურ საკითხს წარმოადგენს მიწაზე კერძო საკუთრების, როგორც კერძო სასოფლო-სამეურნეო საწარმოების საფუძვლის აღდგენა. ჩემთვის განსაკუთრებით საინტერესოა, რომ მეძლევა ქართველ იურისტებთან სამეცნიერო ურთიერთგაცვლაში მონაწილეობის შესაძლებლობა და მსურს ამ სტატიაში გერმანიის სასოფლო-სამეურნეო მიწის საკუთრება წარმოვადგინო.

### I. სასოფლო-სამეურნეო მიწის საკუთრება და საკუთრებითი წყობილება

გერმანული აგრარული წყობილებისთვის დამახასიათებელია მიწაზე კერძო საკუთრება. ამასთან, სასოფლო-სამეურნეო მიწის საკუთრება, ისევე როგორც სატყეო-სამეურნეო მიწის საკუთრება, განსხვავებით საქალაქო მიწის საკუთრებისაგან, მნიშვნელოვანი სამართლებრივი თავისებურებებით გამოირჩევა. სამოქალაქო სამართლის წიგნი გამოდის საკუთრების ერთიანი, აბსტრაქტული ცნებიდან. საკუთრება გაიგება როგორც ნივთზე ყოვლისმომცველი ბატონობის უფლება, რომელიც არ განსხვავდება ცალკეული ქონების, ანდა განსაკუთრებით მიწის ნაკვეთის სარგებლობის სახეების მიხედვით. განსხვავებას მოძრავ და უძრავ ნივთებს შორის სამოქალაქო სამართლის წიგნში უფრო სამართლებრივ-ტექნიკური მნიშვნელობა აქვს.

მე-19 საუკუნის პირველი ნახევრის აგრარულმა რეფორმებმა თავისუფალი მიწის საკუთრება სოფლის მეურნეობაშიც შემოიღეს. საგლეხო საკუთრება შეტანილ სქნა ზოგად სამოქალაქო საკუთრებაში და განკარგვისა და დატვირთვის შეზღუდვების გაუქმების შედეგად თავისუფალ მიწის ბაზარზე გავიდა. მაგრამ მე-19 საუკუნის მეორე ნახევრიდან დამკვიდრდა საპირისპირო განვითარება, რომელშიც საგლეხო საკუთრება კვლავ განსაზღვრულ ბოჭვებს დაექვემდებარა, თავდაპირველად სასოფლო-სამეურნეო მემკვიდრეობის სამართლის სფეროში, ხოლო შემდგომ მიწის ბრუნვისა და მიწის იჯარის სამართლის სფეროში.





მიწის საკუთრების მუდმივად მზარდმა შეზღუდვებმა მისი სარგებლობის სახეებისა და ფუნქციებიდან გამომდინარე ჩამოაყალიბეს შესუღუღება, რომ ერთმანეთისაგან უნდა განსხვავდებოდეს საკუთრების სხვადასხვა ტიპური სპეციალური ფორმები. საკუთრების ერთ-ერთ ასეთ ტიპურ სპეციალურ ფორმად მიიჩნევა სასოფლო-სამეურნეო მიწის საკუთრება.

სასოფლო-სამეურნეო საკუთრებისგან განსხვავდება სასოფლო-სამეურნეო საწარმო. (აქ იგულისხმება საგლეხო მეურნეობა. მთარგ. შენიშვნა). სასოფლო-სამეურნეო მიწა წარმოადგენს ერთ-ერთ, თუ არა არსებით წარმოების ფაქტორს სასოფლო-სამეურნეო საწარმოებისთვის. ცხადია, სასოფლო-სამეურნეო მიწის საკუთრება და სასოფლო-სამეურნეო საწარმო ერთმანეთთან მჭიდრო ურთიერთკავშირში იმყოფებიან. სასოფლო-სამეურნეო მიწის საკუთრების შეზღუდვები სამართლებრივ გარიგებებთან მიმართებაში (მემკვიდრეობა და ა. შ.) განსაკუთრებით ისახავენ მიზნად სასოფლო-სამეურნეო საწარმოების შენარჩუნებასა და განვითარებას.

სასოფლო-სამეურნეო მიწის საკუთრებასთან მიმართებაში განასხვავებენ პრობლემათა ორ წრეს. ერთის მხრივ იგი იმყოფება ზოგად საკუთრებით წყობილებაში, როგორც კონსტიტუციურ სამართალსა და სამოქალაქო სამართალშია ჩამოყალიბებული. მეორეს მხრივ, მის მიმართ მოქმედებენ სპეციალური ნორმები, რომლებიც მიზნად ისახავენ სასოფლო-სამეურნეო საწარმოების შენარჩუნებასა და ხელშეწყობას.


## II. საკუთრებითი წყობილების საფუძვლები

### 1. საკუთრება და კონსტიტუციური სამართალი

საკუთრებისთვის ფუძემდებლური ორივე ნორმა მოთავსებულია ძირითადი კანონის მე-14 მუხლსა და სამოქალაქო სამართლის წიგნის § 903-ში. ძირითადი კანონის მე-14 მუხლი უზრუნველყოფს საკუთრებასა და მემკვიდრეობის უფლებას, მაგრამ ამავე დროს ითვალისწინებს საკუთრების აუცილებელ სოციალურ ბოჭვას. საკუთრების გარანტიას ორი ასპექტი გააჩნია. ერთის მხრივ, გარანტირებულია საკუთრება, როგორც ცალკეული მესაკუთრეების სამართლებრივი მდგომარეობა. განსაზღვრული წინაპირობების არსებობისას სახელმწიფოს შეუძლია ექსპროპრიაციის მოხდენა. ასეთ შემთხვევაში სამართლებრივი მდგომარეობის გარანტია გარდაიქმნება ღირებულებით გარანტიად, ე. ი. ექსპროპრიაცია დაიშვება მხოლოდ სათანადო კომპენსაციით. მეორეს მხრივ, საკუთრების გარანტია გულისხმობს საკუთრების ინსტიტუტის გარანტიას. ამით კერძო საკუთრება როგორც ეკონომიკური და საზოგადოებრივი წყობილების ფუძემდებლური ინსტიტუტი, ხელშეუხებელი უნდა დარჩეს.

საკუთრების გარანტია, ცხადია, არაა შეუზღუდავი. საკუთრებამ უფრო მეტად უნდა გაუწიოს ანგარიში ადამიანთა თანაცხოვრებაში საქონლის მიერ შესრულებულ ფუნქციას. ამის შესაბამისად ძირითადი კანონი განსაზღვრავს, რომ საკუთრება ავალდებულებს და მისი გამოყენება იმავდროულად საზოგადოებრიობის კეთილდღეობას უნდა ემსახურებოდეს. ამით კანონმდებელს ეკისრება ამოცანა. კანონების მეშვეობით განსაზღვროს საკუთრების შინაარსი და შეზღუდვები. საკუთრების შინაარსისა და შეზღუდვების განსაზღვრა ორ პოლუსს შორის მოძრაობს. კერძოდ, საკუთრების სოციალურ ბოჭვასა და საკუთრების არ-





სის შესაბამისად მის კერძო სარგებლიანობას შორის. საკუთრებითი წყობილებების ჩამოყალიბებისას კანონმდებელი არ არის თავისუფალი. მან უნდა დაიცვას გადაჭარბების აკრძალვის პრინციპი. მის თანახმად შეზღუდვები მხოლოდ მაშინაა დასაშვები, როცა ისინი სასურველი მიზნის მისაღწევად მოხერხებული და აუცილებელია. გარდა ამისა, ისინი შესატყვისი უნდა იყვნენ, ე. ი. უნდა არსებობდეს სათანადო თანაფარდობა საკუთრებაში ჩარევის სიმძიმესა და დასახულ მიზანს შორის ეს ნიშნავს, რომ საკუთრების უფლების სტრუქტურა კანონმდებლის მიერ არ შეიძლება ერთიანი იყოს საკუთრების ყველა კატეგორიისთვის. საკუთრების სტრუქტურა დამოკიდებულია, როგორც სიკეთეთა სახეებზე, ასევე მათ ფუნქციებსა და სარგებლობებზე. ამით გასაგები ხდება, რომ მიწის საკუთრებასა და მოძრავ ნივთებს შორის, ასევე სამეწარმეო ანდა სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში ჩართულ ნივთებს შორის, მნიშვნელოვანი სამართლებრივი განსხვავებაა. მეორეს მხრივ მიწის საკუთრების კონსტიტუციურ-სამართლებრივად დასაშვები სტრუქტურა იწვევს განსხვავებულ სამართლებრივ ტიპებს, როგორცაა სასოფლო-სამეურნეო, სატყეო-სამეურნეო მიწის საკუთრება, ანდა საკუთრების უფლება საქალაქო მიწებზე. იმავდროულად საკუთრების უფლების გაფორმება შეიძლება დროით განსაზღვრულ გარემოებებზე იყოს დამოკიდებული. მეორე მსოფლიო ომის დროს და მის შემდგომ, მძიმე სასურსათო მდგომარეობის გამო მოხდა მიწის დამუშავების სამართლის ლეგიტიმაცია, რომლის თანახმადაც სასოფლო-სამეურნეო მიწის მესაკუთრეს შეიძლებოდა სანქციითა შეშვეობით დაკისრებოდა სასოფლო-სამეურნეო სავარგულების შესაბამისი დამუშავება. აგრარული წარმოების განვითარების შედეგად, რომელმაც მნიშვნელოვანი ჭარბწარმოება გამოიწვია, ამგვარ მიწის დამუშავების სამართალი ზედმეტი გახდა და ამის გამო 1961 წელს კანონმდებელმა გააუქმა იგი.

კონსტიტუციურ-სამართლებრივი დაცვის ქვეშ მყოფი საკუთრება არის კანონმდებლის მიერ კონსტიტუციურ-სამართლებრივი წინაპირობების შესაბამისად გაფორმებული საკუთრება. კანონმდებელი უფლებამოსილი იყო განსაზღვრული შეზღუდვებით ნაწილები საკუთრებიდან ამოეღო, მაგალითად, მიწის-ქვეშა წყლები და მნიშვნელოვანი წიაღისეულები.

შინაარსისა და შეზღუდვების განსაზღვრებანი მესაკუთრემ უკომპენსაციოდ უნდა ითმინოს. მაგრამ განსაკუთრებულ შემთხვევებში კანონმდებელს, ფედერალური კონსტიტუციური სასამართლოს პრაქტიკის თანახმად, შეიძლება დაეკისროს კომპენსაციის ვალდებულება, რომ ამით უზრუნველყოფილი იყოს შესატყვისობის პრინციპი. თუკი კანონმდებელი ასეთ შემთხვევაში საკუთრების შინაარსსა და შეზღუდვებს განსაზღვრავს კომპენსაციის ვალდებულების გაუთვალისწინებლად, მაშინ ამგვარი განსაზღვრა სამართალსაწინააღმდეგოა.

ფედერალური კონსტიტუციური სასამართლოს ახალი პრაქტიკის თანახმად სოციალური ბოჭვა და ექსპროპრიაცია სრულიად განსხვავებული სამართლის ინსტიტუტებია; ექსპროპრიაცია უკვე აღარ წარმოადგენს სოციალურ ბოჭვას. შინაარსის განმსაზღვრელი ნორმა, რომელიც კონსტიტუციურ-სამართლებრივ ფარგლებს აჭარბებს, ექსპროპრიაციის ნორმად არ იქცევა. რადგან იგი კონსტიტუციის საწინააღმდეგოა და ამდენად ბათილიც. ექსპროპრიაციად მიიჩნევა საკუთრების მთლიანი, ანდა ნაწილობრივი ამოღება. ნაწილობრივია ამოღება მაშინ, როცა საკუთრების შემადგენელი ნაწილი, რომელიც სამართლებრივად და-



მოუკიდებელი შეიძლება გახდეს, საკუთრებიდან გამოიყოფა. ექსპროპრიაციის შეიძლება მხოლოდ კანონის მეშვეობით ან მის საფუძველზე განხორციელდეს. მისი დაშვებადობა დამოკიდებულია იმაზე, რომ ექსპროპრიაციის ნებადართვლი კანონი, იმავდროულად, კომპენსაციის სახესა და ოდენობას ითვალისწინებს (ე. წ. ურთიერთკავშირის პირობა.) კომენსაცია უნდა დადგინდეს საზოგადოებისა და ხელყოფილი მესაკუთრეების ინტერესთა სამართლიანი შეწონასწორებით. მაგრამ ექსპროპრიაციის კანონებში საზოგადოდ იგი ორიენტირებულია ბრუნვის ღირებულებაზე.

## 2. უფლება მიწის ნაკვეთზე სამოქალაქო სამართლის წიგნში

საკუთრება, ძირითადი კანონის მე-14 მუხლის თანახმად, განისაზღვრება კერძო სამართლებრივი და საჯარო-სამართლებრივი ნორმების მეშვეობით. კერძო სამართლებრივი საფუძველი საკუთრებისთვის არის სამოქალაქო სამართლის წიგნის § 903. ეს ნორმა აყალიბებს საკუთრების შინაარსს პოზიტიური და ნეგატიური ასპექტით. ერთის მხრივ მესაკუთრეს შეუძლია სურვილისამებრ მოექცეს ნივთს. მეორეს მხრივ, მას უფლება აქვს გამოიცილოს მესამე პირები მის ნივთზე ყოველგვარი ზემოქმედებისგან. თავდაცვის ეს უფლება გამოიხატება ხელშემშლელის მიმართ უკანდაბრუნების, უმოქმედობის და ზიანის ანაზღაურების მოთხოვნაში. მაგრამ სამოქალაქო სამართლის წიგნის გაგებით საკუთრება არ არის შეუზღუდავი. მესაკუთრის ორივე (პოზიტიური და ნეგატიური) უფლებამოსილება შეიძლება მესამე პირთა (მაგალითად, იჯარის ხელშეკრულება, ქირავნობის ხელშეკრულება, უზურფრუქტი და ა. შ.) მეშვეობით შეიზღუდოს. მაგრამ არსებითაა შეზღუდვა კანონის მეშვეობით; § 903-ში განმტკიცებული მითითება კანონზე პრაქტიკაში გადამწყვეტ როლს ასრულებს.

სამოქალაქო სამართლის წიგნის სანივთო სამართალი არეგულირებს საკუთრების გადატანას როგორც მოძრავ ნივთებზე ასევე მიწის ნაკვეთებზე. გერმანული სამართლისთვის არსებითაა განსხვავება ვალდებულებით გარიგებებსა და შესრულების გარიგებებს შორის. ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულება, როგორც ასეთი, ჯერ კიდევ არ იწვევს საკუთრების შეცვლას. უფრო მეტად ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულება აფუძნებს უფლებებსა და მოვალეობებს ორივე მხარისთვის. ასე, გამყიდველი ვალდებულია გადასცეს მყიდველს საკუთრება გაყიდულ ნივთზე. ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებისაგან, როგორც ვალდებულებითი გარიგებისგან, განსხვავდება შესრულების გარიგება. შემძენზე მიწის ნაკვეთის საკუთრების გადატანის ვალდებულების შესრულებისათვის საჭიროა ორი სამართლებრივი აქტი, ერთის მხრივ, აუცილებელია შეთანხმება ყოფილ მესაკუთრესა და შემძენს შორის საკუთრების შეცვლის თაობაზე. ეს შეთანხმება განსხვავდება ვალდებულებითი გარიგების საფუძველად არსებული შეთანხმებისგან, რომელიც მხოლოდ ვალდებულებებს აფუძნებს. მიწის ნაკვეთზე საკუთრების შეცვლის თაობაზე შეთანხმება, რომელიც საკუთრების გადაცემად არის მიჩნეული, ისევე როგორც შესაბამისი ვალდებულებითი გარიგება (მაგ. ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულება და ა. შ.) ნოტარიუსის მიერ უნდა იქნეს დამოწმებული. გადაცემასთან ერთად, რომელიც მოძრავ ნივთებზე აუცილებელია, მიწის ნაკვეთების მიმართ გათვალისწინებულია საადგილმამულო წიგნში რეგისტრაცია, როგორც საკუთრების გადასვლისათვის სამართლებრივად აუცილებელი აქტი.



### III. სასოფლო-სამეურნეო მიწის საკუთრება და აგრარული სამართალი

სასოფლო-სამეურნეო მიწის საკუთრება მრავალი თავისებურებით ხასიათდება. ჯერ ერთი, კანონმდებელს შეუძლია მიწის ბრუნვის ურთიერთობებში ჩარევა. ეს ხდება როგორც სამიწო გარიგებათა და მიწის საიჯარო ურთიერთობათა კანონებით ასევე სასოფლო-სამეურნეო მემკვიდრეობითი სამართლის მეშვეობით. მეორეც მიწის იჯარის სამართლით, რომელიც მიზნად ისახავს არა მხოლოდ მოიჯარის სოციალურ დაცვას, არამედ მოიჯარის საწარმოს უზრუნველყოფასაც, იზღუდება მესაკუთრის უფლებამოსილებანი. დაბოლოს, განსახლებისა და მიწათმოწყობის სამართლის დახმარებით სახელმწიფო ცდილობს აგრარული სტრუქტურის გაუმჯობესებას, რომელშიც საწარმოები ხელახლა ჩამოყალიბდება და ვითარდებიან, ანდა, რომელშიც შესაძლებელია დაქუცმაცებული მიწათმოფლობელობის გამოღიანება.

#### 1. მიწის ბრუნვის სამართალი

სასოფლო და სატყეო-სამეურნეო მიწის განკარგვები ექვემდებარება სახელმწიფო კონტროლს. ამის სამართლებრივ საფუძველს შეადგენს 1961 წლის 28 ივლისის სამიწო გარიგებათა კანონი. პრინციპში სასოფლო და სატყეო-სამეურნეო მიწის ნაკვეთების ყველა გასხვისება ნებართვა სავალდებულოა. ნებართვამდე სამართლებრივი გარიგება ითვლება არანამდვილად. ცხადია, ზოგი გარიგება ნებართვათაგანს უფალოა. ლაპარაკია, სხვათა შორის, ფედერაციის ანდა ლანდების ზოგ გასხვისებით და შეძენით გარიგებებზე. ასევე, განსახლებისა და მიწათმოწყობის პროცესით გათვალისწინებული ზოგი გარიგებები, მართალია, ნებართვასავალდებულოა მაგრამ მიწის ბრუნვის უწყებისაგან ამგვარი ნებართვა უნდა იქნეს გაცემული. ნებართვათაგანს უფალოა გარიგებები, რომელთა დროსაც ხდება სასოფლო-ანდა სატყეო-სამეურნეო საწარმოების გადაცემა მეუღლეთათვის ან ახლო ნათესავებისთვის.

ყველა სხვა შემთხვევაში ნებართვა აუცილებელია. ამ საფუძველების არსებობისას შეიძლება ნებართვაზე უარი ეთქვას:

ა) მიწის არაჯანსაღი გადანაწილება;

ბ) არამეურნეობრივი დაქუცმაცება;

გ) უხეში შეუსაბამობა მიწის ნაკვეთის ფასსა და ღირებულებას შორის.

მიწის არაჯანსაღი გადანაწილება მაშინაა როცა, მიწის ნაკვეთი არასოფლის მეურნეზე უნდა იქნეს გასხვისებული. სოფლის მეურნე კი ამ მიწის ნაკვეთს თავისი საწარმოს არსებობის უზრუნველსაყოფად საჭიროებს და ასევე მზადაა გადაიხადოს შეთანხმებული ფასი. ძირითადი პროფესიის სოფლის მეურნესა და დამხმარე პროფესიის სოფლის მეურნეს შორის კონკურენციისას, განსახლვრული წინაპირობების არსებობისას, უპირატესობა მიენიჭება პირველს. როგორც წესი, მიწის არამეურნეობრივი დაქუცმაცება სახეზეა მაშინ, როცა დამოუკიდებელი სასოფლო-სამეურნეო საწარმო თავის სიცოცხლისუნარიანობას დაკარგავდა, თუკი სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთი 1 ჰექტარზე ნაკლები გახდებოდა, ანდა სატყეო-სამეურნეო ნაკვეთი — 3,5 ჰექტარზე ნაკლები. ეს განსახლვრებები მოქმედებს მემკვიდრეობის დანაწილების დროსაც. სასოფლო-სამეურნეო სასამართლოები ფასების უხეშ შეუსაბამობად მიიჩნევენ, როცა განსხვავება შეთანხმებულ ფასსა და ქვეყნის შიგნით არსებულ რეალურ ღირებულებას შორის 50%-ს აღემატება.




## 2. განსახლების სამართალი

თანამედროვე პირობებში განსახლების სამართალს ჯერ კიდევ აქვს მარ-გინალური მნიშვნელობა. სამართლებრივ საფუძველს შეადგენს 1919 წლის 11 აგვისტოს საიმპერიო განსახლების კანონი, რომელიც მიზნად ისახავს ახალი სასოფლო-სამეურნეო საწარმოების შექმნას და უკვე არსებული მცირე საწარ-მოების გაზრდას. განსახლების მატარებლები არიან შეზღუდული პასუხისმგებ-ლობის საზოგადოებათა ფორმით არსებული განსახლების საწარმოები, რომ-ლებიც იქმნებიან და ფინანსდებიან ლანდების მიერ. განსახლებისთვის სასოფ-ლო-სამეურნეო ფართობები დღეს პირველ რიგში მიწის თავისუფალი ყიდვის გზით, ხოლო მეორე შემთხვევაში უპირატესი შესყიდვის უფლების გამოყენებით ხდება, რომელიც კანონის საფუძველზე აქვთ განსახლების საწარმოებს მინიჭე-ბული. განსახლების საწარმოს უპირატესი შესყიდვის უფლება არის სამიწო გა-რიგებათა კანონით გათვალისწინებული სანებართვო პროცესით ნიშანდებული. თუ უწყების აზრით ყიდვაგაყიდვის ხელშეკრულებას უარი უნდა ეთქვას, მაშინ უწყებამ განსახლების საწარმოს ამის თაობაზე უნდა შეატყობინოს. განსახლე-ბის საწარმოს შეუძლია უპირატესი შესყიდვის უფლების განხორციელება. რამ-დენადაც სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთების გასხვისებისას ნებართვაზე უა-რის თქმა იშვიათია, უპირატესი შესყიდვის უფლებაც ასევე ასრულებს მეორეხა-რისხოვან როლს. სასოფლო-სამეურნეო საწარმოების ახლად დაარსება თანამედ-როვე პირობებში ასევე იშვიათად ხდება. უპირატესად ხდება მიწის ნაკვეთების გადასვლა სასოფლო-სამეურნეო საწარმოებზე. ამ შემთხვევაში განსახლების საწარმოს აქვს კვლავსყიდვის უფლება, რომელიც საადგილმამულო წიგნში შეი-ტანება. კვლავსყიდვის საფუძველი არსებობს მაშინ, როცა მოსახლე მთლიანად ან ნაწილობრივ ასხვისებს ანდა თმობს თავის სახლ-კარს, ან როცა იგი დი-დი ხნის მანძილზე არ ცხოვრობს იქ, ანდა არ ამუშავებს. კვლავსყიდვის უფლების ზანგრძლივობა, ფასი და სხვა დავწვრილებითი პირობები განსახლების ხელშეკ-რულებაში გაითვალისწინება.

## 3. სასოფლო-სამეურნეო მემკვიდრეობის სამართალი

სამოქალაქო მემკვიდრეობის სამართლით შეიძლება სასოფლო-სამეურნეო საწარმოების არსებობას საფრთხე დაემუქროს. ერთის მხრივ, სამოქალაქო მემ-კვიდრეობის სამართალი ემყარება ყველა მემკვიდრის თანასწორობას. ისე, რომ ამან მემკვიდრეობისას შეიძლება საწარმოს რეალური დანაწილება და ამით მისი დაქუცმაცება გამოიწვიოს. მეორეს მხრივ, მხედველობაში მიიღება ბრუნვის ღი-რებულების საფუძველზე მემკვიდრეობით-სამართლებრივი უფლებები და სავალ-დებულო წილის უფლება. ამან კი ერთი მემკვიდრის მიერ საწარმოს მიღების დროს სხვა მემკვიდრეთა სასარგებლოდ ვალდებულებათა შესრულებისას შეიძ-ლება საწარმოს ზედმეტად დავალიანება გამოიწვიოს. ამიტომ კანონმდებელმა სასოფლო-სამეურნეო საწარმოების მემკვიდრეობით გადასვლისას სპეციალური წესები გაითვალისწინა. ცხადია არ არსებობს ერთიანი მთლიანი წესი მთელი გერმანიისთვის, უფრო მეტად იგი ემყარება რამდენიმე ფედერალურ და ლანდე-ბის კანონს. სასოფლო-სამეურნეო საწარმოების მთლიანობის უზრუნველსაყო-ფად და მათი ზედმეტი დავალიანებებისაგან დაცვის მიზნით კანონმდებელმა ოთხი • ინსტრუმენტი გაითვალისწინა:





### ა. მინიჭების უფლება;

მინიჭების უფლებისას საწარმო თავდაპირველად ერგება სამოქალაქო სამართლის წიგნის წესებით შექმნილ სამემკვიდრეო ერთობას. სამემკვიდრეო დავისას საწარმო მემკვიდრეებს შორის არ გაიყოფა არამედ სასოფლო-სამეურნეო სასამართლოს შეუძლია საწარმო მთლიანად ერთ მემკვიდრეს მიანიჭოს, რომელიც დანარჩენ თანამემკვიდრეებს არა ბრუნვის ღირებულების საფუძველზე, არამედ შემოსავლის ღირებულების საფუძველზე გაუსწორებს ანგარიშს. მინიჭების ამგვარი პროცედურა გათვალისწინებულია მიწის გარიგებათა ფედერალურ კანონში. იგი გამოიყენება მხოლოდ მაშინ, როცა სამემკვიდრეო ერთობა კანონისმიერი მემკვიდრეობის გზით არის წარმოშობლი, და როცა მემკვიდრე, რომელიც მინიჭებაზე თანხმობას განაცხადებს, საწარმოს გაძლიერების ვარგისია. თუკი სასოფლო-სამეურნეო საწარმოს შექმნის რამდენიმე პრეტენდენცია, მაშინ მოსამართლე საკითხს წყვეტს სამკვიდროს დამტოვებლის ნების შესაბამისად. თუკი საწარმოს მიმღები 15 წლის განმავლობაში მთლიანად ან ნაწილობრივ გაასხვისებს მას ანდა იყენებს არასასოფლო-სამეურნეო მიზნებისათვის, მაშინ მან დამატებით თავის თანამემკვიდრეებს უნდა მისცეს კომპენსაცია. მინიჭების პროცედურა ასევე გათვალისწინებულია ჰესენის ერთ-ერთ კანონში.

### ბ. მიღების უფლება:

შვარცვალდისთვის მოქმედი ბადენის საკომლო კანონი ითვალისწინებს მიღების უფლებას. როგორც მინიჭების უფლების დროს, აქაც თავდაპირველად კომლი გადადის სამოქალაქო სამართლის წიგნის წესით წარმოშობილ სამემკვიდრეო ერთობაზე: სამემკვიდრეო დავის შემთხვევაში დახურული კომლის მიმღები კომლს მიიღებს არა სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე, როგორც ეს მინიჭების დროსაა, არამედ სამკვიდროს დამტოვებლის ანდერმით ანდა კანონით განსაზღვრულ პირობებში. მთავარი კრიტერიუმი ამ შემთხვევაში არის უფროსობის უფლება. ამ დროს სხვა შვილებზე წინ დგას შვილი, რომლის განათლების ანდა კომლში მისი საქმიანობის ხასიათიდან და მოცულობიდან გამომდინარე სამკვიდროს დამტოვებელმა გადაწყვიტა, რომ კომლი მას უნდა გადაეცეს.

### გ. ერთმემკვიდრეობის უფლება:

ბრემენის, ვუერტემბერგის, რენლანდ-პფალცის ლანდების კანონებმა, ასევე ე. წ. ჩრდილო-დასავლურ გერმანულმა საკომლო დებულებებმა, რომლებიც შლესვიგ-ჰოლშტეინ, ქვედა საქსონიის, ჩრდილოეთ რეინ-ვესტფალიისა და ჰამბურგისათვის როგორც პარციალური ფედერალური სამართალი მოქმედებენ, შემოიღეს ერთმემკვიდრეობის უფლება. ამის მიხედვით, კომლის მესაკუთრის სიკვდილის შემთხვევაში კომლი მთლიანად ერგება ერთ მემკვიდრეს. მან თავის თანამემკვიდრეებს ანგარიში უნდა გაუსწოროს ან შემოსავლის ღირებულების საფუძველზე ანდა მთლიანი ღირებულების 1,5-ჯერადად. (ჩრდილო-დასავლური გერმანული საკომლო დებულება). ამ დებულების თანახმად კომლის მემკვიდრე მეურნეობაუნარიანი უნდა იყოს. იგი სამი შემდეგი კრიტერიუმის შესაბამისად აირჩევა: პირველ რიგში კომლს იღებს ის, ვინც უკვე დამოუკიდებლად,




შეიძლება ასევე როგორც მოიჯარე, ამუშავეს მას. მეორე რიგში იღებს ის რომლის განათლების ანდა კომლში მისი საქმიანობის ხასიათიდან და მოცულობიდან გამომდინარე სამკვიდროს დამტოვებელმა გადაწყვიტა, რომ კომლი მას უნდა გადაეცეს. მესამე რიგში ეს საკითხი წყდება უფროსობის ანდა უმცროსობის უფლების მიხედვით, ადგილობრივი ჩვეულების შესაბამისად. სამკვიდროს დამტოვებელს შეუძლია ანდერძით მოაწესრიგოს კომლის მემკვიდრეობა. მაგრამ მას შეუძლია მხოლოდ ერთი მემკვიდრის განსაზღვრა და ამავე დროს ეს მემკვიდრე არავითარ შემთხვევაში არ უნდა იყოს მეურნეობაუუნარო. გარდა ამისა, მას არ შეუძლია მემკვიდრეობისგან გამორიცხოს დაღმავალი შტოს ნათესავი, რომელიც კომლს უკვე დამოუკიდებლად ამუშავეს ანდა კომლისათვის, მისი საქმიანობის ხასიათიდან და მოცულობიდან გამომდინარე, სამკვიდროს დამტოვებელმა ცნობილი გახდა, რომ დაღმავალი შტოს ნათესავმა უნდა მიიღოს მიწის ნაკვეთი. ჩრდილო-დასავლურ გერმანული საკომლო დებულების თანახმად მემკვიდრეობით კომლის გადასვლიდან 20 წლის განმავლობაში, კომლის მთლიანად ანდა ნაწილობრივ გაყიდვის შემთხვევაში, მესაკუთრემ უნდა აუნაზღაუროს წილი თავის თანამემკვიდრეებს. 10 წლის შემდეგ მან სყიდვის ფასის მხოლოდ 3/4, ხოლო 15 წლის შემდეგ — სყიდვის ფასის ნახევარი უნდა გაუნაწილოს თანამემკვიდრეებს.

#### დ. მესაკუთრის ანდერძის თავისუფლების გაფართოება

სამოქალაქო სამართლის წიგნის მიხედვით ანდერძის თავისუფლება შეზღუდულია სავალდებულო წილის უფლების მეშვეობით განსაზღვრული მემკვიდრეების მიმართ (დაღმავალი შტოს ნათესავები, მეუღლეები, მშობლები), რაც ბრუნვის ღირებულების საფუძველზე გამოიანგარიშება. მაგრამ სამოქალაქო სამართლის წიგნი მიწის მესაკუთრეს აძლევს იმ მემკვიდრის განსაზღვრის უფლებას, რომელზეც უნდა გადავიდეს მიწის ნაკვეთი. ამ შემთხვევაში საეჭვოა, რომ მიწის ნაკვეთი შემდგომი მემკვიდრეობით-სამართლებრივი ანდა სავალდებულო წილის მოთხოვნებისთვის შემოსავლის ღირებულებით უნდა შეფასდეს თუ ბრუნვის ღირებულებით. ამგვარი უფლებამოსილება მხოლოდ სასოფლო სამეურნეო საწარმოს მესაკუთრეს აქვს და არა ჩვეულებრივი სამკვიდროს დამტოვებელს.

სასოფლო-სამეურნეო მემკვიდრეობითი სამართლის კანონები მართალია არ განსაზღვრავენ ზედა ზღვარს, მაგრამ აწესებენ ქვედა მიჯნას სპეციალური მემკვიდრეობით სამართლის გამოყენებისთვის. ამასთან ერთმანეთისგან განსხვავდება ორი სისტემა: ჩრდილო გერმანული სისტემა მყარი ქვედა ზღვრით (ან სამეურნეო ღირებულების საფუძველზე ანდა ფართობის სიდიდე (ბრემენი) და სამხრეთ-გერმანული სისტემა ქვედა ზღვრით, რომელიც ემყარება, იმას, საკმარისია თუ არა საწარმოს შემოსავალი საგლეხო ოჯახის შენახვისთვის. 1976 წლამდე ჩრდილო-დასავლურ გერმანული საკომლო დებულება ემყარებოდა სავალდებულო ერთმემკვიდრეობის სამართალს, ე. ი. 10 000 გერმანული მარკის ზემოთ მთლიანი ღირებულების კომლების მემკვიდრეობისას დგებოდა სავალდებულო ერთმემკვიდრეობა, მიუხედავად მესაკუთრის სურვილისა. მესაკუთრეს არ ჰქონდა შესაძლებლობა თავისი საწარმო ერთმემკვიდრეობის უფლებიდან ჩამოეცილებინა. ამჟამად მთელს გერმანიაში პრინციპში მოქმედებს ფაკულტატური





სისტემა, ე. ი. მესაკუთრეს აქვს შესაძლებლობა თავისი საწარმო ან ერთ-  
მეკვიდრეობის უფლებას დაუქვემდებაროს ანდა ამოიღოს მისგან და მემკვიდრე-  
რობა განახორციელოს სამოქალაქო სამართლის წიგნის ნორმათა მიხედვით.

#### 4. მიწის იჯარის სამართალი

მიწის იჯარის უფლება ორი კანონითაა მოწესრიგებული. 1985 წლის 8 ნო-  
ემბრის მიწის იჯარის ურთიერთობის კანონი ითვალისწინებს მიწის იჯარის  
ხელშეკრულებებისათვის სახელმწიფოებრივ კონტროლს. სამოქალაქო სამართ-  
ლის წიგნი შეიცავს ცალკე განყოფილებას მიწის იჯარის შესახებ, რომელიც  
მიწის იჯარის ხელშეკრულებას მისი მონაწილეების უფლებებითა და მოვალე-  
ობებით აწესრიგებს.

მიწის იჯარის ურთიერთობის კანონი ავალდებულებს მეიჯარეს, რომ  
მან მიწის იჯარის ხელშეკრულების დადება და მისი ყოველგვარი შეცვლა  
კომპეტენტურ უწყებას განუცხადოს. მიწის იჯარის ხელშეკრულებები უწყე-  
ბის მიერ წარმართული პროცესის ფარგლებში (განსახლების, მიწათმოწყობის  
პროცესი), ისევე როგორც მიწის იჯარის ხელშეკრულებები ნათესავებს შო-  
რის, წარმოადგენენ გამონაკლისს. კომპეტენტურ უწყებას შეუძლია მიწის იჯა-  
რის ხელშეკრულება გააპროტესტოს იგივე საფუძვლებიდან გამომდინარე, რაც  
სამიწო გარიგებათა კანონშია გათვალისწინებული და საკუთრების შეცვლის  
პრინციპებს ეწინააღმდეგება. სამიწო გარიგებათა კანონისაგან განსხვავებით, იჯა-  
რის დროს, დამხმარე სოფლის მეურნეობა პრინციპულად გათანაბრებულია მთა-  
ვარ სოფლის მეურნეობასთან. მიწის იჯარის ხელშეკრულების შეჩერებით უწყე-  
ბა ხელშეკრულების მონაწილეებისაგან მოითხოვს ხელშეკრულების გაუქმე-  
ბას ანდა გარკვეულწილად მის შეცვლას. თუ ხელშეკრულების მხარეები არ  
შეასრულებენ ამ მოთხოვნას, მაშინ მიწის იჯარის ხელშეკრულება ანდა ხელშეკ-  
რულების ცვლილება ითვლება გაუქმებულად, თუკი ხელშეკრულების ერთ-ერთი  
მონაწილე არ მიმართავს სასამართლოს. მეიჯარის მიერ ხელშეკრულების განუ-  
ცხადებლობისთვის უწყებებს შეუძლიათ მას დააკისრონ ჯარიმა. გარდა ამისა  
განუცხადებელი ხელშეკრულების შემთხვევაში არ შეიძლება მოთხოვნილ იქნას  
სახელშეკრულებო მოქმედებათა სასამართლოსეული მისადაგება შეცვლილი  
ეკონომიკური ურთიერთობებისადმი.

იჯარის ხანგრძლივობის მიხედვით ერთმანეთისაგან განსხვავდება მიწის  
იჯარის ხელშეკრულება განსაზღვრული და განუსაზღვრელი ვადით. განუსაზღვ-  
რელი ვადით იჯარის ხელშეკრულებისას ხელშეკრულების ნებისმიერ მონაწი-  
ლეს შეუძლია არაუგვიანეს საიჯარო წლის მესამე სამუშაო დღისა, ახალი საი-  
ჯარო წლის დაწყებამდე მოშალოს ხელშეკრულება. განუსაზღვრელი ვადით  
იჯარის ხელშეკრულებები შეიძლება ასევე ზეპირად დაიდოს. იჯარის ხელშეკ-  
რულებები, რომლებიც ორ წელზე მეტი ვადით დაიდება მოითხოვენ წერილობით  
გაფორმებას. თუკი არ არის წერილობითი ფორმა, მაშინ ეს ხელშეკრულებები  
განიხილება განუსაზღვრელი ვადით დადებულ ხელშეკრულებებად. მოიჯარეს  
შეუძლია მეიჯარისაგან საიჯარო ურთიერთობათა გაგრძელება მოითხოვოს, თუ-  
კი მისი მატერიალური მდგომარეობა იჯარაზეა დამოკიდებული და ხელშეკ-  
რულებისმიერი დამთავრება საიჯარო ურთიერთობისა, მოიჯარისა და მისი  
ოჯახისთვის მძიმე ვითარებას გამოიწვევდა. მაგრამ ამისთვის მოქმედებენ გარ-  
კვეული დროითი ზედა საზღვრები. იჯარის გაგრძელება სასამართლოს მიერ გა-



მორიცხულია, როცა ხელშეკრულების ხანგრძლივობა საწარმოს იჯარისას ანა-  
ნაკლებ 18 წელია, ხოლო სხვა მიწის ნაკვეთების იჯარის დროს - ხუთ ცოტა  
12 წელი იყო შეთანხმებული. განსაზღვრულ შემთხვევებში იჯარის გაგრძელება  
სასოფლო სამეურნეო სასამართლოს მიერ გამოირიცხულია.

საიჯარო თანხა მიწის იჯარის ხელშეკრულების განცხადების დროს შეი-  
ძლება უწყების მიერ გაპროტესტდეს, თუ იგი არ შეესაბამება საიჯარო ნაკვეთის  
შემოსავალს. საიჯარო თანხის შესწორება შეიძლება საინდექსო პრინციპებით  
იქნეს მიღწეული. ინდექსირება მხოლოდ მაშინაა ნამდვილი, როცა იგი კომპე-  
ტენტური ცენტრალური ბანკის მიერაა ნებადართული. ეს ღონისძიება ემსახუ-  
რება იმას, რომ ინფლაცია იქნეს თავიდან აცილებული.

ურთიერთობის შემდგომი შეცვლისას, რომელიც იჯარის ხელშეკრულების  
დადების დროს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოქმედებების დადგენი-  
სათვის მნიშვნელოვანი იქნება, ხელშეკრულების ნებისმიერ მონაწილეს შეუძლია  
სასოფლო-სამეურნეო სასამართლოში ხელშეკრულების შეცვლა მოითხოვოს  
(ხელშეკრულების ხანგრძლივობის გამოკლებით), თუ ამის შედეგად თავიდან  
იქნება აცილებული უხეში გაუგებრობანი. ცვლილება შეიძლება მოთხოვნილ  
იქნას არაუადრეს ორი წლისა იჯარის დაწყებიდან ანდა ხელშეკრულების დრო-  
ის უკანასკნელი ცვლილებიდან.


მოიჯარე ვალდებულია რომ იჯარის საგანი, სათანადოდ დამუშავოს. საი-  
ჯარო საგნის, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების შეცვლა (მაგალითად, სასოფ-  
ლო-სამეურნეო ნაკვეთების გადაქცევა კირწყვის მოსაპოვებელ ადგილად) მოი-  
ჯარეს მხოლოდ მეიჯარისაგან წინასწარი ნებართვის მიღების შემდეგ შეუძლია.  
მეიჯარის მიერ ნებართვაზე უარი არ შეიძლება სასოფლო-სამეურნეო სასამარ-  
თლოს მიერ შეიცვალოს. სასოფლო-სამეურნეო სარგებლობის შიგნით საიჯარო  
საგნის სარგებლობის შეცვლისთვის მოიჯარე საჭიროებს მეიჯარის წინასწარ  
ნებართვას იმ შემთხვევებში, როცა შეცვლის გზით სარგებლობის სახე გავლენ-  
ას ახდენს იჯარის ვალაზე. შენობის აგებაც მოიჯარეს შეუძლია მხოლოდ მეი-  
ჯარის წინასწარი თანხმობით. თუკი მეიჯარე უარს იტყვის ნებართვაზე, მაშინ  
განსაზღვრული პირობების არსებობისას შეიძლება იგი სასოფლო-სამეურნეო  
სასამართლოს მიერ იქნეს შეცვლილი.

მოიჯარის ინვესტიციები იმით შეიძლება ანაზღაურდეს, რომ მეიჯარე სა-  
იჯარო ურთიერთობების ბოლოს აუნაზღაურებს მოიჯარეს სასარგებლო გამო-  
ყენებებს, როცა გამოყენებები საიჯარო საგნის ღირებულებას იჯარის შემდ-  
გომი დროისთვის ზრდიან. თუ მეიჯარე უარს ამბობს მოიჯარის სასარგებლო  
გამოყენებათა ანაზღაურებაზე, მაშინ მოიჯარეს შეუძლია ანაზღაურება მიიღოს  
სასოფლო-სამეურნეო სასამართლოს მეშვეობით. სასოფლო-სამეურნეო სასამ-  
ართლოს შეუძლია განსაზღვროს საიჯარო საგნის ზედმეტი ღირებულება და  
დაადგინოს იგი. განსაზღვრული გარემოებების არსებობისას სასამართლოს შე-  
უძლია მეიჯარეს დააკისროს განვადებით გადახდა ზედმეტი ღირებულებისათ-  
ვის, ანდა დაადგინოს საიჯარო ურთიერთობების გაგრძელება მანამ, სანამ საი-  
ჯარო საგანი ამორტიზებული იქნება.

განსაზღვრული პირობების არსებობისას მოიჯარემაც უნდა ითმინოს მე-  
იჯარისგან განხორციელებული გაუმჯობესებები. გარემოებათა არსებობისას მე-  
იჯარეს შეუძლია მოითხოვოს საიჯარო თანხის შესაბამისი გაზრდა.

საიჯარო ურთიერთობების განმავლობაში შეიძლება შეიცვალოს როგორც  
მეიჯარის, ასევე მოიჯარის პიროვნებები. მეიჯარის სიკვდილის შემთხვევაში ს-





ჯარო ურთიერთობა გაგრძელდება მისი მემკვიდრეების მიერ. საიჯარო საგნის გასწვებისას მოიჯარეზე მიწის ნაკვეთის გადაცემის შემდეგ შემძენი საიჯარო ხელშეკრულებაში იკავებს მემკვიდრის ადგილს; ამასთან მოქმედებს პრინციპი: „ყიდეა-გაყიდე არ ანგრევს იჯარას“. მოიჯარის სიკვდილის შემთხვევაში როგორც მისი მემკვიდრეები, ასევე მემკვიდრე, უფლებამოსილი არიან, საიჯარო ურთიერთობა ექვესთვიან ვადაში, კვარტლის დამთავრებამდე მოშალონ. მაგრამ მემკვიდრეებს აქვთ უფლება ხელშეკრულების მოშლას შეეწინააღმდეგონ და საიჯარო ურთიერთობათა გაგრძელება მოითხოვონ, როცა საიჯარო ნივთის სათანადო დამუშავება მემკვიდრეების ანდა მესამე პირთა მიერ გარანტირებულია. მემკვიდრის თანხმობის გარეშე მოიჯარეს არ შეუძლია საიჯარო ნივთი მესამე პირს გადასცეს, კერძოდ, არ შეუძლია მას მისი გაცემა ქვეიჯარით. მემკვიდრის თანხმობის გარეშე ასევე არ შეუძლია მოიჯარეს საიჯარო ნივთი მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის საერთო სარგებლობისთვის.

### 5. მიწათმოწყობის სამართალი

მიწათმოწყობის სამართალი ემყარება 1976 წლის 16 მარტის რედაქციით მოქმედ 1953 წლის 14 ივლისის მიწათმოწყობის კანონს. მიწათმოწყობის მიზანია გააუმჯობესოს სოფლისა და სატყეო მეურნეობაში წარმოებისა და შრომის პირობები, ხელი შეუწყოს მიწის კულტურის დაცვასა და მის განვითარებას. ამ მიზნით მიწათმოფლობელობა ახლებურად უნდა მოწესრიგდეს. ცნება „მიწის კულტურა“ მოიცავს ყველა ეკონომიკურ და ეკოლოგიურ ასპექტს, რომლებიც არსებითია სასოფლო და სატყეო მეურნეობისთვის. მიწის განვითარება გაიგება როგორც სივრცითი მოწყობისა და მიწის დაგეგმარების ნაწილი, რომელიც მოიცავს მიწის სივრცითი განვითარების დაგეგმვას. მიწათმოწყობა შესაბამისი უწყების მიერ არის მოწესრიგებული. მონაწილე-მესაკუთრეთა უმრავლესობის მხარდაჭერა არ არის აუცილებელი. მიწათმოწყობის ორგანიზაციით შესაბამისი მესაკუთრეები ერთიანდებიან საჯარო სამართლის ორგანოში, ე. წ. მონაწილეთა თანამეგობრობაში. მონაწილეთა თანამეგობრობას უფლება აქვს მისი წევრებისაგან საწევროები მოითხოვოს. თავდაპირველად დგინდება ძველი ნაკვეთის ღირებულება. ღირებულების დადგენა ქმნის საფუძველს წევრთათვის ახალი ნაკვეთების მემკვიდრეობით კომპენსაციისათვის. ამას მოსდევს გეგმის ფარგლებში საგზაო და წყლის გეგმების ჩამოყალიბება, რომელსაც აუცილებლად უნდა ერთვოდეს თან ეკოლოგიური ასპექტებისა და ლანდშაფტის მოვლის თანაგეგმა. საგზაო და წყლის გეგმები წარმოადგენენ საფუძველს მიწის ახლებური დაყოფისათვის. მიწათმოწყობის გეგმის პროექტი შემდგომ მონაწილეებთან ერთად განიხილება უწყების მიერ. მიწათმოწყობის გეგმაში გაითვალისწინება მიწის ნაკვეთების გაერთიანება და გაცვლა. ამისთვის მოქმედებს თანაბარი ღირებულების პრინციპი. მიწის ნაკვეთის ნაცვლად ფულადი ანაზღაურება შესაძლებელია მხოლოდ მესაკუთრის თანხმობით. არსებული საწარმოს სტრუქტურის შეცვლა ასევე დაიშვება მხოლოდ მონაწილის ნებართვით. მიწათმოწყობისთვის მოქმედებს სუროგაციის პრინციპი, ე. ი. სანივთო უფლებები და საიჯარო ურთიერთობები გადადიან ძველი მიწათმოფლობელობიდან ახლად განაწილებულ მიწათმოფლობელობაზე. სამართლებრივი გავლენა მიწათმოწყობის გეგმისა მდგო-



მარეობს იმაში, რომ სამართლებრივი ურთიერთობები უშუალოდ იცვლებიან, თუმცა, ახალი სამართლებრივი მდგომარეობა მხოლოდ მიწათმოწყობის გეგმის შედეგად კი არ დგება, არამედ საჭიროებს ასევე განხორციელების გადაწყვეტილებას, რომელშიც განსაზღვრული იქნება ახალი სამართლებრივი მდგომარეობის დადგომის დრო. ვარდა ამ ზოგადი მიწათმოწყობისა, მოქმედებს ასევე სპეციალური პროცედურა, რომელთა მიმართ გამოიყენება სპეციალური ნორმები.

## გამოყენებული ლიტერატურა

<sup>1</sup> Justus Wilhelm Hedemann, Die Fortschritte des Zivilrechts im 19. Jahrhundert. Teil II/1. Die Entwicklung des Bodenrechts von der französischen Revolution bis zur Gegenwart. 1930.

<sup>2</sup> Fritz Baur, Lehrbuch des Sachenrechts. 16. Aufl. 1992, S. 286 ff.

<sup>3</sup> Karl Kroeschell, Landwirtschaftlicher Betrieb. Handwörterbuch des Agrarrechts (HAR). Bd. II (1982), Sp. 269 ff.

<sup>4</sup> Maunz/Papier, in: Maunz-Dürig, Kommentar zum Grundgesetz (Loseblattausg.). Art. 14; Hartmut Maurer, Allgemeines Verwaltungsrecht. 8. Aufl. 1992, § 26.

<sup>5</sup> Fritz Baur, Lehrbuch des Sachenrechts. 16. Aufl. 1992, S. 215 ff.

<sup>6</sup> Bernold Bendel, Grundstückverkehrsgesetz (HAR). Bd. I. (1981), Sp. 855 ff.

<sup>7</sup> Gerd Münchow, Siedlungsrecht (HAR). Bd. II (1982), Sp. 758 ff.

<sup>8</sup> Karl Kroeschell, Landwirtschaftliches Erbrecht (HAR). Bd. II (1982), Sp. 306 ff.

<sup>9</sup> Karl Kreuzer, Zuweisung (HAR). Bd. II (1982), Sp. 1103 ff.

<sup>10</sup> Karl Kreuzer, Anerbenrecht (HAR). Bd. I (1981), Sp. 259 ff.

<sup>11</sup> Wolfgang Winkler, Rechtliche Rahmenbedingungen für Pachten in der Landwirtschaft. In: Pacht in der Landwirtschaft (Schriftenreihe des HLBS. Heft 114), 1986, S. 5 ff.

<sup>12</sup> Friedrich Quadflieg, Flurbereinigungsrecht (HAR). Bd. I (1981), Sp. 631 ff.

## შთარბენელისაბან

გერმანიის ქალაქ გეტინგენის უნივერსიტეტის პროფესორი, დოქტორი ვოლფგანგ ვინკლერი აგარაუთი და გარემოს დაცვის სამართლის საქვეყნოდ ცნობილი მეცნიერია. მის დღე საერთაშორისო პოპულარობას ისიც განაპირობებს, რომ იგი ფლობს 12 ენას, რაც შესაძლებლობას აძლევს ნაყოფიერად იმუშაოს შედარებით სამართლისმცოდნეობაში. მე მქონდა ბედნიერება გერმანიაში ყოფნისას შემუშავა მის გვერდით და გავცნობოდი არა მხოლოდ გერმანიის არამედ დასავლეთ ევროპისა და აზიის მრავალი ქვეყნის საკუთრებასთან დაკავშირებულ ინსტიტუტებს.

წინამდებარე წერილი, რომელიც პროფესორმა ვინკლერმა სპეციალურად უშრნალ „სამართლის“ რედაქციისათვის დაწერა, იძლევა დღევანდელი საქართველოსთვის უადრესად საჭირო ბოროტო პრობლემას — საკუთრებას და კერძოდ, მიწის საკუთრებას. მარქსისტულ-ლენინური პოლიტიკონომიის მიერ ჩამოყალიბებული დოგმებიდან, როგორც ჩანს, წარმოუდგენლად ძნელია თავის დაღწევა. პირველ რიგში ეს შეეხება საკუთრების საკითხს. როგორც ჩანს, იმდენად მოხდა ამ ინსტიტუტის იდეოლოგიზება, რომ მისგან თავის დაღწევა უჭირთ არა მხოლოდ ხანდაზმულ ეკონომისტ-მეცნიერებს, არამედ მათაც, ვინც ეკონომიკური რეფორმების დროშებს აფრიალებს დღევანდელ საქართველოში.

პროფესორ ვინკლერის ნაშრომი ბევრ ისეთ კითხვაზე იძლევა პასუხს, რომელიც სრულიად სამართლიანად აწუხებთ დღევანდელი რეფორმების შესწავრებს საქართველოში. ამ ასპექტითაც, წერილის მნიშვნელობა მეტად დიდია. და მინც, მე გამოვყოფდი რამდენიმე საიტს, რომელსაც არა მხოლოდ პრაქტიკოსთვს, არამედ თეორიისთვისაც დიდი ღირებულება გააჩნიათ.

პირველი. გერმანული სამართალი განამტკიცებს და უზრუნველყოფს საკუთრებას, როგორც უფლებას და როგორც სამართლის ინსტიტუტს. ამიტომ მისთვის უცნობა საკუთრების ე. წ. ინსტრუმენტალიზება საკუთრების ფორმების შესაბამისად, როგორც ეს სოციალისტურ სამართალში იყო და მისი გავლენა დღესაც მნიშვნელოვანია ჩვენშიც. ამიტომ გერმანული სამართლისთვის არსებობს საკუთრების ერთიანი, განუყოფელი ცნება.



მეორე. საკუთრების ცნების ერთიანობა სრულიადაც არ ნიშნავს იმ განსხვავების უარყოფას, რომელიც ბუნებრივად წარმოიშობა სხვადასხვა ობიექტების მიმართ საკუთრების უფლების განხორციელებისას. ამის ყველაზე კარგ მაგალითს მიწის საკუთრება შეადგენს. სწორედ მიწის საკუთრებაში იყრის თავს კონცენტრირებულად ყველა ის შეზღუდვა, რაც საკუთრებისთვისაა დამახასიათებელი.

მესამე. საკუთრება არ არის აბსოლუტურად შეუზღუდავი უფლება. ამგვარ საკუთრებას არ იცნობენ ყველაზე კაპიტალიტური ქვეყნებიც კი და მათ შორის გერმანიაც. საკუთრების შინაარსი და შეზღუდვები იცვლება სოციალურ-ეკონომიკური განვითარების, საზოგადოებრივი ფასეულობების ცვლილებების კვალობაზე და იმ სოციალური ფუნქციის შესაბამისად, რომელსაც საკუთრების ესა თუ ის ობიექტი ასრულებს. მაგალითად, ვა-იანი წლების გერმანიაში აკრძალული იყო ბორდელის ასაშენებლად მიწის ნაკვეთების შექმნა, რადგან ამგვარი მოქმედება ამორალურად იყო შეფასებული. დღევანდელ გერმანიაში ასეთი შეზღუდვა უკვე აღარ არსებობს. ცხადია, რომ ამ პატარა შესავალში მე ვერ წარმოვადგენ მიწის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა საკითხს, არც არის ამის აუცილებლობა. წინამდებარე სტატია კომპაქტურად იძლევა გერმანიაში სასოფლო-სამეურნეო მიწის საკუთრების სურათს.

დაბოლოს, მე დიდი სიამოვნებით ვთარგმნე პროფესორ ვინკლერის სტატია, რადგანაც ვფიქრობ, რომ იგი სასარგებლოა ჩვენთვის ეს არის ნაბიჯი გერმანულ და ქართულ მეცნიერების ტრადიციებს შორის ურთიერთობის წინწაწვევის საქმეში. მეცნიერება კი ამგვარი კავშირების გარეშე წარმოუდგენელია. მომავალშიც მე სიამოვნებით წარმოვუდგენ ქართველ მეცნიერებს გერმანული მეცნიერების მიერ დაწერილ ნაშრომებს.

ლადო ზანტუჩია

სოსო მუშალავა

## მიზეზობრივი კავშირის პრობლემა ინგლისურ და ამერიკულ დელიქტურ სამართალში

თანამედროვე ინგლისური და ამერიკული დელიქტური სამართლისათვის დამახასიათებელია მისწრაფება, რომ თავი აარიდონ დელიქტური სამართლის ზოგადი ცნებების შემუშავებას, კერძოდ კი, ისინი გვერდს უვლიან მიზეზობრიობის თეორიის პრობლემასაც.

სელმონდი წერდა, რომ „მიზეზობრიობის პრინციპი არ შეიძლება აღმოჩენილი იყოს კაუზალობის თეორიის ლოგიკური და თეორიული განსჯის სფეროში... მოსამართლეს საქმე არა აქვს იმ სიტყვიერ სირთულეებთან, რომელიც თან ახლავს კაუზალობის ცნებას“<sup>1</sup>. უინფილდი თავის სახელმძღვანელოში აღნიშნავდა, რომ „განსაზღვრული ზომით სამართალი ეხება ფილოსოფიას, მაგრამ კაუზალობის არცერთი პრინციპი, რომელიც წინა პლანზეა წამოწეული ინგლისური და ამერიკული სასამართლოების მიერ, არ დააკმაყოფილებს არცერთ ფილოსოფოსს. მეორე მხრივ, არცერთი პრინციპი, რომელიც შემოთავაზებულია ფილოსოფოსების მიერ, პრაქტიკულად მისაღები არ არის სასამართლოებისათვის“<sup>2</sup>.

<sup>1</sup> იხ. სელმონდი, 1945, გვ. 135 (ინგლ. ენაზე).

<sup>2</sup> იხ. უინფილდი, 1954, გვ. 74 (ინგლ. ენაზე).



ინგლისის ლორდთა პალატას მიაჩნია, რომ სწავლულებისა და ფილოსოფოსების იდეებს არა აქვთ მნიშვნელობა საერთო სამართლისათვის. მისი აზრით, მიზეზობრივი კავშირის საკითხები უნდა წყდებოდეს ისე, როგორც ამას შეაფასებს „კეთილგონიერი ჟიური, რომელიც საღი აზრით განსჯის ყოველ კონკრეტულ შემთხვევას, ეს არის... გარემოებათა საკითხი და იგი უნდა გადაწყდეს ჩვეულებრივი საღი განსჯით, რომელიც შეესაბამება საგანთა მდგომარეობას“<sup>3</sup>. ინგლისის ლორდთა პალატა სასამართლოების ყურადღებას მიაპყრობს იმ გარემოებას, რომ ქმედობის საკმარის მიზეზად მიჩნევისათვის, რომლის გამოც დადგა ზიანი, ყურადღება უნდა მიექცეს იმ ინტერესების არსს, რომლის დაცვასაც მოსარჩლე ეძებს. ამასთან, მიუთითებს რომ მიზეზობრივი კავშირის დადგენის წესები „შესაძლებელია ყოველთვის არ შეესაბამებოდეს მკაცრი ლოგიკის წესებს“<sup>4</sup>.

დასავლეთის იურიდიულ მეცნიერებაში დიდი ზანია არსებობს უარყოფითი დამოკიდებულება სამართალში კაზუალობის პრობლემისადმი. კერძოდ, კელზენი სამართალს განიხილავდა, როგორც წმინდა ვალდებულებების სფეროს, რომელიც დაკავშირებული არ არის ობიექტურ მიზეზობრიობასთან<sup>5</sup>. ასეთ შეხედულებებს დიდი გავლენა ჰქონდათ სასამართლო პრაქტიკაზე. მაგალითად, არკანზასის შტატის უზენაესმა სასამართლომ ერთ-ერთი საქმის განხილვისას მიუთითა, რომ „მიზეზობრიობის კატეგორიას (უახლოესი მიზეზი) კავშირი აქვს მხოლოდ ფიზიკასთან და არა სამართალთან“<sup>6</sup>.

ცხადია, სწორი არ იქნება ვამტკიცოთ, რომ ინგლისური და ამერიკული სამართლისათვის (კერძოდ, დელიქტური სამართლისათვის) უცნობია მიზეზობრივი კავშირის წესებისა და პრინციპების ჩამოყალიბების ცდები. ამისათვის სამართალი, უწინარესად, დიდად არის დავალებული სასამართლო პრაქტიკისაგან, რომელიც არაერთხელ ცდილობდა შეემუშავებინა კაზუალობის ზოგადი პრინციპები. იხილავს რა მიზეზობრივ კავშირს ქმედობასა და დამდგარ მავნე შედეგს შორის ზიანის მიმყენებლის პასუხისმგებლობის ერთ-ერთ პირობად, სასამართლო პრაქტიკა და მის კვალობაზე დოქტრინაც, იყენებს მთელ რიგ ტერმინებს მის აღსანიშნავად. მათი ჩამონათვალი ადასტურებს აზრთა იმ დიდ მრავალფეროვნებას, რომელსაც ადგილი ჰქონდა ამ სფეროში. მიზეზობრივი კავშირი ხასიათდებოდა როგორც „ჯაჭვი“, „ტრანსმისის ქაშები“, „მილსადენი“; „ქსელი“, გამოიყენებოდა ისეთი გამოთქმები, როგორებიცაა „პირდაპირი მიზეზი“; „საკმარისი მიზეზი“ და ა. შ. ამერიკის შეერთებული შტატების სასამართლოები საკმაოდ თანამიმდევრულად იყენებენ ტერმინს „უახლოესი მიზეზი“ და მასში გულისხმობენ განსხვავებულ, ხშირად საწინააღმდეგო აზრებს. ეს ტერმინი აწვალებს დელიქტურ სამართალს მრავალი წლის განმავლობაში, მაგრამ არავინ არ იცის მისი ნამდვილი მნიშვნელობა.

კაზუალობის დადგენისას ინგლისური და ამერიკული პრაქტიკა ჩვეულებრივ გამოდიან იქიდან, განზრახი თუ გაუფრთხილებელი ქმედებით არის მიყენებული ზიანი. ერთსულოვანია აზრი იმის შესახებ, რომ წინასწარგანზრახული მავნე ქმედობები ყოველთვის იმყოფებიან საკმარის მიზეზობრივ კავშირში დამ-


<sup>3</sup> იხ. ჰ. სთრითი, გვ. 149 (ინგლ. ენაზე).

<sup>4</sup> იხ. კლერკი და ლინდსელი, გვ. 180 (ინგლ. ენაზე).

<sup>5</sup> იხ. ლ. ს. იაიჩი, საზოგადოებრივა ურთიერთობების სამართლებრივი რეგულირების პრობლემები, მ., 1961, გვ. 15.

<sup>6</sup> იხ. ნიუ-იორკის უნივერსიტეტის სამართლის მაცნე, 1961, № 2, გვ. 148.





დგარ შედეგთან. ლეთქემის საქმეზე სასამართლომ მიუთითა, რომ „დაზარალებულისათვის ზიანის მიყენების განზრახვა ხსნის ყველა საკითხს მიზეზის დასაბუთების შესახებ“.<sup>7</sup> როგორც ვხედავთ, აურიდიული მნიშვნელობის მქონე მიზეზობრივი კავშირი აქ მთლიანად არის დამოკიდებული სუბიექტურ მომენტზე ე. ი. იმაზე სურდა თუ არა ზიანის მიყენებელს მავნე შედეგის დადგომა. მაგრამ, მიუხედავად საკითხის ასეთი სახით დაყენებისა, პრაქტიკა კაზუალობის განსაზღვრისას განიცდის მნიშვნელოვან სირთულეებს, როდესაც განზრახი ქმედობის შედეგი ისეთი არ არის, როგორც ვარაუდობდა ზიანის მიყენებელი. ასეთ შემთხვევაში სასამართლო პრაქტიკა გამოდის იმ ზიანის ანაზღაურების პრინციპიდან, რაც არის სამართალდამრღვევის ქმედობის „აუცილებელი და ბუნებრივი“ შედეგები, როდესაც იგი არ იყო მოცული ზიანის მიყენებლის განზრახვით სამართალდარღვევის ჩადენის მომენტში. ასეთი პრაქტიკა ეფუძნება სკოტისა და შეფერდის პრეცედენტს (1925 წ.)<sup>8</sup> ა-მ ისროლა ასაფეთქებელი პაკეტი, რომელიც დაეცა დახლზე, სადაც ფუნთუშები ელაგა. მფლობელი ცდილობდა გადაერჩინა თავისი პროდუქტი და ასაფეთქებელი პაკეტი ისროლა მოშორებით, იგი სახეში მოხვდა ვ-ს, აფეთქდა და გამოთხარა თვალი. ა-ს, რომელმაც ისროლა პაკეტი, არ ჰქონდა განზრახული არც პირველის, არც მეორის დაჭრა, მაგრამ მას დაეკისრა პასუხისმგებლობა მიყენებული ზიანისათვის, იმ საფუძველზე, რომ ადამიანი, რომელმაც განზრახ ჩაიდინა მართლსაწინააღმდეგო ქმედება პასუხს აგებს ყველა მავნე შედეგისათვის, რომელიც ბუნებრივად გამომდინარეობს ამ მოქმედებიდან.

უფრო მნიშვნელოვან სირთულეებს აწყდებიან ინგლისისა და ამერიკის სასამართლოები იურიდიული მნიშვნელობის მქონე მიზეზობრივი კავშირის დადგენისას ზიანის გაუფრთხილებლობით მიყენების შემთხვევაში. აქ უნდა აღვნიშნოთ ორი ძირითადი თეორიის არსებობა. პირველი თეორიის თანახმად, იურიდიული მნიშვნელობის მქონე მიზეზებია ისეთი კავშირები, რომელთა წინასწარ განჭვრეტა შესაძლებელი იყო. მეორე თეორიის თანახმად შედეგები უნდა იყოს პირდაპირი, უშუალო.

იმასთან დაკავშირებით, რომ ინგლისურ და ამერიკულ სასამართლო პრაქტიკაში გაბატონებული კაზუალობის თეორიები ძირითადად ეხმიანებიან მიზეზობრიობის ადეკვატური და პირობების თეორიებს, მოკლედ შევჩერდებით მათ დახასიათებაზე.

მიზეზობრიობის ადეკვატური თეორიის წარმომადგენლები გამოდიან ზიანის მიყენების წინასწარ განსაზღვრულობიდან<sup>9</sup> და მიზეზობრიობას გადმოგვცემენ როგორც ჩვენი ცნობიერების ჩვევას, ე. ი. არა როგორც რეალურად არსებულ კავშირებს გარე სამყაროს მოვლენათა შორის, არამედ როგორც კატეგორიას, რომელიც ცნობიერებაში არსებობს. ამ თეორიის თანახმად ერთი მოვლენა არის მეორე მოვლენის მიზეზი მის ადეკვატურად, თუ არის ერთ-ერთი აუცილებელი პირობა ზიანის წარმოქმნისათვის, იგი აძლიერებს მისი დადგომის შესაძლებლობას იმ შემთხვევაში, თუ ასეთი თანაფარდობა არის ტიპური, ე. ი. ზიანის მიყენებლის მხოლოდ ისეთი ქმედებები შეიძლება იყოს მართლსაწინააღმდეგო მავნე შედეგის მიზეზად მიჩნეული, რომელიც არა მარტო მოცემულ კონკრე-

<sup>7</sup> იხ. უინფილდი, გვ. 86.

<sup>8</sup> იხ. ჰარტი და ჰონორი, ლონდონი, 1959, გვ. 37 (ინგლ. ენაზე).

<sup>9</sup> იხ. თ. ს. იოფე, პასუხისმგებლობა სამოქალაქო სამართლის მიხედვით, ლენინგრადი, 1955, გვ. 219-220.



ტულ შემთხვევაში, არამედ საერთოდ (ჩვეულებრივ, ყოვლთვის) იწვევს ანალოგიურ შედეგს. სხვა სიტყვებით, ამ თეორიის მომხრეთა აზრით, შედეგები ყოველთვის უნდა შეესაბამებოდეს ჩვეულებრივ წარმოდგენებს, ე. ი. იყოს ტიპური, ადეკვატური.<sup>10</sup> უნდა აღვნიშნოთ, რომ შედეგის „ტიპიურობის, ადეკვატურობის“ შეფასების საფუძვლად ამ თეორიის მომხრეთა ერთი ნაწილი მიიჩნევს მოსამართლის ცნობიერებას, მეორენი — ზიანის მიმყენებლის ცნობიერებას, ხოლო მესამენი — ვინმე აბსტრაქტული „ჩვეულებრივი“ ადამიანის ცნობიერებას.

რაც შეეხება „პირობების“ თეორიას მისი მომხრეები მართლსაწინააღმდეგო ქმედობასა და დამდგარ მავნე შედეგს შორის მიზეზობრივ კავშირად მიიჩნევენ იმ შემთხვევას, როდესაც იგი იყო ერთ-ერთი აუცილებელი პირობა მათი წარმოქმნისათვის. ამრიგად, ეს თეორია ყველა პირობას ანიჭებს თანაბარ მნიშვნელობას, რომლებიც ხელს უწყობდნენ შედეგის დადგომას, რაც იწვევს იმას, რომ ორიენტირება ხდება არა თითოეული შემთხვევის ობიექტური ბუნების გამოკვლევაზე, არამედ იმ საკითხის გადაწყვეტაზე, რა იქნებოდა ესა თუ ის გარემოება რომ არ ყოფილიყო<sup>11</sup>.

„პირობების“ თეორიის პრაქტიკული არსი დაიყვანება იმის უარყოფამდე, რომ ერთმანეთისაგან არ გაირჩევა აუცილებელი და შემთხვევითი, იურიდიული მნიშვნელობის მქონე და ასეთ მნიშვნელობას მოკლებული მიზეზები. ზიანის მიმყენებლის ქმედობა, რომელიც დამდგარი შედეგის ნებისმიერი აუცილებელი პირობაა, არის მისი იურიდიული მნიშვნელობის მქონე მიზეზი და სასამართლო დაადგენს რა ამ ფაქტს, უნდა გადავიდეს პასუხისმგებლობის სხვა საფუძვლების შესწავლაზე.

მართალია, დაწვრილებით არ განვიხილავთ ადეკვატური და პირობების თეორიებს<sup>12</sup> — მაგრამ, კიდევ ერთხელ უნდა მივუთითო, რომ იხილავენ რა მიზეზობრიობას, როგორც სუბიექტურ კატეგორიას, პრაქტიკა და თეორია აფასებს კაზუალობას როგორც ისეთ კატეგორიას, რომელიც დამახასიათებელია მხოლოდ ადამიანის ცნობიერებისათვის და არა როგორც ობიექტურ კატეგორიას, ასახულს მასში.

კაზუალობის თეორია, რომელიც ბევრ რამეში ემთხვევა მიზეზობრიობის

10 იხ. გ. კ. მატვევი, სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძვლები, მოსკოვი, 1970, გვ. 93.

11 იხ. ა. ა. პონტკოვსკი, მიზეზობრივი კავშირის პრობლემა სამართალში, მოსკოვი, 1949, გვ. 72; თ. ს. იოფე, მითითებული ნაშრომი, გვ. 220.

12 მიზეზობრიობის ადეკვატური და პირობების თეორიების ანალიზი და კრიტიკა დაწვრილებით იხ. თ. დ. წერეთელი, მიზეზობრივი კავშირი სისხლის სამართალში, მოსკოვი, 1963, გვ. 77-129; ბ. ს. ანტიმონოვი, სამოქალაქო პასუხისმგებლობა მომეტებული საფრთხის წყაროთი მიყენებული ზიანისათვის, მოსკოვი, 1952, გვ. 104-126; ი. ბ. ნოვიციკი, ლ. ა. ლუნცი, საერთო მოძღვრება ვალდებულებების შესახებ, მოსკოვი, 1950, გვ. 309-319 და ა. შ

13 პალსგრაფის საქმის გარემოება-პიროვნება, რომელსაც ხელში ეჭირა გაზეთში შეხვეული პატარა ნივთი, ცდილობდა მატარებლის სამგზავრო ვაგონში ასვლას, რომელიც ნელ-ნელა შორდებოდა სადგურის პლატფორმას. სარკინიგზოს კომპანიის ერთი მოსამსახურე, რომელიც ვაგონში იმყოფებოდა, ცდილობდა მიხმარებოდა მას ვაგონში ასვლაში, ამავე დროს სარკინიგზო კომპანიის მეორე მოსამსახურე ცდილობდა პლატფორმიდან დახმარებოდა მგზავრს. ამ დროს, ხელბარგი, რომელშიც იყო საუფრევრო პიროტექნიკური მოწყობილობა, ხელიდან გაუვარდა მგზავრს და აფეთქდა რელსზე დაცემის დროს. დაზარალებული, რომელიც ელოდებოდა მატარებელს, იღვა პლატფორმიდან მცირე დაშორებით, იქვე ეყარა ქვები, აფეთქების შედეგად ქვებმა მიაყენეს მას სხეულის დაზიანებები.



ადეკვატურ თეორიას, ინგლისურ და ამერიკულ დელიქტურ სამართალში ჩამოყალიბდა ორ სასამართლო გადაწყვეტილებაში. ინგლისში 1850 წლის 8 მაისის — ჰევითისა და ჩაპლინის, ხოლო აშშ-ში პალსგრაფის<sup>13</sup> საქმეზე გამოტანილი გადაწყვეტილებით (1928). ამ გადაწყვეტილებათა არსის მიხედვით დელიქტენტმა შეიძლება პასუხი აგოს მხოლოდ იმ ზიანისათვის, რომელიც მან მიაყენა განზრახ ქმედებით ან თუმცა ეს არ იყო განზახ, მაგრამ არის მართლსაწინააღმდეგო ქმედობის ბუნებრივი და შესაძლებელი (სავარაუდო) შედეგი, როდესაც ზიანის მიყენების სავარაუდობა ისეთია, რომ „ჩვეულებრივ ადამიანს“ შეეძლო იგი ევარაუდა და შესაბამისად თავი შეეკავებინა მათგან. შედეგ ეს თეორია ზუსტდებოდა. ამასთან იქმნებოდა ცნება „ჩვეულებრივი ადამიანისა“, როგორც ზიანსა და ქმედობას შორის მიზეზობრივი კავშირის დადგენის კრიტერიუმი. ერთ-ერთ საქმეზე ცნობილი ინგლისელი მოსამართლე რაიტი წერდა, რომ „კაზუალობა უნდა გავიგოთ ისე, როგორც ეს ესმის ქუჩაში გამკვლელს და არა ისე, როგორც ეს ესმის ფილოსოფოსს ან სწავლულს. ფაქტების მთელი კომპლექსიდან რეალური ან ნამდვილი მიზეზის გამორჩევა უნდა მოხდეს განვითარების საყოველთაო დონის გათვალისწინებით“<sup>14</sup>. მაგრამ თანდათანობით ინგლისის მოსამართლეებმა აღიარეს დასკვნები, რომლებიც მნიშვნელოვნად განსხვავდებიან ზემო განხილული ტიპური შედეგების შესახებ დებულებებისაგან. უინფილდის აზრით, ამ აღიარების დასაწყისია სმიტის (1870 წ.) საქმეზე სასამართლო გადაწყვეტილება. საქმის გარემოება ასეთი იყო: გვალვიანი ზაფხულის დღეს სარკინიგზო კომპანიის მოსამსახურეები თიბავდნენ ბალახს და აწყობდნენ ღობესთან, რომელიც ზოლად გასდევდა რკინიგზის ხაზს. სამუშაოს დამთავრების შემდეგ მათ იქვე დატოვეს ბალახი. სარკინიგზო ლოკომოტივის ნაპერწკლით გამოწვეული ხანძარი გავრცელდა ღობის იქით. ძლიერმა ქარმა ცეცხლი გადაიტანა გზის მეორე მხარეს, დაზარალებულის სახლთან, რომელიც ხანძრის გაჩენის ადგილიდან 50 მეტრში იყო. სახლი დაიწვა. სასამართლომ დააკისრა პასუხისმგებლობა რკინიგზას. მოსამართლე ბლეკორნმა საქმეზე გამოიტანა გადაწყვეტილება და ჩამოაყალიბა წესი: რკინიგზა ვალდებულია პასუხი აგოს იმ შედეგებისათვის რომლის გათვალისწინება არ შეეძლო არც ერთ წინდახედულ ადამიანს, თუ ისინი გამოდინარეობენ უშუალოდ მავნე ქმედობიდან. ამ პრინციპმა საგრძნობლად გააფართოვა სამართალდამრღვევის პასუხისმგებლობის ფარგლები, რადგან იგი არ ისაზღვრებოდა შედეგების ტიპურობითა და ბუნებრიობით, ე. ი. მიზეზობრივი ადეკვატური თეორიიდან გადავიდა მიზეზობრიობის უფრო ფართო პრინციპზე. ეს ხდება XIX საუკუნის დამლევს, ე. ი. დაახლოებით იმ დროს, როდესაც ინგლისურ და ამერიკულ დელიქტურ სამართალში მყარდება ბრალის გარეშე პასუხისმგებლობის პრინციპები გარშემო მყოფთათვის მომეტებული საფრთხის შექმნისათვის, რაც მრეწველობის სწრაფი განვითარებით იყო განპირობებული.

საბოლოოდ პასუხისმგებლობის პრინციპი იმ შედეგებისათვის, რომელთა წინასწარი ვარაუდი არ შეეძლო სამართალდამრღვევს, ჩამოყალიბდა ინგლისის სააპელაციო სასამართლოს მიერ რეი პოლემისის (1921 წ.)<sup>15</sup> საქმეზე მიღებულ გადაწყვეტილებაში, სადაც სასამართლომ უარი თქვა მხარი დაეჭირა იმ წესისათვის, რომლის თანახმადაც ზიანის მიმყენებელს პასუხისმგებლობა ეკის-

14 იხ. პარტი, და ჰონორი, დასახ. ნაშრომი, გვ. 135.  
15 იხ. ვ. მორისონი, პრეცედენტების კრებული, ლონდონი, 1955 (ინგლ. ენაზე).



რება თავისი აქტის ბუნებრივი და სავარაუდო შედეგებისათვის. თუ მოპასუხებ დაუშვა დაუდევრობა, იგი პასუხს აგებს ყველა შედეგისათვის, რომლებიც უშუალოდ (პირდაპირ) გამომდინარეობს მისი გაუფრთხილებლობიდან, აგრეთვე იმ შედეგებზე, რომლებიც მოცემულ გარემოებებში მას არ შეეძლო ევარაუდა<sup>16</sup>. ამასთან, პირდაპირ (უშუალოდ) მიზეზად მიიჩნევა ის ქმედობა, რომელიც იწვევს შედეგებს, რომლებიც უშუალოდ არის დაკავშირებული მოპასუხის გაუფრთხილებლობასთან, გარეშე ძალების ჩარევის გაუთვალისწინებლად, რასაც შეიძლება ადგილი ჰქონდეს მოგვიანებით<sup>17</sup>. შესაბამისად რეი პოლემისის პრინციპისა, მოპასუხე ვალდებულია აანაზღაუროს მიყენებული ზიანი მაშინაც კი, როდესაც ის არ არის მართლსაწინააღმდეგო ქმედობის ბუნებრივი შედეგი და მოპასუხეს არ შეეძლო გაუთვალისწინებინა როგორც თვითონ ზიანი, ისე მისი ოდენობა, მაგალითად, თუ სხეულის მსუბუქი დაზიანება გართულდა დაზარალებულის ჯანმრთელობის საერთოდ სუსტი მდგომარეობით, სამართალდამრღვევს პასუხისმგებლობა ეკისრება დაზარალებულისათვის მიყენებული მთელი ზიანისათვის, თუმცა მან არ იცოდა და არც შეეძლო სცოდნოდა დაზარალებულის ჯანმრთელობის საერთო მდგომარეობა. ბუნებრივია, პირდაპირი კავშირების თეორიას არ შეეძლო ბევრ შემთხვევაში დაექვეყნებინა სასამართლო პრაქტიკა თუნდაც იმიტომ, რომ იგი ძალიან აფართოვებდა დელიქტისათვის პასუხისმგებლობის საფუძვლებს. შემთხვევითი არ არის, რომ ინგლისის ლორდთა პალატამ შექმნა წესი, რომელიც ზღუდავდა რეი პოლემისის პრინციპის მოქმედებას. ედისონის (1933 წ.)<sup>18</sup> საქმეზე გამოტანილმა გადაწყვეტილებამ მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა ინგლისისა და ამერიკის სასამართლო პრაქტიკაზე. ამ გადაწყვეტილების არსი მდგომარეობდა იმაში, რომ რეი პოლემისის წესების გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ გაუფრთხილებლობის დაუყოვნებლივი ფიზიკური შედეგების მიმართ, ე. ი. ეს წესები მაშინ უნდა იყოს გამოყენებული, როდესაც მართლსაწინააღმდეგო ქმედობით მიყენებულია ფიზიკური ზიანი და არა ის, რომელიც არ იმყოფება საკმარის მიზეზობრივ კავშირში სამართალდამრღვევის ქმედობასთან.

60-იანი წლების დამდეგს რეი პოლემისის პრინციპი ძლიერ გააკრიტიკეს. აპროსერმა წამოაყენა დებულება, რომლის თანახმადაც პასუხისმგებლობა გამოირიცხება იქ, სადაც შედეგები „გვეჩვენება მეტად არაჩვეულებრივად“<sup>19</sup>, მაგრამ სავსებით გასაგებია, რომ ეს დებულება ცოტა რამეს თუ აძლევს პრაქტიკას. თვითონ ავტორსაც არ შეუძლია განსაზღვროს მათი დადგენის ზუსტი კრიტერიუმები. იგი აღნიშნავს კიდევ, რომ „ალბათ არ არსებობს არც ერთი ფორმულა, რომელიც გამოსაყენებელი იქნებოდა ყველა შემთხვევაში“<sup>20</sup>.

თანამედროვე ინგლისურ და ამერიკულ ლიტერატურაში უმოქმედობის კაზუალობის საკითხს სათანადო ყურადღება არ ექცევა, ამიტომ მას არც ჩვენ ვეხებით.

<sup>16</sup> იხ. ჰარტი და პონორი, დასახ. ნაშრ. გვ. 238, 244, 248.

<sup>17</sup> იხ. ვ. პროსერი, რჩეული თხზულებები გვ. 258 (ინგლ. ენაზე).

<sup>18</sup> იხ. ვ. მორისონი, დასახ. ნაშრომი, 1955.

<sup>19</sup> მიჩიგანის უნივერსიტეტის სამართლის მაგნე, 1962, № 3, გვ. 28-32.

<sup>20</sup> ვ. პროსერი, დასახ. ნაშრომი, გვ. 257.



დემოკრატიული, ფედერალური და სოციალურად სამართლებრივი სახელმწიფოს, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის სახელმწიფოებრივი წყობილება ემყარება ხელისუფლების განაწილების პრინციპს: საკანონმდებლო ხელისუფლება, აღმასრულებელი ხელისუფლება და მართლმსაჯულება. ამ სისტემაში მნიშვნელოვან როლს ასრულებენ მოსამართლენი.

## მოსამართლეთა დამოუკიდებლობა

ქალაქ ნიმიუნსტერის ადმინისტრაციულ სასამართლოში სადილობამდე ექვსი საქმე უნდა მოესმინათ. თავმჯდომარეს, მოსამართლე ნორბერტ გებჰარდს იმედი აქვს, რომ ამას მოასწრებს, თუმცა დროც ცოტაა და ზოგიერთი საქმეც საკმაოდ ჩახლართულია. პირველი საქმე შედარებით მარტივია. ხანშიშესულ ქალს შემოტანილი აქვს სარჩელი ნახმარი ნივთების სავაჭროს მეპატრონეზე. რამდენიმე კვირის წინ მას აქ უყვია შავი ქურქი, რათა ქმრის დაკრძალვის დროს ჯეროვნად ყოფილიყო ჩაცმული. დაკრძალვიდან შინ რომ ბრუნდებოდა ტრამვაიში ქურქი ნაკერებზე გადასკდა. როცა გაიხადა, ხელში ნაკუწებიდა შერჩა. სავაჭროს მეპატრონემ განაცხადა, რომ ისეთ სენსაციურ ფასად (250 გერმანული მარკა) უკეთეს ვერაფერს შეიძენ. მოსამართლე გებჰარდი გაცნობილა სასარჩელო დოკუმენტებს, წაიკითხა მოდავე მხარეების ადვოკატთა არგუმენტები, მოუსმინა მოსარჩელესა და შობასუხეს. ქალბატონი მოითხოვს ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების შეცვლას, ანუ ფულის უკან დაბრუნებას. მაგრამ მოვაჭრეს მიაჩნია, რომ კლიენტს, რომელმაც ესოდენ იაფად შეიძინა საქონელი, უნდა სცოდნოდა რომ იგი ღირსეულად ვერ გაძლებდა.

მოსამართლე არ ეთანხმება ასეთ არგუმენტებს და მიაჩნია, რომ ქურქს უნდა დაეკმაყოფილებინა მინიმალური მოთხოვნილებები მაინც. ამიტომ გამოაქვს გადაწყვეტილება, რათა მოვაჭრემ კლიენტს დაუბრუნოს ფული.

შემდეგი საქმე რამდენადმე რთულია. კომერსანტმა ავტომობილში შეიძინა „ლუქსის“ მარკის მსუბუქი მანქანა, რომელიც მართვის ექვსი კვირის შემდეგ უნდა გაეგზავნათ. ხელშეკრულებაზე ხელმოწერიდან სულ ერთი საათის შემდეგ მყიდველმა დარეკა მალაზიასი და განაცხადა, რომ გადაიფიქრა და მოითხოვს ხელშეკრულების გაუქმებას. მას უპასუხეს, რომ ასეთ შემთხვევაში კლიენტი მოვალეა მალაზიას გადაუხადოს სამი ათასი მარკა, მყიდველმა უარი განაცხადა, ამიტომ ავტოფირმამ მას უჩივლა სასამართლოში.

კლიენტს მიაჩნია, რომ ხელშეკრულებას არა აქვს ძალა, რადგან მასზე უარი თქვა სულ რაღაც ერთი საათის გასვლის შემდეგ. მოსამართლე გებჰარდსაც მიაჩნია, რომ სამი ათასი მარკა მეტისმეტია და შეაჩერა ფირმის სარჩელი.



აუტომალაზიის ადვოკატი არ ეთანხმება „უსწორო გადაწყვეტილებას“ და აცხადებს, რომ კასაციაზე შეიტანს, ესე იგი, საქმე გაირჩევა უფრო მაღალ ინსტანციაში — ლანტაკის (მიწის) სასამართლოში.

მოსამართლე კეპარდი მშვიდად არის, რადგან არცერთი გადაწყვეტილების გამო იგი პასუხს არ აგებს, თუ ისინი მიღებულია მოქმედი კანონმდებლობის ჩარჩოებში. ძირითადი კანონის თანახმად მოსამართლენი დამოუკიდებელი არიან და ემორჩილებიან მხოლოდ კანონს. მოსამართლის გადაყენება დაკავებული თანამდებობიდან ხდება ისევე და ისევე სასამართლო გადაწყვეტილებით და კანონიერ საფუძველზე. ასევე ხდება მისი გადაყენა სხვა სასამართლოში ან პენსიაზე გასვლა. ჩინოვნიკებისაგან განსხვავებით მოსამართლენი არ ემორჩილებიან მითითებებს.

თუ რამდენად დამოუკიდებელი არიან მოსამართლენი გადაწყვეტილებების მიღების დროს, გვიჩვენებს საქმე, რომელიც სარჩელის დიდი მნიშვნელობის გამო განიხილებოდა კილის ლანტაკის სასამართლოში (ადმინისტრაციულ სასამართლოებს შეუძლიათ განიხილონ საჩივრები და სარჩელები 5 ათას გერმანულ მარკამდე თანხებზე). საქმე ეხებოდა ტროტუარების დასუფთავების მოვალეობის დარღვევას. გერმანიაში სახლების მეპატრონენი ვალდებული არიან დაასუფთაონ ტროტუარები თავიანთი სახლების წინ, ხოლო მოყინვის დროს უნდა მოაყარონ ქვიშა ან სხვა რამ, რათა თავიდან აიცილონ ფეხითმოსიარულეთა დაცემა. ყოველივე ეს, ერთი შეხედვით, თავშესაქცევ საქმედ გვეჩვენება, მაგრამ სასამართლოს წინაშე კამათი გაიმართა 150 ათასი მარკის თაობაზე.

სახლის პატრონმა ფანჯრიდან გამოიხედა და დაინახა, რომ წვიმა მოდიოდა და გაყინულ ტროტუარზე ყინულის ფენა ჩნდებოდა. გადაწყვიტა, რომ წვიმის გადაღებისთანავე გამოვიდოდა და რაიმეს მოაყრიდა ტროტუარს. ამ დროს ზუსტად მისი სახლის წინ გამოჩნდა გამკვლევი, რომელიც დაეცა და ფეხიც მოიტეხა. იგი არცთუ დიდი ფირმის მეპატრონე იყო და რამდენიმე კვირით მოწყდა სამუშაოს, რითაც განიცადა ფინანსური ზარალი. იგი სწორედ ამ ზარალის ანაზღაურებას მოითხოვდა სახლის პატრონისაგან.

სადაზღვევო კომპანიამ უარი განაცხადა მოთხოვნილი თანხის გადახდაზე და დაზარალებულმაც სასამართლოს მიმართა. სამი მოსამართლისაგან შემდგარ სასამართლოს უნდა გაერკვია თუ სახლის მეპატრონემ რამდენად დაარღვია ტროტუარის დასუფთავების მოვალეობა და მოვალეა თუ არა იგი გადაიხადოს 150 ათასი მარკა. ერთ-ერთმა მოსამართლემ მკაფიოდ გამოთქვა საკუთარი მოსაზრება, რომ ასეთ ამინდში დაუყოვნებლივ უნდა მოეპნია ტროტუარზე ქვიშა ან სხვა რამეო, დანარჩენი ორი უფრო სახლის მეპატრონის არგუმენტებისაკენ იხრებოდნენ და მიიჩნიეს, რომ რაიმეს მოპწევა შეიძლებოდა წვიმის დაწყებიდან ნახევარი ან ერთი საათის შემდეგაც. ორი მოსამართლის ზმა საკმარისი აღმოჩნდა სახლის მეპატრონისათვის სასარგებლო გადაწყვეტილების მისაღებად. დაზარალებულს შეუძლია ეს გადაწყვეტილება გააპროტესტოს ლანტაკის უზენაეს სასამართლოში.

მიუხედავად სპეციალიზაციისა, მოსამართლეთა და სხვა იურისტების განათლება ხდება ერთიანი სისტემის ჩარჩოებში. უნივერსიტეტში იურისტებისათვის სწავლება ვრძელდება 12 სემესტრის, ე. ი. ექვსი წლის მანძილზე. ამის შემდეგ აბარებენ პირველ სახელმწიფო გამოცდას. ამას მოსდევს რეფერენდარიის (სტაჟიურობის) ორწელიწადნახევრის პრაქტიკა. ამ პერიოდში დამწყები იურისტები სახელმწიფოსაგან იღებენ მცირე ხელფასს. ამ დროის მანძილზე





მათ უნდა იმუშაონ პროკურატურაში ლანტაკის სასამართლოში, მმართველ უწყებაში და საადვოკატო კანტორაში. ერთ კვარტალს სტაჟიორი პრაქტიკას გაუძლიერებს და სხვა საკასაციო სასამართლოში. სტაჟირების შემდეგ იურისტი აბარებს მეორე სახელმწიფო გამოცდას და იღებს ასესორის წოდებას.

მოკვიანებით ასესორს შეუძლია გადაწყვიტოს თუ რა უნდა: მოსამართლეობა, პროკურორობა, ადვოკატობა, საწარმოში იურისტობა, ადმინისტრაციის სპეციალისტობა თუ დიპლომატიური სამსახური. მოსამართლე შეიძლება განდეს მხოლოდ ის, ვისი შეფასებებიც სახელმწიფო გამოცდებზე განსაკუთრებით მაღალია. მოსამართლეები ჩინოვნიკები არიან მთელი სიცოცხლის მანძილზე. მათი განთავისუფლება, შეცვლა ან პასუხისმგებლობაში მიცემა არ შეიძლება (იმ შემთხვევების გამოკლებით თუ დაარღვია სამართალი და კანონიერება).

ფედერაციის ხუთ უზენაეს სასამართლო ორგანოებში მოსამართლედ, დანიშნას წყვეტს შესაბამის სფეროზე პასუხისმგებელი ფედერალური მინისტრა მოსამართლეთა შესარჩევ კომისიასთან ერთად. ეს კომისია შედგება ლანტაკების კომპეტენტური მინისტრებისაგან და გერმანიის ბუნდესტაგისაგან შერჩეული თანაბარი რიცხვის წევრებისაგან. მოსამართლეთა დანიშნის ეს წესიც კი ნათელყოფს, რომ ფედერალურ სასამართლოში და ფედერალურ კონსტიტუციურ სასამართლოში მოსამართლეებს აკისრიათ დიდი პასუხისმგებლობა. მათ გამოაქვთ გადაწყვეტილებები პირველი ინსტანციის განაჩენებსა და გადაწყვეტილებებზე შესულ საკასაციო საჩივრებზე.


სასამართლო ხელისუფლება გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში წარმოადგენს „მესამე ძალას“ ძირითად კანონში (კონსტიტუციაში), სხვა სახელმწიფოებრივ ხელისუფლებისაგან (საკანონმდებლო და აღმასრულებელი) განსხვავებით, სასამართლო ხელისუფლებისათვის გათვალისწინებულია მკაცრად განსაზღვრული ნეიტრალური მდგომარეობა. ძირითადი კანონის 97-ე მუხლის თანახმად მოსამართლენი დამოუკიდებელნი არიან და ემორჩილებიან მხოლოდ კანონს. ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო აღჭურვილია დამოუკიდებელი კონსტიტუციური ორგანოს უფლებით. იგი სავალდებულო წესით წყვეტს საზოგადოებრივ-სამართლებრივ დავებს ფედერაციებსა და ლანტაკებს შორის, განიხილავს საკონსტიტუციო საჩივრებს.

ფოლკერ ფილმარი

ჟურნალი „გუტენ ტაგ“, გერმანია  
თარგმნა გელა ბერძენიშვილმა



## ვიქტორ შარაშენიძე



საქართველოს რესპუბლიკის იურისტთა რიგებს გამოაკლდა იუსტიციის დეველოპმენტის მუშაკი, იურისტთა მსოფლიო ასოციაციის წევრი, საქართველოს იურისტთა კავშირის პრეზიდენტის წევრი, რესპუბლიკის დამსახურებული იურისტი ვიქტორ აბიბოზ ძე შარაშენიძე.

ვიქტორ შარაშენიძე დაიბადა 1937 წელს ქ. თბილისში, იურისტის ტრადიციულ ოჯახში და მთელი თავისი ცხოვრება, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის წარმატებით დამთავრების შემდეგ, არჩეული პროფესიის სამსახურს მიუძღვნა. 1961-1975 წლებში მუშაობდა საქართველოს პროფსაბჭოს უფროს კონსულტანტად, იურიდიული განყოფილების გამგედ, საქართველოს

მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და ს. მართლის ინსტიტუტის უმცროს მეცნიერ-ნამშრომლად, პარალელურად დაამთავრა მოსკოვის კანონმდებლობის საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ასპირანტურა, ხოლო 1978 წელს დაინიშნა რესპუბლიკის პროკურორის მოადგილედ, შემდეგ პირველ მოხდგილედ. 1987-1990 წლებში რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრია.

უველგან, სადაც კი უმუშავია ვიქტორ შარაშენიძეს, გამოირჩეოდა მაღალი პროფესიონალიზმით, ერუდიციით, ორგანიზატორული ნიჭით და საქმისადმი დიდი პასუხისმგებლობით, მისი უშუალო მონაწილეობით შეიქმნა არაერთი მნიშვნელოვანი იურიდიული აქტი, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მისი წვლილი შრომის კანონმდებლობის სრულყოფაში.

ვ. შარაშენიძე წლების მანძილზე ეწეოდა პედაგოგიურ მოღვაწეობას თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში და სხვა უმაღლეს სასწავლებლებში, იგი მრავალი სამეცნიერო შრომის ავტორია.

სიცოცხლის უკანასკნელ დრომდე აქტიურად მუშაობდა რესპუბლიკის პარლამენტის იურიდიულ კომისიაში წამყვან სპეციალისტად, თავისი წვლილი შეიტანა ახალი საქართველოს კანონმდებლობის შემუშავების საქმეში, და მასთან, როდესაც მისი დიდი გამოცდილება და პროფესიონალიზმი განსაკუთრებით სჭირდებოდა სამშობლოს, ტრაგიკულად დაიღუპა.

წავიდა ჩვენგან კეთილშობილი, მოკრძალებული, ჭეშმარიტი მამულიშვილი და დიდი გულისტივილი დაგვიტოვა. ბატონ ვიქტორ შარაშენიძის სახით ქვეყანას დააკლდა შესანიშნავი იურისტი, მის ოჯახს — ერთგული მეუღლე და მოსიყვარულე მამა, მეგობრების წრეს — გულისხმიერი ადამიანი.

ვ. გოგუაძე, შ. ნათელაშვილი, გ. ლომინაძე, ლ. ალექსიძე, თ. ნინია, ჯ. ბაბილაშვილი, მ. შვრეხელიძე, ზ. რაბინი, გ. ინჰაპირვალი, თ. ლილუაშვილი, გ. ტყეშელაშვილი, ლ. ბარათაშვილი.



პ 9/1

ეროვნული  
ბიბლიოთეკა